



ახორს ერქომაიშვილი

# შავი შაშვი ჩიოდა



65.31 (2 Г)  
ე 825

პირველი — მეორე გამოცემა

© „ნაქაღული“, 1988

70803 — 79

ფ ————— 124—88

M — 603 (08) — 88

ISBN 5—525—00041—5



## ბ ა ბ უ ა

„შავი შაშვი ჩიო-ოო-და...“ ამეკვიატა სასაფლაოსკენ მიმავალს ძველი გურული სიმღერის მელოდია. ბევრჯერ მომისმენია იგი და არასოდეს ისე არ განმიცდია, როგორც ახლა. მე დღეს პირველად მივდივარ იქ, სადაც ერთი თვის წინათ ამ სიმღერის ჯადოქარი შემსრულებელი. ჩემი პაბუა დავტოვე.

ადრიანი გაზაფხული იდგა. საღამოვდებოდა. მზე ნახევრად ჩაგორებულიყო შავ ზღვაში. ნელა ვათვალიერებდი მიდამოს და ეუახლოვდებოდი ერქომაიშვილების საძვალეს. აკვიატებული „შავი შაშვის“ მელოდია ნამღვილი შაშვის გალობამ შემაწყვეტინა. შაშვის ძებნა დიდხანს არ დამქირვებია. ნაზამთრალი, ფოთლებისგან გამოძარცულ უზარმაზარი ქადრის ერთ ტოტზე, რომელიც ბაბუას საფლავს დაჰყურებს, შავი შაშვი იჯდა და „ჩიოდა“...

საოცარია. საფლავთან შორიახლო შევჩერდი, რომ შაშვი არ დამეფრთხო. ასე ვიდექი რამდენიმე ხანს. შაშვი თვალდახუჭული უსტვენდა თავის საოცარ მელოდიებს და ჩემს სიახლოვეს არაფრად აგდებდა. ფრთხილად მიეუახლოვდი საფლავს და ჩამოვკეჭი. შაშვმა გალობა შეწყვიტა. ალბათ დაიძალა და გაფრინდება-მეთქი, გავიფიქრე გულდაწყვეტილმა, მაგრამ მან ადგილი მოინაცვლა ტო-

ტის წვერისაკენ, რომელმაც შაშვის სიმძიმეს ვერ გაუძლო და თითქმის მიწამდე დახარა მგალობელი. შაშვი გალობდა, ტოტი ნელ-ნელა თანაბრად ირხეოდა მიწისკენ და მომეჩვენა, რომ ფრინველი ხმამაღლა ჩაჰგალობდა იმ კაცს, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად შეეძლო გაეგო მისი გალობის ფასი.

თვალეები დაეხუჭე და მოგონებებში ჩავიძირე...

გამახსენდა ჩემი პირველი საკონცერტო ნათლობა, რომელიც სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. მამაჩემისა და ბაბუაჩემის ჩახვეულ ხმებს ველარ გავუძელი, ტონალობას ავცდი, გავჩერდი და „სემესალა, ბაბუ“-მეთქი — ვუთხარი სკამზე შემდგარმა, ოთხიოდე წლის ბავშვმა ბაბუას, რითაც მაყურებლის გულიანი ხარხარი და ოვაცია გამოვიწვიე.

— შენ კი არა, ჩვენ შეგვეშალა, — დამამშვიდა ბაბუამ, — აბა, ერთხელ კიდევ დავიწყოთ და აღარ შეგვეშლება, — მითხრა მან ტკბილად და თავიდან დამაწყებინა სიმღერა, რომელიც მართლაც აღარ შეგვეშლია.

აქედან მახსოვს ბაბუაჩემი, აქედან მომყვება იგი დღემდე როგორც წინაპარი, აღმზრდელი, მეგობარი, მასწავლებელი და მართალი კაცური კაცი. ასეთივე გამოყვება იგი ბოლომდე და მინდა ხმამაღლა ვთქვა, თუ რამ კარგი არსებობს ჩემში — ბაბუას წყალობითაა.

წმომღერლებს საქართველოში რა გამოლევს, მაგრამ გურული სიმღერების ისეთი შემსრულებლები, როგორებიც ძმები არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილები იყვნენ, იშვიათია.

ვლადიმერ (ლადიკო) და ანანია (ნანო) ახლაც მღერიან, მაგრამ მესამე, რომელიც არტემს შეცვლის, არ მოიძებნება, სიმღერა ძველებურად შეწყობილი აღარ გამოდის. მხოლოდ სიმღერის სწორად შესრულება როდი განსაზღვრავს მის სილამაზესა და ხარისხს. დაირღვა არტემისეული ტემბრი, ტემბრი სამი ძმისა, რომელიც ასე აჯადოებდა მსმენელს.

როცა საშუალო სკოლას ვამთავრებდი, ბჭობა გაიმართა, სად უნდა გამეგრძელებინა სწავლა. ბაბუა რატომღაც დაჟინებით იმეორებდა, აუცილებლად მუსიკალური განათლება უნდა მიიღოსო. მე კი უნივერსიტეტი უფრო მიზიდავდა. საშუალო სკოლა დავამთავრე ვერცხლის მედლით, რაც მაშინ გარკვეულ პრივილეგიას მაძლევდა უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად.

ერთ საღამოს ბაბუამ ცალკე დამსვა და საუბარი გამიბა იმაზე, რომ ერქომაიშვილების გვარის ჩვენი შტო უკვე ორ ასეულ წელს ითვლის, მის ბაბუას, ივანეს დედ-მამა არ ახსოვდა, ხოლო არტემის მამას, გიგოს, ივანეს შესახებ უფროსების გადმოცემით გაუგია, რომ ერთხელ თურმე ქორწილი იყო გურიაში, სოფელ ასკანაში, ასათიანის ქალს ათხოვებდნენ აკეთში, სოფრომ მგელაძეზე;

მაშინდელი წესისამებრ ასათიანმა მოიწვია საუკეთესო მომღერლები, მაგრამ აკეთელების მაყარმა აჯობა ასკანელებს. შეწუხდა მასპინძელი. უცებ ვილაცამ გაახსენა: „ბატონო, დღეს რომ აქ თქვენი ყმის, ცხონებული გიორგი ერქომაიშვილის პატარა ბიჭი, ივანე გყოლოდა, სიმღერაში აკეთელები ვერ გვაჯობებდნენო“.

ასათიანმა ბრძანა, სასწრაფოდ მოეძებნათ ივანე. ბრძანება წამში შეასრულეს. ივანემ თავისი შესანიშნავი კრიმანჭულით მოხიბლა დამსწრე საზოგადოება და გამარჯვებაც ასკანელებს დარჩათ.

ასათიანის სიძე, სოფრომ მგელაძე პირდაპირ იერიშზე გადასულა და სიმამრისთვის უთხოვია, რასაც გინდა მოგცემ, ოღონდ შენი პატარა ყმა ივანე დამითმეო. შენი ფეშქაში იყოს, თუ ასე მოგეწონაო, — უპასუხნია თურმე სიმამრს.

ასე მოწყვიტეს დედას პატარა ივანე და მზითვად გაატანეს პატარძალს. ივანე აკეთში დასახლდა, იქაური ქალი ითხოვა და ეყოლა სამი ვაჟიშვილი: ბეგლარი, მიხეილი და გიგო. ბეგლარი და მიხეილი მალე სახადით გარდაიცვალნენ, ჩქარა მათ ივანე და მისი მეუღლე მიჰყვენ და დარჩა გიგო უპატრონოდ. სოფრომ მგელაძის თხოვნით მის დას ჭაჯიკს, რომელიც გათხოვილი ყოფილა სოფ. მაკვანეთში, აღუზრდია გიგო. გიგოს მამის ნიჭი დაჰყვა, ბადალი არ ჰყოლია სიმღერის შესრულებაში.

ერთ საღამოს ჭაჯიკის ქმარი, ნაოსა იორამაშვილი სამუშაოდან სახლში რომ დაბრუნდა, ბიჭი (გიგო) მოიკითხა. მოახსენეს, კოწია ცეცხლაძემ გვთხოვა და ყანაში წაიყვანა ღამის სათევადო. ნაოსამ შუბლზე ხელი იტკიცა: „ნამდვილად გაჰყიდის მაგ არაკაცი ბიქს“, — თქვა და სასწრაფოდ რამდენიმე შეიარაღებული ყმა შეკრიბა და კოწიას ყანისკენ გაეშურა. კოწიას მართლა შეპირებული ჰყოლია რამდენიმე აჭარელი, რომლებსაც გიგო თურქეთში უნდა გაეყიდათ. ნაოსამ იმ დროს მიუხსწრო, როდესაც კოწია უკვე ფულზე ურიგდებოდა აჭარლებს. ბიჭი დაიხსნა.

დავაუკაცდა გიგო, ცოლად შეირთო ცნობილი მომღერლის

გიორგი ბაბილოძის და, ეგვიტი. აიშენა პატარა ფიცრული და გა-  
აცოცხლა ერქომიშვილების მიმქრალი კერა. გიგო დაუმეგობრდა  
მაშინდელ ახალგაზრდა მომღერლებს: გიორგი იობიშვილს, ნანიკო  
ბურძღვას, ივლიანე კეკელაძეს, გიორგი ბაბილოძეს, ერმილე მო-  
ლარიშვილს და სხვებს, რომელთაგან ჩამოაყალიბა მომღერალთა  
ჯგუფი. მათ გარეშე მაკვანეთსა და მის ახლო სოფლებში ქორწი-  
ლი, დღეობა და ნადი არ ჩატარდებოდა. გიგოს ათი შვილი შეეძი-  
ნა. ბავშვებმა პატარაობიდანვე შეისისხლხორკეს გურული სიმღე-  
რები, ვინაიდან მათ ოჯახში თავს იყრიდა ყველა მაშინდელი გა-  
მოჩენილი გურული მომღერალი.

— ამრიგად, შენ, — მითხრა ბაბუამ, — მუსიკალური ტრადიცი-  
ების მატარებელი მეექვსე თაობა ხარ ჩვენს ოჯახში. ჩვენ პროფე-  
სიული მუსიკალური განათლება ვერ მივიღეთ, ვინაიდან მაშინ  
სხვა დრო იყო და ამის საშუალება არ გაგვაჩნდა. ახლა, ბაბუ,  
მომღერლების ძველი თაობა წავიდა. ჩვენც თანდათან მივდივართ  
და ამ სიმღერებს შენახვა უნდა, პატრონი უნდა, ახალგაზრდობას  
ეს ნაკლებად აინტერესებს, ჩვენი სასიქადულო მომღერლები და  
გურული საგალობლების იშვიათი და უკანასკნელი მცოდნენი ვარ-  
ლამ სიმონიშვილი და დიმიტრი პატარავაც წავიდნენ ჩვენგან და  
აჟამად მხოლოდ მე გამაჩნია ის სიმდიდრე, რომელიც არც ფულ-  
ზე იყიდება და არც ოქროზე აიწონება. ამ სიმდიდრის ფასს შენ  
ჯერ ვერ გაიგებ. ეს არის სიმდიდრე, რომლის ბადალი მსოფლიო-  
ში არ მოიპოვება. მე რომ რაიმე შემემთხვას, ისეთი განძი წამყვე-  
ბა თან, რომლის დაკარგვას ერი არ გვაპატიებს, რომელსაც ვერა-  
ვინ ველარ აღადგენს და ამ ცოდვის სიმძიმე მე და შენ დაგვაწ-  
ვება კისერზე. იცოდე, ეგ შენი და ჩემი საქმე როდია, ეგ საერთო  
საქმეა. შენ სისხლში გაქვს გურული ხალხური სიმღერა გამჭდარი  
და ამიტომ ყველაზე მეტად შენ შეგიძლია ამ საქმის გაკეთება, თუ  
მუსიკალურ განათლებას მიიღებ. მახსოვს, ლენინგრადში ცნობილ-  
მა მუსიკოსებმა ჩვენი სიმღერები რომ ვერაფრით გაშიფრეს, აზრი  
გამოთქვეს, ნოტები ესწავლებინათ ჩვენთვის, — თავად უკეთესად  
შესძლებენ სიმღერის ჩაწერასო. ეს არ მოხერხდა მაშინ. ეს შენ  
უნდა გააკეთო. საჭიროა პროფესიული მუსიკალური განათლების  
მიღება.

ასე გადაწყდა ჩემი მუსიკალურ სასწავლებელში გაგზავნა.  
უკვე კონსერვატორიის სტუდენტს, როცა არდადეგებზე სოფელში



არტემ ერკობაიშვილი



ჩვედი, ბაბუამ მკითხა, შეგიძლია თუ არა ნოტებზე გადაიტანო ერთი გურული საგალობელიო. მგონი, შევძლებ-მეთქი, ვუპასუხე. მთელი დღე ვიმუშავეთ, რომ პატარა საგალობელი სანოტო ფურცელზე გადაგვეტანა. ეს იყო „ქრისტეშობის საგალობელი“. ამ საგალობლის არაჩვეულებრივმა პოლიფონიურმა და ჰარმონიულმა სიმდიდრემ აღმაფრთოვანა, მსგავსი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მეგონა.

აი, თურმე რა სიმდიდრეზე მელაპარაკებოდა ბაბუა. მართალი გითხრათ, საგალობლების არსებობის შესახებ ადრეც ვიცოდი, მაგრამ ახლა მისი შემსრულებლები თითქმის აღარავინ იყო. მეხსიერებას მხოლოდ გიგო ერქომაიშვილის დასაფლავების დღეს შესრულებული სამგლოვიარო საგალობლები შემორჩა, რომლებიც ვარლამ სიმონიშვილმა, დიმიტრი პატარავამ და არტემმა შეასრულეს, მაგრამ მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და რაიმე აზრის გამოთქმა არ შემეძლო.

რევოლუციის შემდეგ, სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფის პერიოდში შეწყდა გალობის შესრულება. მგალობლები არც ამხელდნენ, რომ ადრე ეკლესიაში მღეროდნენ, გალობის შესწავლაზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი. ძველი მომღერლებიდან მხოლოდ არტემი იყო ცოცხალი, რომელმაც დასაუღეთ საქართველოს (დასავლეთ საქართველოში სიმღერის გურული კილო იყო გავრცელებული) ყველა საგალობლის ყველა ხმა იცოდა. აი, რატომ სწუხდა არტემი, როდესაც საგალობლების დაკარგვის საშიშროება შეიქმნა.

ასე დაიწყო ჩვენი მუშაობა დაკარგული სიმღერებისა და საგალობლების აღსადგენად. უკვე პირველ ზაფხულს, ბაბუას იშვიათი მეხსიერების წყალობით, 60-მდე სიმღერა და საგალობელი ჩავიწერე. ამ ამბით თავად ისე იყო გახარებული, რომ მომღერლებთან დაიტრაბახა: ისეთი საქმე გავაკეთეთ, რომლის ბადალი ჩემს სიცოცხლეში არ გამიკეთებიაო. ■

როცა თბილისში მაცილებდა, ბაბუამ მთხოვა, იქნებ შეეცადო, ეგ სიმღერები და საგალობლები კონსერვატორიაში ბიჭებს შეასწავლო.

ასე ჩაეყარა საფუძველი შემდეგში უკვე ცნობილ კონსერვატორიის ვოკალურ ანსამბლ „გორდელას“. ■

ჯერ კიდევ მუსიკალურ სასწავლებელში სწავლის დროს ბაბუ-  
ამ მე და ბადრი თოიძე ცნობილ ლოტბარ ვასილ მახარაძეს ჩაგ-  
ვაბარა და სთხოვა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები  
შეასწავლეო. ჩვენ დავდიოდით ვასილ მახარაძის თვითმოქმედ  
გუნდში, სადაც თავს იყრიდნენ ისეთი სახელგანთქმული მომღერ-  
ლები, როგორც იყვნენ: დავით მდინარაძე, ლევან მახარაძე, თეო-  
ფილე ლომთათიძე, ილიკო ჭაყელი და სხვები. მე მათი სახელები  
ბაბუასაგან ადრეც გამეგონა და ახლა ყურდაცქვეტილი ვუსმენდი  
მათ მიერ შესანიშნავად შესრულებულ სიმღერებს.

მახსოვს, ასეთი შემთხვევა, — ვასილ მახარაძემ რეპეტიციაზე  
პირველად რომ მომიყვანა, შესვენების დროს ერთ მოხუცთან წარ-  
მადგინა და უთხრა: ბატონო თეოფილე, ეს ახალგაზრდა არტემ  
ერქომანიშვილის ბადიში (შვილიშვილი) გახლავთო. თეოფილე დაე-  
ყრდნო თავის ჯოხს, გამომცდელად ამთვალეირა და მკითხა: „არ-  
ტემის ხარ, ბიჭო, შენ?“ პასუხის გაცემაც კი ვერ მოვასწარი, რომ  
თეოფილემ გიღლის დასაყიდი თოკის მარყუჟივით გამონასკვა  
კრიმანჭული. ვასო მახარაძემ პირველი ხმა დააწია. მე მივხვდი,  
თეოფილემ „ალიფაშა“ წამოიწყო, და ბანი შევაშველე. თეოფილე  
ლომთათიძე მაშინ 80 წელს იყო გადაცილებული, მაგრამ ხმაში  
ბზარიც არ ემჩნეოდა. კრიმანჭულის ისეთი კორიანტელი დააყენა,  
რომ გულში ვიფიქრე, ღმერთო, ტონალობიდან არ გადამაგდოს-  
მეთქი. გავუძელი. როცა სიმღერა დავამთავრეთ, თეოფილემ გა-  
დამკოცნა და მითხრა: კი ყოფილხარ არტემის ბადიშიო.

ეს ამბავი ბაბუას რომ მოვუყევი, გაიღიმა და მითხრა: „ასე  
იყო უწინ, ბაბუ, ცნობილი მომღერლები გამოსცდიდნენ ახალბე-  
დას ან უცნობ მომღერალს მალულად! ისინი ისე ჩაახვევდნენ თა-  
ვიანთ ხმებს, ისე ართულებდნენ სიმღერას, რომ თუ მომღერალს  
კარგი სმენა და გამოცდილება არ ჰქონდა, უეჭველად ასცდებოდა  
სხვა ხმებს. ეს უკვე „დამარცხებას“ ნიშნავდა. ვინც ამ გამოცდას  
კარგად ჩააბარებდა, ცხადია, მისი ავტორიტეტი მომღერლების  
თვალში მდლდებოდა.

სიმღერის მცოდნე კაცს გურიისში დიდი დაფასება ჰქონდა. რო-  
დესაც ქალს ათხოვებდნენ, ყოველთვის იკითხავდნენ, სიძემ სიმ-  
ღერა თუ იცისო. და თუ იცოდა, მისი ავტორიტეტი ერთიორად

იზრდებოდა ქალის ნათესავეების თვალში. გურული მომღერლები ცდილობდნენ, ცოლი მომღერალთა ოჯახიდან შეერთოთ, რათა მემკვიდრეს მუსიკალური ნიჭი დაჰყოლოდა.

კარგი მგალობელ-მომღერალი (მგალობელ-მომღერალს უწოდებდნენ იმას, ვინც საგალობლებიც იცოდა და სიმღერებიც) დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში. იგი ყველას უყვარდა, ყველასათვის საპატივცემულო პიროვნებად ითვლებოდა და, საერთოდ, საზოგადო მოღვაწედ სთვლიდნენ.

საუკუნეების მანძილზე გურიაში ჩამოყალიბდა ეგრეთწოდებული „სუფრის წესი“, რომელსაც ხალხი ყოველთვის ემორჩილებოდა.

ქორწილში მასპინძელი საგანგებოდ პატიუებდა სახელგანთქმულ მომღერლებს თავის მოსაწონებლად. მაყრულით მოახლოებულ მაყრებს დამხვდურები თოფის სროლით ეგებებოდნენ და პირველი ოფიციალური ცერემონიის შემდეგ მასპინძელი სუფრასთან მიიპატიუებდა სტუმრებს. გაისმოდა პირველი საგალობელი „დღეს საღვთო მადლმან შეგვკრიბა ჩვენ“. ამას მოჰყვებოდა — „მოვედი და ვსვათ სასმელი ახალი“.

შემდეგ მასპინძელი საზოგადოებას წარუდგენდა სტუმრებს და დალოცავდა თამადებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ ენამკვევრობით, სიმღერის ცოდნითა და ღვინის კარგი სმით.

თამადების სადღეგრძელოს მოჰყვებოდა სუფრული სიმღერა „თამადებს გაუმარჯოს“, ხოლო საპასუხოდ თამადა მომღერლებთან ერთად შეასრულებდა სიმღერას „მადლობელი ვარ“.

თამადა პირველ სასმისს მშვიდობისას ასწევდა, რასაც მოჰყვებოდა სიმღერა „ჩვენ მშვიდობა“.

მეორე სასმისი ამ ბედნიერი შემთხვევის მიზეზს, ნეფე-დედოფალს ეკუთვნოდა, რომელსაც „შენ ხარ ვენახს“ უგალობდნენ და მრავალყამიერს უმღერებდნენ. მომღერლო სასმისით ნეფე-დედოფლის მშობლებს ადღეგრძელებდნენ და სიმღერას „მასპინძელსა მზიარულსა“ შემოსძახებდნენ, ხოლო გარდაცვლილი მშობლების ზოგონებას საგალობელ „უამთა და წელთა“-ს მიუგებდნენ.

შემდეგი სასმისი აუცილებლად ხელის მომკიდებებს, მეჭვარეებს ეკუთვნოდათ. მეჭვარეებს დიდი დაფასება ჰქონდათ, რადგან მერდო-ნათლულობა მყარ მოყვრობად მიაჩნდათ, რომელიც შთამომავლობას ცხრა თაობის მანძილზე გაჰყვებოდა. ამ სადღეგრძე-

ლოს მოპყვებოდა საგალობელი — „შენ რომელმან განანათლე“ და სიმღერა — „ჩემო ნათლიდედაო“.

მორიგი სასმისით წინაპრებს აღღეგრძელებდნენ, ურომლისო-დაც საერთოდ არ არსებობს ქართული სუფრა. მათ პატივსაცემად შეასრულებდნენ საგალობელს „ქებადი“ და სიმღერას „წუთისო-ფელი“ („რა კარგია, საწუთრო ასე გამატარებდეს“).

მომდევნო სასმისებით მაყარ-მანდილოსნებსა და ვაჟკაცებს, მასპინძლებსა და ოჯახის ახლობლებს აღღეგრძელებდნენ, რასაც შესაფერის სიმღერებს მიაგებებდნენ. ამ პერიოდში იწყებოდა კრი-მანქულიანი ორპირული სიმღერები და ტრადიციული შეჯიბრი სტუმარ და მასპინძელ მომღერლებს შორის. ეს შეჯიბრი იმდენად აზარტული იყო, რომ ერთ ქორწილში შესანიშნავმა გურულმა მგალობელ-მომღერალმა სამუელ ჩავლეიშვილმა სიმღერა „წამოკ-რული“ ორმოცდაათჯერაც კი გაიმეორა მიმდევრობით სხვადასხვა ჯგუფებთან ერთად და ყველა გამეორებისას ახალ-ახალი ვარიან-ტი შეასრულა.

სიმღერის დროს სუფრაზე სიჩუმე სუფევდა. სუფრის წევრები ტკბებოდნენ სიმღერებით, ხოლო მომღერალთა ჯგუფები ერთმა-ნეთს ყურს უგდებდნენ, რომ უცნობი სიმღერა ან ვარიანტი „მოე-პარათ“.

დილით ეზოში გამოიტანდნენ სუფრას და შემოსძახებდნენ სიმ-ღერას „პა დილა“, რასაც საფერხულო სიმღერები და ცეკვები მოპყვებოდა.

ჩემს ბიჭობაში ქალებს საზოგადოების თანდასწრებით არ ამღე-რებდნენ. მახსოვს, ერთხელ, სოფელ გოგიეთში ცეცხლადის ოჯახ-ში კრიმანქულის შემსრულებელი კაცი არ ჰყავდათ და ქალი ამღე-რეს. დილით ეზოში დიდი ჩხუბი ამტყდარა.

„ვიცოდი, ძამა, აქანე კაი ამბავი რომ არ მოხდებოდა, წუხელი დედალმა იყივლაო“, — იხუმრა ერთმა მაყარმა (დედლის ყვილი გურიასი ავისმომასწავებლად მიაჩნდათ).

— ეჰ, მაშინდელ ქორწილს სულ სხვა ეშხი ჰქონდა, ახლანდელ ქორწილებს კი არ ჰგავდა, — თქვა ბაბუამ. — ხომ გახსოვს, იმ დღეს ვაშალომიძის ქორწილში ერთი გურული სიმღერაც არ თქმულა. აბა გურულ ქორწილში კლარნეტის, აკორდეონის და დო-ლის დაკვრა რა საკადრისია. ხალხი გაიტაცა ახალმა მოდამ მუსი-კაში, თავიანთი მამა დავიწყებიათ და მამინაცვალს ფიცულობენ.

ახალგაზრდობას ძველი სიმღერები არ აინტერესებს, მოხუცები კი მივდივართ... თუმცა ეს ყველაფერი მალე მოსწყინდებათ, მაგრამ მერე გვიან იქნება თითზე კბენანი.

აბა იმ ქორწილში ჩემი სადღეგრძელო რა მოსატანი იყო, ჩვენ ხომ ერთი სიმღერაც ვერ ვთქვით, თუმცა ძალიან ეცადნენ ილარიონ სიხარულიძე და ვარლამ ვაშალომიძე, მაგრამ კლარნეტის ჭყვიტინისაგან ყურთასმენა აღარ იყო. ისე, ჩემი სადღეგრძელო ფართე სიტყვებით დალიეს.

გამახსენდა, სუფრის დასასრულს როგორი პათოსით შესვეს ბაბუას სადღეგრძელო, ნოდარ ლომჯარიამ და რეზო ბაბილოძემ მას „გურული სიმღერების პელე“ უწოდეს. ხალხი ფეხზე წამოდგა და ისე შესვა ბაბუას სადღეგრძელო. ბაბუამ მადლობა გადაიხადა და დასძინა: — „ხომ წარმოგიდგენიათ პელე ბურთისა და მოედნის გარეშე, ისე ვარ მე ამ სუფრაზეო“.

— საერთოდ, მთავრობამ სპეციალური სკოლა უნდა გახსნას, სადაც ახალგაზრდებს მხოლოდ ძველ ხალხურ სიმღერებს შეასწავლიან, — გააგრძელა ბაბუამ საუბარი. — ამას წინათ ეს აზრი მოვახსენე ჩვენი რაიკომის მდივანს, ხოლო სკოლის გახსნამდე ვითხოვე, მომეციოთ საშუალება, ჩვენს ახალგაზრდობას ძველი სიმღერები შევასწავლო-მეთქი. შემპირდნენ. ვნახოთ, რა გამოვა!“



ერთხელ ბაბუა დასაფლავებიდან ძალიან დაღონებული დაბრუნდა.

— რა ვართ ადამიანები, როგორი მახსოვს ღიმიტრი და როგორი გამხდარა ახლა. ადრე საუკეთესო გარეგნობის ვაჟკაცი იყო, კარგ მომღერლად და მომღხენად ითვლებოდა, ახლა ვედარც კი ვიციანი. ძნელი წარმოსადგენია, რომ კუბოში ჩადებული ეს პატარა კაცი ერთ დროს სახელგანთქმული ვაჟკაცი იყო. ნეტავი არ მენახა. იცი რა, ბაბუ? ქართველებს სხვა კარგ ტრადიციებთან ერთად „გლოვის წესიც“ კარგი აქვთ, მაგრამ ერთი რამ მაინც არ მომწონს. მიცვალებულს სახე დაფარული უნდა ჰქონდეს. ჰირისუფალს და საზოგადოებასაც იგი იმ სახით უნდა ახსოვდეს, როგორითაც იცნობდნენ. შემპირწუნებელია მიცვალებულის სახის შე-

ხედვა, რომელიც თავისი ნამდვილი სახის აჩრდილსაც აღარ წარმოადგენს.

ბაბუამ უჯრაში რაღაც წერილებს დაუწყო ძებნა, შემდეგ ერთი მათგანი გადმომცა. წერილი ბაბუას მისამართით იყო გამოგზავნილი მამაჩემის დასაფლავების მეორე დღეს. მას სწერდა ჩვენი სოფლელი დიომიდე ანთელიძე, ერთ დროს ფრიად განათლებული კაცი, ამჟამად ავადმყოფი. მე სწრაფად ჩავიკითხე იგი:

„ბატონო არტემ! ალბათ გაგიკვირდებათ, რატომ არ დავიტირე სხვებთან ერთად დავითის ცხედარი. მე ჯანმრთელად ვარ და შემქლო თქვენი მოსამძიმრება, მაგრამ შეგნებულად არ მოვედი.

დავითი მე მახსოვს ლამაზი გარეგნობის, ზრდილი, თავმდაბალი, ძალიან ნიჭიერი, შესანიშნავი მომღერალი, მოსიყვარულე, გულისხმიერი, მხიარული და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა. იგი შევნოდა ჩვენს სოფელს, იგი შევნოდა ჩვენს რაიონს, იგი შევნოდა საერთოდ ადამიანთა მოდგმას.

მე არ შემქლო მენახა მისი დასახიჩრებული და გაციებული სხეული, ეს ორმაგი მწუხარება იქნებოდა ჩემთვის. მე მინდა იგი ისეთივე მედგას თვალწინ, როგორც სიცოცხლეში მინახავს. ასეთივე მინდა მისი სახე წამყვეს სიცოცხლის ბოლომდე. იგი ჩემს მოგონებებს გაალამაზებს.

ვწუხვარ, ვერაფრით განუგეშებთ.

პატივისცემით დ. ანთელიძე“.

ჩემს თვალწინ უცბად გაიბრინა მამაჩემის ტრაგიკულად დღუპვის ამბავმა. იგი დილით ადრე გავიდა სამსახურში და საღამოთი გუნდის რეპეტიციაზე არ მოვიდა.

მაშინ პირველად ვნახე ბაბუა ატირებული. მწუხარება განუზომელი იყო. მთელი სოფელი, მთელი რაიონი თანაუგრძნობდა ჩვენს ოჯახს.

მამაჩემის დასაფლავების დღეს მახარაძეში ოლიმპიადაზე გამარჯვებულთა საღამო იყო დანიშნული. ბაბუას თავისი გუნდი უნდა გამოეყვანა. მამაჩემს და დედაჩემს ამ გუნდში სოლო სიმღერები უნდა შეესრულებინათ.

ბაბუას პატივისცემად გამარჯვებულების საღამო ერთი დღით გადადეს, ხოლო როცა მამა დავსაფლავეთ, მეორე დღეს დილით ჩვენთან მოვიდა რაიონის ხელმძღვანელობა და ბაბუას სთხოვა დაესახელებინა, ვინ შესძლებდა პროგრამის შეცვლასა და გუნდის

გამოყვანას. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე და ყველასაგან მოულოდნელად ბაბუამ სთქვა, შემცვლელი არ მეგულება და ამ საღამოს თვითონ გავუძღვები გუნდსო.

საღამოს ბაბუას გუნდმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. მაყურებელმა ოვაცია გაუმართა არტემ ერქომიანიშვილს და თვალცრემლიანს სცენიდან გასვლის საშუალება არ მისცა. დარბაზში ტაშთან ერთად ხალხის ქვითინიც ისმოდა.

როგორ უჭირდა და იმღერა, იმღერა მაშინ, როცა ჩვენს სოფელში მამაჩემის გლოვის აღსანიშნავად არა თუ სიმღერა არ თქმულა, 40 დღე რადიოც არავის ჩაუერთავს.

— მიცვალებულს პატივისცემა უნდა, — ფიქრებიდან გამომიყვანა ბაბუამ, — გარდაცვლილის ოჯახში თავს იყრიდნენ ახლობლები და ნათესაეები, რათა მიცვალებულის გასაპატიოსნებლად თავიდანვე დაეჭირათ თადარიგი. სხვადასხვა სოფლებიდან მოიწვევდნენ ნათესაეებსა და ახლობლებს, რომლებიც მეზობლებისა და მოზარეების თანხლებით მიდიოდნენ მიცვალებულის დასატირებლად. მიცვალებულის „წესის აგების“ შემდეგ ცხედართან მდგომი მღვდელი ან დიაკვანი წარმოსთქვამდა ანდერძს თითქოს გარდაცვლილის მაგიერ:

„სტიროდეთ ჩემთვის, ძმანო და მეგობარნო,  
მოყვასნო და მეცნიერნო, რამეთუ  
გუშინ თქვენთანა მზრახველ ვიყავ მე,  
და დღეს მოიწია ჩემზე ჟამი სიკუდილისა,  
და წაველ იქ, სადაც არ ირის თვალღება,  
მწუხარება და სულთქმა, სადაც მონა და  
უფალი ერთად წარსდგებიან“.

მოსულ მომტირლებს მოზარეები თუ არ მოჰყვებოდათ, მაშინ მათ ჭიმკართან ადგილობრივი მოზარეები დახვდებოდათ და ზარით მიაცილებდნენ იმ ადგილამდე, სადაც მიცვალებული ესვენა.

ხშირად ეხოში გროვდებოდა მოზარეთა ჩგუფი, რომელიც რიგ-რიგობით მიაცილებდა მომტირლებს მიცვალებულამდე. მიცვალებულს თავზე ადგნენ ჭირისუფლის მიერ მოყვანილი მოზარემგალობლები. ნათესაეების მიერ მოყვანილ მოზარეებს ზარის თქმის უფლება არ ჰქონდათ იქ, სადაც მიცვალებული ესვენა. იმ



დროს, როცა მომტირლების მხლებელი მოზარეები გალობდნენ, ჭირისუფლის მოზარეები ჩერდებოდნენ. ყველა ასაკის მიცვალე-ბულისათვის იგალობებოდა „ზარი“ და „სულთათანა“. აგრეთვე, საგალობელი „ვგოდებ და ვიგლოვ“. ასეთი ტექსტით: „ვგოდებ და ვიგლოვ მე, რაჟამს გულის ხმა ვყოთ სიკვდილი და ვიხილოთ საფლავსა შინა მდებარე მშვენიერება ხატად ღვთისად დაბადებუ-ლი, შეურაცხყად უპატიოდ და უსახურად. ეჰე! საკვირველი რა არს ესე ჩვენი ქვეყანისა ნაშობნო საიდუმლო, ვითარ მივეცემით ზრწნილებასა, ვითარ შევეყვებით სიკვდილსა ქეშმარიტად განჩი-ნებისათა ღვთისათა, ვითარცა წერილ არს, რომელი მიანიჭებს მიცვალებულს განსვენებასა“.

თუ ახალგაზრდის დაკრძალვა იყო, მაშინ შეასრულებდნენ სა-გალობელს „სიჭაბუკის ყვავილი დააჭვნო სიკვდილმან“, ასეთი ტექსტით: „სიჭაბუკის ყვავილი და სიკეთე და მშვენიერება და ახოვნება გვამისა ჟამსა სიკვდილისასა დასჭვნების და დაიხსნების საწყალობელი და თვალთა ნათელი დაშტების და ენა და ხორხი მძვინვარე დასდუმდების და ფეროვნება პირთა უშვერ და ბნელ იქნების, და ქედისა სიმტკიცე შეიმუსვრის, გულის ხმა ვყოთ ეს-



რეთ, ძმანო, გონიერად და აწვე განვემზადნეთ, რათა მას ეამსა საზარელსა არ შევძრწუნდეთ და ხმა ვყოთ ალილუია...“

ამგვარი წესით მივაცილებდით მიცვალებულებს და, რა დასანანია, რომ აღარ დარჩნენ ამ საგალობლის მცოდნენი, რომლებიც თუნდაც თვითონ მოზარე-მგალობლებს სცემენ უკანასკნელ პატივს, — დაამთავრა ბაბუამ.

ძალმა ვილაცას შეუყვება. გარეთ გავიხედე. ლადიკო და ნანიო მოვიდნენ-მეთქი, ვახარე ბაბუას. ბაბუას უცბად შეეცვალა ხასიათი, სახე გაებადრა და მივხვდი, რომ ამ წუთში ამაზე მეტად არაფერი გაახარებდა.

— რავე ხარ, ბიჭო, — პატარა ბიჭებივით გადაეხვივნენ და მოეფერნენ ერთმანეთს 70 წელს გადაცილებული მოხუცები. მე გამეცინა. ბაბუამ ღიმილი შემამჩნია და მომიგო: „ორასი წლისანი რომ გავხდეთ, ბაბუა, ჩვენ ერთმანეთისათვის მაინც „ბიჭები“ ვიქნებით“.

სანამ სუფრა გაიშლებოდა, ძმებმა ეზო მოიარეს, მოესიყვარულნენ თითოეულ ხეს. მოინახულეს საწნახელი, ბაღაში მწვანილი თავიანთი ხელით დაკრიფეს. ხილი გასინჯეს. აქაურს ყველაფერს განსაკუთრებული გემო აქვსო, — თქვა ლადიკომ.

— ღვინოს რომელს დაღევთ, ბიჭებო, რომელი ჭური მოვხადო? — იკითხა ბაბუამ და ძმები მარანში წაიყვანა.

— რომელიც გაგიხარდებო, — უპასუხა ნანიომ და გიგოს მიერ ჩაყრილი ჭურების თვალიერებას შეუდგა.

— ეს ასფუთიანი ჭური აკეთიდან გიგოს ჩამოტანილი არ არის? — იკითხა ლადიკომ გატეხილ ჭურზე, რომელიც წყავის ძირში იყო მიყუდებული და თავის აღმდგენელს ელოდა.

— ეს ამ ვაჟკაცის ნახელავია, — თოხით მიუთითა ბაბუამ ჩემზე და განაგრძო ჭურიდან მიწის აყრა.

ბაბუამ ჭურს თავი მოხადა, ალისფერი ადესა ნაპერწკლებს ისროდა და მაცდური სურნელებით გვიზიდავდა ყველას.

ლადიკომ გიგოსდროინდელ ტუჩმოტეხილ ნახევარფუთიან დიდ ღოქში, გურიასი „ქარიკას“ რომ ეძახიან, ღვინო ჩაასხა და სამზადში შეიტანა. ეთერ, — დაუძახა დედაჩემს, — ძველი ხის სუფრა და სამფეხა სკამები მოიტანე, აქ დავჯდებით! — დედაჩემმა იუარა: — ოღაში მობრძანდითო, მაგრამ ძმებმა დაარწმუნეს, აქ გვირჩევნიაო და სამზადში გაიშალა სუფრა.

თამადად ლადიკო დააყენეს. „დღეს საღვთო მადლმან შეგვკრიბა ჩვენ“, გაისმა პირველი საგალობელი და მივხვდით, რომ დღევანდელი სუფრა ძველებური „სუფრის წესის“ მიხედვით წარიმართებოდა. დიდებული საგალობელი იყო და ვინატრე, უცხო ვინმე არ შემოგვესწრებოდა და თავისი მაღალფარდოვანი საღვთაგრაძეობით ეს შესანიშნავი წესი არ დაერღვია.

ლადიკომ ჭიქა აიღო. „ამ ოჯახს გაუმარჯოს, გიგოს ოჯახს. აქ თითოეული ძირი ხის დარგვა მახსოვს, ამ ოღის თითოეული ფიცრის გამოთლა მახსოვს, ამ ოჯახში ბევრი სტუმარი მახსოვს. ამ ოჯახში შესანიშნავი მომღერლები მახსოვს, გიორგი მახსოვს ბაბილოძე, ჩემო ბაბუა, სიმღერით რომ შემოვიდოდა ჭიშკარში. თითქოს გუშინ იყო, ჩვენ რომ შენოდენები ვიყავით, როგორც შენ გვისმენ ახლა, ჩვენც ისე ვუსმენდით ამ სუფრაზე მსხდომთ: სამუელ და ილარიონ ჩავლენიშვილებს, ბესონია ინწყირველს, გიორგი ბაბილოძეს, ალექსანდრე მახარაძესა და ივლიანე კეჭავაძეს, ნესტორ კონტრიძესა და მელქისედექ ნაკაშიძეს, გიორგი იობიშვილს, ნანიკო ბურძღლას და გიგო ერქომაიშვილს. ესენი ხშირად ისხდნენ ამ ოჯახში ერთად და მღეროდნენ. და იცი ეს რა იყო? მსგავსი შესრულება და სიმღერები მე ჯერ არ მომისმენია და ვერც მოვისმენ, სამწუხაროდ. იცი ესენი ვინ იყვნენ? — გურული სიმღერის დიდოსტატები. აი, ამათ განავითარეს გურული სიმღერები და აიყვანეს უმაღლეს მწვერვალზე. დიახ, ამათ დაუდეს ზღვარი გურული სიმღერების განვითარებას, და ბედის ირონია არ გინდა? მაშინ ტექნიკა არ იყო ისეთ დონეზე, რომ მათი სიმღერები ჩაეწერათ. ახლა კი, წედავ, ბაბუა, მაგნიტოფონი გაქვს, მაგრამ გურული სიმღერების ისეთი შემსრულებლები აღარ არიან. აი, ასეთი სტუმრები ახსოვს ამ ოჯახს. ღმერთმა ფუძე ნუ მოუშალოს და კაი სტუმრები ნუ გამოულიოს“, — თქვა ლადიკომ და დალია.

„ამ ოჯახში ათი და-ძმა გავიზარდეთ, — დაიწყო ნანიომ, — ახლა ხუთნი დავრჩით. სადილზე რომ დავსხდებოდით, წვეულება გეგონებოდათ. დედაჩემი და მამაჩემი მდიდრები არ ყოფილან, მაგრამ პატიოსანი მშრომელი ხალხი იყვნენ და ჩვენც პატიოსნებას გვინერგავდნენ. მახსოვს, ერთხელ წააღი ვიპოვე და სახლში მოვიტანე. გიგომ მკითხა, საიდან მოიტანეო, — მე ვუთხარი, ტყეში ვიპოვე-მეთქი. წაიღე და სადაც იპოვე, იქ დადე, დადე კი არა,

დაკადე. პატრონმა ადვილად რომ მიაგნოსო, — მითხრა. მე უხმოდ შევასრულე მამის ბრძანება. აი, ასეთი იყო გიგო. იგი პატიოსნებასა და სიმღერას გვასწავლიდა, ასეთივე გაიზარდა ამ ოჯახში ყველა და ასეთივე უნდა იყო შენც.

გიგო მთელ სოფელში ჰქუთასაკითხავ კაცად ითვლებოდა. წერაკითხვა იცოდა და ეს მაშინდელ დროში ბევრს ნიშნავდა. მახსოვს, ამ ოდეს რომ ვაშენებდით, მამამ ნადი მოიწვია ტყიდან მასალის გამოსაზიდად. ჩვენი ნადი ყოველთვის მომღერლებისაგან შესდგებოდა და ტყეში გაუთავებელი „ელესა“ ისმოდა. სალამოს. როცა ტყიდან დავბრუნდით, ეზოში უკვე დამუშავებული რამდენიმე დიდი წაბლის ხე იდო. „ეს ხეები დათაია იორამაშვილმა მოგართვა, გიგო. ჩემგან ფეშქაში იყოსო“, — უთხრა ნენამ. სწორედ ეს ხეები უდევს ამ სახლს დღეს საძირკველად. და ეს საძირკველი ღმერთმა ნუ მოუშალოს. ამ ოჯახს გაუმარჯოს გიგო ერქომაიშვილის ნაპრაელით, ღმერთმა მშვიდობა არ მოგიშალოო“, — დაამთავრა ნანიომ და ლადიკომ „ჩვენ მშვიდობა“ წამოიწყო. ნანიომ პირველი უთხრა, არტემმა ბანი. პირდაპირ გასაოცარი იყო მათი ღმის დიაპაზონები. სამივე ძმას შესანიშნავი ბანი ჰქონდა, ამავე დროს, თავისუფლად შეეძლოთ ყველა ხმის მღერა.

პირველი მუხლი რომ იმღერეს, ლადიკომ თვალთ მანიშნა, ახლა შენ გვითხარი პირველიო, და სიმღერა მოაბრუნა. მოაბრუნა და, ღმერთო მიშველე, ისე ჩაახვიეს ხმები და ისეთი ლაბირინთი შექმნეს, რომ თუ აქედან გამოვძვერი, მერე რაღა მიჭირს-მეთქი, ვიფიქრე. მესამედ რომ მოაბრუნეს სიმღერა, მივხვდი, სუფრის წესის მიხედვით მიდიოდნენ. რადგან სხვა მომღერლები არ ჰყავდათ, რომ გასჯიბრებოდნენ, მე დამიხმარეს, თან ხმებს უცვლიდნენ ერთმანეთს, იმპროვიზაციის კორიანტელი დააყენეს და ამით ცოტა გული მოიხეს.

სიმღერის დროს იმდენი უცხო ვარიანტი მოვისმინე, დამთავრებისთანავე ბაბუას ვუსაყვედურე, მთლად ასე არ გისწავლებია ჩემთვის-მეთქი. მთლად ასე არც ჩვენთვის უსწავლებიათო, მიპასუხა, მტკრამ ჩვენ თვითონ ვავითარებთ ხმებს. კარგი გურული ნომღერალი ორჯერ ერთნაირად არ გაიმეორებს სიმღერას. მას წინდამდეგ ესმის სიმღერის დაბოლოება და, თუ მიზანს ხედავ, იქ მოსვლას რა უნდა, რომელი გზითაც გინდა იარო, რამდენიც უნდა აუხვიო და ჩაუხვიო, მაინც იქ მიხვალ. ასეა ჩვენი სიმღერაც. ხმე-



დგანან III რიგში მარცხნიდან: ნანიკო ბურძგლა, მასიკო სალუქვაძე, ივლიანე  
 კეჭუყმაძე (ანტრეპრენიორები).

სხედან II რიგში: გიორგი ბაბილოძე, გიგო ერქომაიშვილი, გიორგი იაბიშვილი.

სხედან I რიგში: არტემ ერქომაიშვილი, ერმილე მოლარიშვილი, ლუკა თიაძე.  
 თბილისი, 1907 წ. აპრილი

სურათი გადაღებულია გრამფირფიტაზე სიმღერების ჩაწერის დროს.

ბი როგორც არ უნდა დავგრიბოთ, ვიცით, სად მივედით, მაგრამ  
 ორჯერ ერთნაირად დავრება ძნელია, თუმცა ჩემი გალობის მასწავ-  
 ლებელი მეღქმისედეგ ნაკაშიძე მეტყობდა: „ბაწარს რომ დავრებს,  
 მაგრდება, მაგრამ ზედმეტად რომ დავრებს, გაწყდებაო“. სიმღე-  
 რას ზომაზე მეტი „დავრება“ არ შეენის.

„სუფრის წესი“ ეშხში შევიდა. სადღეგრძელოებთან დაკავ-  
 შირებული ბევრი სიმღერა იმღერეს. დაკარგული შეიღებების სად-  
 ლეგრძელოს რომ სვამდნენ, ნანიოს ცრემლი მოერია. „ჩვენი უბე-

დურება ჩემი გივის დაკარგვით დაიწყო. ქერჩთან დაიღუპა საცო-  
დავი. რა ვაქცატი იყო, ქე გახსოვთ“. „მერე როგორ მღეროდა, —  
ჩაერია საუბარში ბაბუა. — ომში წასვლის წინ გამომიარა და და-  
მეპშვიდობა, ძველი „მრავალყამიერი“ წამოიწყო. ომიდან რომ  
დავბრუნდები, ყველა სიმღერა უნდა მასწავლო, რისი სწავლაც  
ვერ მოვასწართო, — მითხრა. აღარ დაბრუნდა. მერე ამას ჩვენი  
ბახული მიჰყვა, — განაგრძო ბაბუამ. — ლადიკოს სიცოცხლე აღარ  
უნდოდა, მაგრამ ცხოვრება თავისას თხოულობს. ახლა აგერ და-  
თიკო დავკარგეთ. სამმა ძმამ, ჩემო ბაბუა, სამი ერთმანეთზე უკე-  
თესი ბიჭები მივაბარეთ მიწას და ქე ვართ მაინც ცოცხლები,  
ვართ და უნდა ვიცოცხლოთ დიდხანს, რადგან საქვეყნო საქმე  
გვაბარია, სიმღერა დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა და სანამ საი-  
მედო ხელს არ ჩავაბარებთ, ფეხს არ მოვიცვლით ამ ქვეყნიდან“.

არტემმა დაბალი ბანით დაიწყო საგალობელი „სიჭაბუკის ყვა-  
ვილი დააქკნო სიკვდილმა“. საგალობელი ჯერ ჩუმად დაიწყეს, მე-  
რე ცოტა მოუმატეს ხმას და ბოლოს ცრემლნარევი ღიღინით და-  
ამთავრეს. შემზარავი მოსასმენი იყო. მე ეს საგალობელი პირვე-  
ლად მოვისმინე და, უნდა გითხრათ, წარუშლელი შთაბეჭდილება  
მოახდინა ჩემზე.

ლადიკო უცებ გამოცოცხლდა, — 1931 წელს სამი დიდებული  
გურული მომღერალი დავკარგეთ: შესანიშნავი პირველი ხმა სა-  
მუელ ჩავლეიშვილი, წვრილის განუმეორებელი მთქმელი გიორგი  
ბაბილოძე და იშვიათი ბანი ნესტორ კონტრიძე. დავკარგეთ გურუ-  
ლი სიმღერის სამი დიდოსტატი, რომელთა მსგავსი არასოდეს გან-  
მეორდება. არტემმა მათ ხსოვნას მიუძღვნა პატარა ლექსი და შემ-  
დეგ მასზე სიმღერაც ააგო. მე მინდა ამ ხალხის სახით დაკარგული  
დიდი მომღერლების და ქართული სიმღერის სადღეგრძელო „შე-  
მოგთავაზოთ“, — ნანიომ არტემს გადახედა და შემოსძახა...

დავკარგეთ სამი მომღებელი,

მსმენელთა დამატებობელი...

„ეჰ, რამდენი კარგი გვაქვს მოსაგონებელი, — თქვა სიმღერის  
შემდეგ ბაბუამ. — მარტო ნაღზე რომ ნაღურებს მოისმენდი, ის  
რად ღირდა...“

„საღამოს, — განაგრძო არტემმა, — ვახშმად გვეწვია მასიკო სა-  
ლუქვაჟე. მასიკო წარმოშობით სოფ. ლიხაურიდან იყო, თბილისში  
საკუთარი სამკერვალოები ჰქონდა და სიმღერის დიდი ტრფიალი

განლდათ. მასიკო აღტაცებული დარჩა მამაჩემის და მისი ჯგუფის სიმღერით. გიგო, — უთხრა დილით მამაჩემს, — თბილისში უცხო-ელები არიან ჩამოსული და ფირფიტაზე ქართულ სიმღერებს იწე-რენ, თქვენც უნდა ჩამოგიყვანოთ და სიმღერები ჩაგაწერინოთ.

ასე გაემგზავრა თბილისში სიმღერების ჩასაწერად გიგო ერქო-მაიშვილის ჯგუფი 1907 წელს შემდეგი შემადგენლობით: გიორგი ბაბილოძე, ივლიანე კეჭაყმაძე, გიორგი იობიშვილი, ნანიკო ბურ-ძგლა, ერმილე მოლარიშვილი, გიგო ერქომიშვილი, ლუკა თოი-ძე და მე. მე და ლუკა მაშინ ახალგაზრდები ვიყავით. უცხოელები აღაფრთოვანა გურულმა სიმღერებმა და მამაჩემს ინგლისსა და გერმანიაში კონცერტებზე გამოსვლაც კი შესთავაზეს.

ჩავეწერეთ სიმღერები, მასიკომ შესანიშნავად გვიმასპინძლა, შემდეგ სამახსოვრო სურათიც გადავიღეთ და დავბრუნდით“.

ბაბუა ადგა, სიძველისგან გაყვითლებული სურათი და ერთი ძველი ფირფიტა მოიტანა და პატეფონზე დადო. ფირფიტაზე ფრთიანი ანგელოზები ეხატა. ლადიკო და ნანიო სურათს დაჰყუ-რებდნენ.

„აბა გიორგი, ერთი ძველი შვიდკაცა, თუ ძმა ხარ“, — გაისმა პატეფონიდან ივლიანე კეჭაყმაძის ხმა და გიორგი იობიშვილმაც შემოსძახა. წვრილს გიორგი ბაბილოძე ასრულებდა, ბანს 20 წლის ბაბუა არტემი. ძმები თვალდახუჭულნი სმენად გადაქცეულიყვნენ, მე მათ სახეებს დავაკვირდი და მივხვდი, რომ ამ წუთში ისინი ფიქრით პატეფონში „ჩამწყვდეულ“ მომღერლებთან იყვნენ.

„1929 წელს ლენინგრადში მიგვიწვიეს ოლიმპიადაზე გამარჯ-ვებულები, — დაიწყო ლადიკომ სიმღერის დამთავრების შემდეგ, — გიგო მაშინ 90 წლისა შესრულდა, ხოლო გიორგი 95-ს იყო მიღწეული. კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. პრესამ მა-ღალი შეფასება მისცა ჩვენს სიმღერებს. ლენინგრადის კონსერ-ვატორიის პროფესორები დაესწრნენ კონცერტს. ისინი აღაფრთო-ვანა ამ ორი მოხუცის სიმღერამ, კერძოდ, გიორგის კრიმანჭულმა. კონცერტის შემდეგ მას ყელიც კი გაუსინჯეს, რაიმე ხომ არ უღევს შიგო.

ერთ-ერთ კონცერტს დიდი ფრანგი მწერალი რომენ როლანი მაქსიმ გორკისთან ერთად დაესწრო. ჩვენმა სიმღერებმა ისინი აღაფრთოვანა. კონცერტის შემდეგ მოვიდნენ და გულითადი მად-ლობა გადაგვიხადეს. რომენ როლანი ჩვენით დაინტერესდა და

ბევრი შეკითხვა დაგვისვა. გამომშვიდობებისას მთხოვა, „მომას-  
მენინეთ ეს საოცარი ხასანბეგურაო“, და როცა სიმღერა დავამ-  
თავრეთ, გვითხრა: ბედნიერია ის კუთხე, სადაც ასეთი ხალხი  
ცხოვრობს, ბედნიერია ის ხალხი, ვისაც ასეთი სიმღერები აქვსო.  
გიპიუსმა ჩვენი სიმღერები პროფ. კუშნარიოვის ხელმძღვანელო-  
ბით ფილფონოგრამაზე ჩაწერა. ეს ჩანაწერები ახლა სადაა, არ  
ვიციო.

ასეთი წინაპრები გვყავდა, ბაბუ, ჩვენ, მათ არა მარტო სიმღე-  
რით, არამედ თავიანთი ქცევითაც მოხიბლეს უცხოელები. ამ უს-  
წავლელ ხალხს საზოგადოებაში ისე ეჭირა თავი, ისეთი შინაგანი  
კულტურა გამოამქლავნეს, რომ ბევრ განათლებულ კაცს შეშურ-  
დებოდა. თუმცა კულტურა მარტო განათლებაზე არ არის დამოკი-  
დებული. ზრდილობა და პატიოსნება კაცს ისევე უნდა დაჰყვეს,  
როგორც ნიჭი. იგი ღვთის ნაბოძებია. გახსოვდეს, ბაბუ, ჯერ კაცი  
კაცად უნდა ვარგოდე და შენს ხელოვნებას მერე ექნება ფასი“. —  
მითხრა არტემმა და თან მთხოვა, — ერთი სიმღერა კიდევ წამოგ-  
ვიწყეო.

უარის თქმა აღარ შეიძლებოდა და ყოველგვარი პაუზის გარე-  
შე დავიწყე „მე რუსთველი“. მოძახილი ლადიკომ მითხრა, ბანი  
ბაბუამ. „გადაძახილზე“ ნანო უნდა მოგვხმარებოდა და გვიან შეე-  
ნიშნე, რომ ლუკმა ელო პირში. როცა სიმღერა დავამთავრე, ბა-  
ბუამ მითხრა: მარტო სიმღერის ცოდნა არ კმარა, ხალხს უნდა გა-  
დანედო, არიან თუ არა მზად. მას შემდეგ აგერ რამდენმა ხანმა  
განვლო და ეს სიტყვები ყოველთვის მახსოვს სიმღერის დაწყების  
წინ.

როცა ერთმანეთს აღდგურებდნენ, ნანომ გადაკოცნა ძმე-  
ბი და მე მომიბრუნდა: „ჩვენ ერთმანეთის ქებას არ მოყვებით,  
სიმღერით დავლოცავთ ერთმანეთს, ამ სიმღერის ისტორია ასეთია:  
მე, ლადიკომ და არტემმა ერთი ფირალი დავუშალეთ სტრაჟნიკებს  
და სიკვდილს გადავარჩინეთ. შემდეგ ლადიკომ ლექსი მისწერა მას.  
გავიდა დრო და ამ ფირალისაგან მივიღეთ პასუხი, რომელზედაც  
არტემმა სიმღერა ააგო“, — თქვა ნანომ და შემოსძახა:

ლექსი მიძღვენ, გამეხარდა,  
ვკითხულობ, სევდას ანელებს,  
მოძმე კირს შიგან გახსოვდეს —  
ზნედ დაყოლია ქართველებს.

პასუხს მოგიძღვნი ერთგნით სამს,  
შიგ ჩამოგივლი ხახელებს,  
ლადიკოს, არტემს, ნაინოს,  
ხალხურ მუსიკის მომღერლებს.

როცა სუფრიდან ვდგებოდით, არტემმა ლადიკოს სთხოვა, ერთი „შავი შაში“ ვიმღეროთო. ლადიკომ დაიწყო. დაიწყო და, ღმერთო, როგორ ჩამრჩა ეს ხმა მეხსიერებაში. რა საოცარი სითბო და ხავერდი ჰქონდა ხმაში, რამდენი ობერტონები, რამოდენა გრძნობა და სილამაზე...

იმ საღამოს ღვინო ცოტა შეისვა. სადღეგრძელოები ბევრი ითქვა, სიმღერები კიდევ უფრო მეტი. ძმებმა მოიგონეს ბევრი სასასიამოვნო ამბავი. ჩვენ თითქმის დილამდე ვისხედით სუფრასთან და როგორ მინდოდა, ეს ღამე დიდხანს გაგრძელებულიყო.

ეს საღამო ძალიან თბილად დამამახსოვრდა. იმ ღამეს ბევრი საინტერესო რამ გავიგე. მოწმე გავხდი ნამდვილი „სუფრის“ წესისა და დავრწმუნდი, რამდენი საქმეა გასაკეთებელი იმისათვის, რომ ეს დიდებული ტრადიცია არ დაიკარგოს.

ამის შემდეგ კიდევ უფრო დავინტერესდი გურული სიმღერებით და ბაბუას ვთხოვე, რაც შეიძლება მეტი სიმღერა ესწავლებინა ჩემთვის. განა ბაბუას თხოვნა უნდოდა! ყველაზე დიდი სიამოვნება ის არის ჩემთვის, სხვას რომ სიმღერას ვასწავლიო, — იტყოდა ხოლმე.

ერთხელ ვკითხე: — ბაბუ, ამდენს რომ მამღერებ, მე დავიღალე და შენ არ იღლები-მეთქი?

— რა მოგივიდა, ბიჭო, ერთი სიმღერის შესწავლამ ასე დაგღალა. ჩემი მასწავლებელი ხანდახან დღეში ათ საგალობელს გვასწავლიდა!

— როდის დაიწყე მასთან მეცადინეობა? — ვკითხე მე.

— „20 წლისა ვიყავი, ფირფიტებზე რომ სიმღერები ჩავეწერეთ. იქიდან რომ დავბრუნდით, ერთ საღამოს მამაჩემს წვეულება ჰქონდა. ჩვენთან სტუმრად იყო სახელგანთქმული მგალობელ-მომღერალი მელქისედეგ ნაკაშიძე. მას ძალიან მოეწონა ჩემი ხმა, მუსიკალური მონაცემები და მამაჩემს სთხოვა: გიგო, გამატანე ეს ბიჭი, სიმღერა-გალობას ვასწავლი და კაცს გამოვიყვანო. მამაჩემი დათანხმდა. ასე აღმოვიჩინდი მელქისედეგ ნაკაშიძის ოჯახში.



ჩემთან ერთად გალობას სწავლობდნენ დიმიტრი პატარავა, სამუ-  
ელ ჩხიკვიშვილი და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა.

თვითონ მელქისედეგს გალობა ანტონ ღუმბაძისაგან შეუსწავ-  
ლია. ანტონ ღუმბაძე და მისი შვილი დავითი იყვნენ მასწავლებ-  
ლები ისეთი დიდი მგალობელ-მომღერლებისა, როგორიც არიან:  
ნესტორ კონტრიძე და ვარლამ სიმონიშვილი. ვინაიდან გალობა  
გურიაში ღუმბაძისაგან ჰქონდათ ნასწავლი, ამიტომ ამ საგალობ-  
ლებს ღუმბაძის კილოს ეძახიან.

მელქისედეგი დიდად განათლებული კაცი იყო. არაჩვეულებრი-  
ვად იცოდა ლიტერატურა და პოეზია, ჰქონდა იშვიათი მეხსიერე-  
ბა და დაჯილდოებული იყო შესანიშნავი ადამიანური თვისებებით.  
იგი თავის მოსწავლეებს ასმევდა, აკმევდა, აცმევ-ახურავდა და  
მათ ოჯახებსაც ეხმარებოდა. მანსოვს, ერთხელ, აღდგომის წინა  
ღღეს სახლში გამიშვა, გამატანა ბევრი ტკბილეულობა და ფული,  
გიგოს გადაეცა, ბავშვებს თითო წულა შეუკეროს ჩემს სახელზეო.  
ხშირად ნახავდით მის სახლთან ატუზულ მათხოვრებს, რომელ-  
თაც ყოველთვის ეხმარებოდა.

ამ ოჯახის ხშირი სტუმარი იყო იტალიიდან ახლადდაბრუნებუ-  
ლი ცნობილი საოპერო მომღერალი ფილიმონ ქორიძე, რომლის  
ხმამ განცვიფრებაში მოგვიყვანა სუყველა. ასეთი დიდი და ლამა-  
ზი ტემბრის ბანი არ გაგვეგონა...

გალობის შესწავლის დროს ვსარგებლობდით ხელოვნური ნიშ-  
ნებით, ე. წ. „ნევმებით“, რომელიც მიუნიშნებდა ხმის აწევ-და-  
წევას და გვიადვილებდა საგალობლის შესწავლას. ერთი დღის  
განმავლობაში ხშირად 10 საგალობელიც კი შეგვისწავლია. ვსწავ-  
ლობდით საგალობლის სამივე ხმას, თავისი ვარიანტებით.

ამგვარი წესით ორი წლის განმავლობაში ორი ათასამდე სა-  
გალობელი შევისწავლეთ. როცა გალობის შესწავლა დავამთავრე,  
სრულიად ახალგაზრდა გამგზავნეს სამეგრელოში სიმღერა-გალო-  
ბის მასწავლებლად. იმ დროს დასავლეთ საქართველოში გალობის  
ერთი კილო იყო გამეფებული. მარტვილის მონასტერში გალობდა  
ცნობილი მგალობელის (დავით ღუმბაძის მეგობრის) დიტო (დი-  
მიტრი) ჭალაგანიძის ჯგუფი.

ერთ დღეს ვიდაც დიდებულს ასაფლავებდნენ. მარტვილის მო-  
ნასტერში მის პატივსაცემად წირვა იყო გამართული. მოხდა ისე,



რომ დიტოს ერთ-ერთი მგალობელი ავად გაუხდა და ეძებდა დამხმარეს. მე შევთავაზე დანხარება.

— ყმაწვილო, რომელ ხმას იგალობებთ? — მკითხა დიმიტრიმ.

— რომელიც გნებავთ, — ვუპასუხე მე.

მან გაკვირვებულმა შემომხედა ცოტა გადაჭარბებულად მოეჩვენა ჩემი ნათქვამი.

— მაშ, კარგი, ბანი გვაკლია და დაგვეხმარეთ, — მითხრა მან. შევეასრულეთ ყველა საგალობელი, რაც კი საჭირო იყო წირვის დროს. როცა ყველაფერი დამთავრდა, დიმიტრიმ შემეყვანა თავის ოთახში, მადლობა გადამიხადა და მითხრა, როდის მოასწარი, ბიძია, ამდენი საგალობლის შესწავლა ასე ახალგაზრდა კაც-მაო.

დიტო ფრიად წარმოსადეგი მოხუცი იყო, შესანიშნავი ხმის პატრონი, კარგი მგალობელი. შემდეგში ჩვენ ხშირად ეხვდებოდით ერთმანეთს და ეს შეხვედრები სასიამოვნო მოგონებად მრჩება დღემდე.

ბაბუა თავისუფალ დროს ან სიმღერას მასწავლიდა, ან მიაბზობდა ძველ რიტუალებზე, ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებზე, მათთან დაკავშირებულ სიმღერებზე, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მტკიცედ იქნა დაცული და რამაც სიმღერა რიტუალის შემადგენელი ნაწილი გახადა.

— სიმღერა ითვლებოდა გურიაში ერთ-ერთ განმკურნებელ საშუალებად. სიმღერას განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა სახადით, კერძოდ, „წითელით“, „ყვიანახველით“ და „ყვავილა-ბატონებით“ დაავადებულის განსაკურნავად. ავადმყოფის ლოგინსა და ოთახს მორთავდნენ წითელი ნაკრებითა და ყვავილებით, დაუნთებდნენ თაფლის სანთლებსა და ბაზმას (შაქარმოყრილი ნიგოზი), რომელიც წვის დროს სასიამოვნო სურნელებას გამოსცემდა. ოთახში ასხურებდნენ ვარდის წყალს, შემდეგ ავადმყოფს თავზე „შემოავლებდნენ“ შესაწირავს (ყვინჩილას, ვარიას ან თიკანს), ფეხშიშველი მივიდოდნენ ეკლესიასთან და „ბატონებისათვის“ დაპირებულ შესაწირავს გაუშვებდნენ ეკლესიის ეზოში. ამის შემდეგ იწყებოდა ბატონებისათვის „მობოდიშება“, ლოცვა და ჩონგურზე „დადილინება“. ძველად ჩონგურის თანხლებით სიმღერას „დადილინებას“ ეძახდნენ.

ოჯახის წევრები და ხშირად მეზობლებიც (მეტწილად ქალები) მიუხსნდებოდნენ ავადმყოფს ლოგინთან და ჩონგურზე „ბატონებოს“ დაადილინებდნენ ასეთი ტექსტით:

„ბატონებო, მოუოხეთ, მოუოხეთ, ბატონებო,  
ლაშაზი ბატონებია, ია და ვარდი ჰფენია.  
თეთრი ტანისამოსებით მობრძანდებიან ბიჭები,  
ლაშაზი ბატონებია, ია და ვარდი ჰფენია.  
ბატონებს ეხვეწებიან, ეხვეწებიან ბატონებს,  
შემოგწირავ იას და ვარდს და დაგინთებ წმინდა ბაზმას.  
თეთრი ცხვარი და თხის ჯოგი მორბის, თიკანმა იხტუნა.  
გაუხარდა ბატონებსა და უცხად პირი იბრუნა“.

ჩონგურზე დამკვრელ ქალს გურიაში დიდი დაფასება ჰქონდა. „ერთ ქალად მარტუაი იგი ღირს, ის რომ ჩონგურზე დაადილინებოს“, — იტყოდნენ ძველები. ჩონგური საუკეთესო სამაჩხსოვრო საჩუქარი და მზითვეის აუცილებელი ნაწილი იყო.



მარცხნიდან, სხედან: სერაფიმონ კუკულაძე, კოჭია და ალქასხას ზუზუნაშვილი, დგანან: ზაქარია ფიფიაშვილი, რაჟდენ, გესარიონ და ესოფი ზუზუნაშვილები

სიმღერა-გალობა გურიაში საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ დღესასწაული, ქორწილი, შრომის პროცესიც უსიმღეროდ ვერ ჩაივლიდა. განსაკუთრებით მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული შრომა და სიმღერა. სიმღერა შრომის ხალისს უღვივებდა ხალხს, ამიტომ ნაღზე, როგორც წესი, პირველად მომღერლებს მოიპატიებდნენ.

ნადი იყო ჭგუფი, რომელსაც გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად მოიწვევდნენ. ნადის მიერ შესრულებულ სიმღერებს ნადურებს უწოდებდნენ. ნადს იწვევდნენ ტყიდან საწნახელის, საშენი მასალის, ან შეშის გამოსატანად, ყურძნის კრეფაზე და თესვის დროს, თონხასა და ყანის აღებაზე, მოწეული სიმინდის გარჩევაზე და სხვა. ყველა ამ სამუშაოს შესრულების დროს შესაბამისი სიმღერები იმღერებოდა. მაგ. ტყიდან საწნახელის ან საშენი მასალის გამოტანის დროს „ელესა“ იმღერებოდა.

საწნახელს ძირითადად ცაცხვისაგან აკეთებდნენ, რომელსაც თებერვალში მოჰკრიდნენ (სანამ ხეში წყალი ჩაღებოდა), ხე რომ არ დახეთქილიყო და არ დამპალიყო. საწნახელს გამოთლიდნენ, დაელოდებოდნენ, სანამ გახმებოდა და მოიწვევდნენ ნადს მის ჩამოსატანად. საწნახელის გამოსათრევ გზას წინასწარ გაკაფავდნენ. საწნახელს გვერდიდან ხელის მოსაკიდ სამკლავეებს უკეთებდნენ. სამკლავეებად ნედლი წყავის, ან თხილის ტოტებს დაგრებდნენ. ღვინის გამოსაღებს წინასწარ გაბურღავდნენ წინ და შიგ მსხვილ თოკს გამოაბამდნენ. ყოველივე ამის შემდეგ შეუდგებოდნენ საწნახელის გამოთრევას. დიდი საწნახელის გამოსატანად საჭირო იყო 20-30 კაცი. იმისათვის, რომ ამდენ ხალხს ერთად მოეწიათ თოკი, გარკვეული რიტმით ვილაცას ხელმძღვანელობა უნდა გაეწია. ამ სამსახურს „ელესა“ უწევდათ.

რომელიმე მომღერალი დაიძახებდა, „ელესა და“ — „ესა“ უპასუხებდა ნადი. „ესას“ ძახილზე ერთად გამოსწევდნენ თოკს და საწნახელს წინ მოუწაცვლებდნენ ადგილს. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მას სწორ გზაზე არ გამოიტანდნენ.

ამგვარად, შეძახილი „ელესა და“ — იყო გამაფრთხილებელი, ხოლო „ესა“ სამუშაოს შესრულების ნიშანი. ამის შემდეგ მომღერლები შეუდგებოდნენ სიმღერის მეორე ნაწილს, რომელიც ორპირულია (ორი ჭგუფი ასრულებს მიმდევრობით). სიმღერას იმღერებდნენ იმდენჯერ, რამდენსაც შრომის პროცესი მოითხოვდა.

ყურძნის კრეფის დროს „აგიდელას“ მღეროდნენ, ხოლო სიმინდის გარჩევის დროს „კალოს ხელხვევებს“.

ყანაში მუშაობის დროს სრულდებოდა ნადურების მთელი წყება. ყანაში შესრულებულ ნადურს ხშირად „ყანურს“ უწოდებდნენ. ყანური სიმღერები, განსხვავებით სხვა ჟანრის სიმღერებისა, ოთხხმიანობით ხასიათდება. ისინი გურიაში ყველაზე გრძელი და ძნელი სიმღერებია.

ნადურები მრავალნაირი იყო, აღმოსავლეთ გურიის ნადური დიდად განსხვავდება დასავლეთ გურიის ვარიანტისაგან. დასავლეთ გურიის ნადურები ახლოს დგას აჭარულთან, ასე რომ, ნადურების კარგი მცოდნე კაცი აჭარლებთან თავისუფლად იმღერებდა.

ნადის წევრები დილით ადრე მასპინძელთან იკრიბებოდნენ. თოხებს ყუით შემოჰკრავდნენ რომელიმე ხეს და საუზმის შემდეგ წავიდოდნენ ყანაში, სადაც მუშაობასთან ერთად დილის ნადურებს იწყებდნენ.

შემდეგ „მზის გულზე“ ჯოხს ჩაასობდნენ მიწაში და, როცა ჯოხს ჩრდილი გაუქრებოდა (12 საათზე), შუადღის ნადურებს იმღერებდნენ ასეთი ტექსტით:

„მამინოსა მწყერი უყვარს,  
შევარდენსა ნადირობა,  
თუ მასპინძელს ნადი უყვარს,  
აწი კია სადილობა“.

შუადღეზე მასპინძელი სადილს მოიტანდა. ნასადილევს ზარმელის ნადურებს დაიწყებდნენ (ზარმელს სადილსა და ვახშამს შორის სამხარს ეძახდნენ), ხოლო სადამოს აუცილებლად მოკლე ნადურს — „გორდელას“ იმღერებდნენ.

ნადური აადვილებდა შრომას, ახალისებდა ხალხს. ხშირად ნადურის ხმაზე ხალხი თავიანთ ყანებს სტოვებდა და ნადს უერთდებოდა. თუ ადრე მორჩებოდა ნადი ყანას, მოთაღრე (მეზობელ) ყანას გაათოხნიდნენ. როცა ყანას მორჩებოდნენ, „ელესას“ მეორე ნაწილს იმღერებდნენ და ამით ამცნობდნენ სამუშაოს დამთავრებას.

მთელი დღე, მუშაობის დროს, ნადურებს ისე ომახიანად ასრულებდნენ, რომ იგი ხშირად რამდენიმე კილომეტრზე ისმოდა.

ვარე ნადურებს მხოლოდ ყანაში მღეროდნენ, ხოლო უფრო გვიანებით, თავშეყრის ადგილებშიც დაიწყეს მისი შესრულება. მაგალითად, წირვის შემდეგ შეიძლებოდა ეკლესიის ეზოშიც ემღერათ.

ბაბუა, მთელი ჩემი მახსოვრობის პერიოდში, გუნდს ხელმძღვანელობდა. ამ გუნდში მაშინდელი ცნობილი მომღერლების გარდა ჩვენი ოჯახის წევრებიც მონაწილეობდნენ, არტემის შვილები, მვილიშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, რძლები...

ასევე ბევრი მღეროდა ჩვენს სოფელში. მათ შორის მინდა მოვიგონო იუმორითა და სიკეთით სავსე კაცი გიორგი ვაშალომიძე.

ჩვენი ოჯახი, თავისთავად, ცალკე გუნდს წარმოადგენდა. საოცარი მოსასმენი იყო, როცა ზამთრის გრძელ ღამეს შევიკრიბებოდით ან ჩვენთან, ან ლუკა თოიძის ოჯახში და ისმოდა ტკბილი საჩონგურო სიმღერები. ლუკა თოიძე ბაბუას სიძე იყო, დის ქმარი, შესანიშნავი მომღერალი, კარგი გარეგნობისა და კარგი ოჯახის პატრონი. იგი სიმღერას გიგოსთან სწავლობდა, შემდეგ მისი ქალიშვილი შეირთო ცოლად და ერქომაიშვილებს სიკვდილამდე არ მოშორებია.

ლუკას ოჯახშიაც ყველა მღეროდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი ვაჟი ამირანი და მეუღლე ნუნუ.

ჩვენი ოჯახური გუნდი დიდ კონცერტებსა და ოლიმპიადებშიც იღებდა მონაწილეობას და ყოველთვის მაღალ შეფასებასა და ჭილდოს იმსახურებდა.

განსაკუთრებული ყურადღებითა და სიყვარულით ექცეოდა ბაბუა ამირანის უფროს ვაჟს ბადრის. ბადრისგან კარგი მომღერალი დადგებო, ამბობდა ბაბუა და აკი შემდეგშიაც ჩემთან ერთად გაუკატა გზა მუსიკალური განათლებისაკენ.

ბაბუა ჩვენი ნათესაობის შემაკავშირებელი ხიდი იყო, ერთმანეთისადმი სიყვარულს უნერგავდა ყველას. „რაც უნდა დაკავებულ იყო, იმის საშუალება მაინც უნდა ნახო, რომ ნათესავები მოინახულო. ნათესაობა და მოყვრობა სიახლოვეა. თუ ერთმანეთი ხშირად არ მოვინახულებთ, ერთმანეთი დაგვაფიწყდება და სიყვარულიც განელდება“, — იტყოდა იგი.

სუფრაზე თვითონ ცოტას სვამდა და გადაჭარბებული დაღევა სხვისიც არ უყვარდა. ასევე ვერ იტანდა სიმღერის დამახინჯებას. ერთ სუფრაზე ერთმა სუსტმა მომღერალმა გააშარჟა გურული

სიმღერის ბანი, რომელიც ძალის ყეფას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიმღერას. ბაბუა საშინლად განაწყენდა.

„ახალგაზრდავ, არ გეკადრებათ ასეთი ხუმრობა, თქვენ ჯერ სიმღერის გალამაზების უფლება უნდა მოიპოვოთ თქვენი ცოდნითა და გამოცდილებით, თორემ სიმღერის დამახინჯების უფლება ვინ მოგცათ. თქვენი შექმნილი სიმღერა შეგიძლიათ გააშარჯოთ, ხალხის შექმნილი საუნჯის ხელყოფის უფლება კი არა გაქვთ“, — წყრომით თქვა მან.

\* \*

ჩემი სტუდენტობის პერიოდში ბაბუა ხშირად ჩამოდიოდა თბილისში. ჩამოდიოდა იმიტომ, რომ სიძღვრები ჩაგვეწერა და ჩვენნი ვოკალური ანსამბლის რეპეტიციებს დასწრებოდა.

ანსამბლს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სახელწოდება.

ბაბუამ ახლოს გაიცნო ანსამბლის შემადგენლობა და როცა გაიგო, რომ კრიმანჭულის შემსრულებელი გომარ სიხარულიძე გვეყავდა, დიდად გაიხარა. „არსებობს ერთი ძალზე ძველი ოთხხმიანი მოკლე ნაღური, რომელსაც თქვენი ანსამბლი კარგად შეასრულებს. გიგოს შემდეგ ის არავის უმღერია და, ვფიქრობ, გურული ნაღურების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია“, — მითხრა ბაბუამ.

სიმღერა ნოტებზე ჩავიწერე და ბაბუას კონსულტაციით ანსამბლს შევასწავლე. იგი მართლაც ძალიან მოგვეწონა ყველას და როცა მათ ურეგულმა ოცნებამ გაამართა ამ ნაღურის შესრულების გამო, გადავწყვიტეთ, ანსამბლისათვის ამ უძველესი ოთხხმიანი ნაღურის სახელი — „გორდელა“ დაგვერქმია.

ბაბუა ძალიან დაუახლოვდა ანსამბლის წევრებს, რომლებიც ლექციების შემდეგ ჩვენთან მოდიოდნენ და ბაბუაც გვასწავლიდა ძველ სიმღერებს. „თქვენი ანსამბლი დიდ სახელს მოიხვეჭს. მან უდიდესი სამსახური უნდა გაუწიოს ერს, მსოფლიოს უნდა გააცნოს ქართული ხალხური სიმღერებიო“, — გვითხრა ბაბუამ ერთხელ.

მართლაც, ანსამბლი თანდათან პოპულარული ხდებოდა. 1965 წელს ამიერკავკასიის მუსიკალურ განათხულებზე ჩამოსული სტუმ-



რები აღაფრთოვანა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა ანსამბლ „გორდელას“ შესრულებით.

პრესა უმაღლეს შეფასებას აძლევდა ქართულ ხალხურ სიმღერებს და ანსამბლის საშემსრულებლო კულტურას, ხოლო გურული სიმღერისა და საგალობლების შესახებ ამერიკელი კომპოზიტორი ალან ოვანესი წერდა: — „ბახი რომ ცოცხალი იყოს, ისიც აღფრთოვანდებოდა ასეთი პოლიფონიით“.

როცა ბაბუამ ეს სიტყვები წაიკითხა და ამ სიმღერების შემკრებთა შორის თავისი გვარი დაინახა, თვალზე ცრემლი მოადგა. ეს სიხარულის ცრემლი იყო. მე იგი მეორედ და უკანასკნელად ვნახე აცრემლებული.

— ქართულ სიმღერას, ბიჭებო, დიდი მომავალი აქვს, — ეუბნებოდა იგი „გორდელას“ წევრებს. — ხომ ხედავთ, უცხოელებს როგორ მოეწონათ. აბა თქვენ ნახეთ მისი წარმატება, როცა ამ სიმღერას თვითონ უცხოეთში შეასრულებთ. მსოფლიო აღიარებს თავის დროზე, რომ ისეთი მრავალხმიანი და მრავალფეროვანი ხალხური სიმღერები, როგორიც საქართველოშია, არსად არ არის.

ბაბუა თბილისში ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი დადიოდა. ნაცრისფერი ჩოხა და თეთრი თმა შვენიოდა. მე და ბადრი ყოველთვის გვერდით დავყვებოდით და გვეამაყებოდა, რომ გამვლენი დიდი სიყვარულით შესცქეროდნენ ამ ლამაზ მოხუცს.

ბაბუას ბევრი ძველი მეგობარი ჰყავდა თბილისში. ხალხურ მომღერლებს გარდა, მას ძველი მეგობრობა აკავშირებდა იონა ტუსკიასთან, შალვა მშველიძესთან, დავით ანდლულაძესთან, გრიგოლ ჩხიკვაძესთან, შალვა ასლანიშვილთან, მიხეილ ძიძიშვილთან და სხვებთან. შალვა ასლანიშვილს ახლაც ახსოვს ბაბუას გუნდის ტრიუმფალური გამოსვლა ლენინგრადში. მაშინ ის ლენინგრადის კონსერვატორიაში სწავლობდა.

ერთ საღამოს კომპოზიტორთა კავშირში ბაბუას შეხვედრა მოუწყვეს, სადაც „გორდელამ“ კონცერტი გამართა. შეხვედრაზე მოგონებებით გამოვიდნენ: იონა ტუსკია, შალვა მშველიძე, ბაბუა და სხვები.

საღამომ ძალზე თბილად ჩაიარა და იგი ალბათ ყოველთვის ტკბილ მოგონებად დარჩება იქ დამსწრე საზოგადოებას.

ერთ დღეს „ლალიძის წყლების“ წინ ვიდექით მე, ბადრი და

თამაზ ანდლულაძე. დავინახეთ ბაბუა, რომელიც კონსერვატორიაში მიდიოდა. შევატყვე, რომ არ მოეწონა, ამ ადგილას უსაქმოდ რომ დაგვინახა, მაგრამ არაფერი უთქვამს და ხაჭაპურზე დაგვაპტიყა. როცა სახლში მივედით, მითხრა: „იცოდე, ბაბუ, ადამიანს რაც ყველაზე ცუდად ახასიათებს, ეს არის სიცრუე და უსაქმურობა. გახსოვდეს, რაც არ უნდა გავიჭირდეს, არ იცრუო. სჯობია, ცუდი სიმართლე თქვა, ვიდრე კარგად იცრუო. რაც შეეხება უსაქმურობას, პირდაპირ საოცარია ადამიანის ბუნება. ისედაც ცოტა დროით ვართ მოსული ამქვეყნად და ზოგი ამ დროსაც უქმად კლავს. კაცი, რომელიც ადამიანს კლავს, სხვას უმოკლებს ცხოვრების დროს, ხოლო ვინც დროს კლავს უქმად, ის თვითმკვლელობის ტოლფას დანაშაულს სჩადის“.

ბაბუას დაფიცება არ უყვარდა და სხვა რომ იფიცებოდა, იმასაც ვერ იტანდა. ფიცი სიმართლის დასამტკიცებლადაა მოგონილი. ზოგიერთ კაცს ფიცით ტყუილი უნდა დაგაჯეროს და მას ცრუმოწმესავით იყენებს. ფიცი სისუსტის ნიშანია. მართალ კაცს სიმართლის დასამტკიცებლად ფიცი არ სჭირდება, მის სიტყვას ისედაც უნდა ენდონო, — იტყოდა იგი.

ბაბუას წლების განმავლობაში ღვიძლის ტკივილი სტანჯავდა. ერთ დღეს მწვავე შეტევის გამო აუცილებელი გახდა მისი საავადმყოფოში მოთავსება. გადაწყდა, ნაღვლის ბუშტი უნდა ამოეკვეთათ, რაც 75 წლის კაცისათვის ადვილი საქმე არ იყო.

დილით საავადმყოფოს ეზო სავსე იყო ნათესალებით, ბაბუას მეგობარი ძველი მომღერლებით, მოწაფეებითა და თანასოფლელებით. საოპერაციოში რომ შეჰყავდათ, ბაბუას თვალებით მოგვეფერა და დაგვამშვიდა.

ოპერაცია ჩვენმა ახლობელმა დასტაქარმა, ნესტორ თოიძემ გაუკეთა. იგი არ დაუძინებიათ. ნესტორი ღიღინებდა (ჩვეულება ჰქონია ასეთი), ბაბუა აუტანელ ტკივილებს იტანდა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. როცა ოპერაცია მოათავა ნესტორმა, ბაბუას უთხრა:

— რკინის კაცი ყოფილხარ, არტემ ბიძია, ხომ გადაგარჩინე, სამაგიეროდ სიმღერა უნდა მასწავლოო.

— შენს ღიღინს რომ ვუსმენდი, ჩემო ნესტორ, დავრწმუნდი, შენთვის სიმღერის სწავლებას, სჯობს, კიდევ ერთი ოპერაცია გადავიტანო, — უპასუხა ბაბუამ.

როცა მომჯობინდა, ჩონგური მოითხოვა. ნესტორი სასთუმალს

უჯდა და სიყვარულით უსმენდა ბაბუას ღიღინს, მაგრამ სიმღერის სწავლა აღარ უთხოვია.

სოფელში ასვლა დიდხანს დაუგვიანდა. მისი თხოვნით მამისეულ წყაროს წყალს ასმევდნენ, მალე მომარჩენსო. როცა წამოდგა, სასაფლაოზე წავიდა. იქიდან შეწუხებული დაბრუნდა, ბარდეკალი მომძლავრებულიყო და ზოგიერთი საფლავი მთლიანად დაეფარა.

ერთ საღამოს, ქალას მადანხიასთან მაკვანეთლები ბაბუას ხელით დაწერილ განცხადებას კითხულობდნენ. იგი სთხოვდა, რომ კვირას ნაკაშიძის გორაზე ამოსულიყვნენ სასაფლაოს გასაწმენდად.

მე და ბაბუა კვირა დღით ნაკაშიძის გორაზე აღრე ავედით. მზე ქყაფშანას მთიდან ამოწვერილიყო. მდინარე აჭისწყლის ხეობაში ჯერ კიდევ ნისლი იწვა, რომელშიაც თამარისდროინდელი ქანიეთის ციხე ნელ-ნელა იძირებოდა. შემოქმედის მონასტრის თავზე ფრინველების გუნდი ირაოს აკეთებდა, ხოლო გორმალაზე კანტიკუნტად გაისმოდა ერთლულიანი თოფების სმა. ბაბილოძის ბიჭები აფრთხოვდნენ ღამის წვიმისაგან დასეულელებულ ფრინველებს. ნაკაშიძის ქედზე გრილი სიო საამოდ ქროდა და უკვე გაღვიძებული სოფლის ხმაური მოჰქონდა; შინაური ფრინველების კაკანი, დიასახლისების „ჯუ, ჯუ, ჯუ“, საქონლის ბღავილი, უფრო შორს — ბათუმისაკენ მიმავალი მანქანებისა და თვითმფრინავების მოტორების გუგუნი.

ასწლოვანი მარადმწვანე „ქაფურის ხის“ ძირში სამსონ ბაბილოძე იდგა, თუთუნს აბოლებდა და თავის ბიჭებს რაღაცას უყვებოდა.

სასაფლაოზე დიდი ჭადრის ძირში ალექსანდრე და მიხაკო ბაბილოძეები წალდებს ლესავდნენ, არტემ ქანუყვადეს ყაბალახი მოეხსნა და ყურს უნასკვავდა, ლადიკო ანდლულაძე გულმოდგინედ ახვევდა თუთუნს გაზეთის ქაღალდში, ხოლო ცოტა მოშორებით სოლომონ ბაბილოძეს ხელი მოეჩრდილა და უყურებდა თავის ბიჭს, ომარისას, რომელიც თოფით ხელში ნაძვის ხის წვერზე წამომჯდარ ფრინველს ეპარებოდა.

ბაბუას ყველა ფეხზე ამდგარი მიესალმა.

ნესტორ ბერსენაძე და ქესკინა თოიძე მელიტონ წიგწივადის საფლავთან იდგნენ და მარმარილოს ქვას ათვალეირებდნენ, საიდანაც მელიტონის კეთილი სახე იღიმებოდა. ქვევით ეწერა, „1860-1960 წ. წ.“.



ბესარიონ ინჯირველი

— ბედნიერი კაცი იყო მელიტონი, — სთქვა ნესტორმა, — ასე წელი შეასრულა და თავისიანებიც ბედნიერად დატოვა.

— მაგ ხნის ახლა მართა წივწივაძე და იაკინთე გოლიაძე თუ იქნებიან, — თქვა ქესკინამ და წინდა „გალიფე“ შარვლის ბოლოს ქინძისთავით მიამაგრა.

სასაფლაოზე მეტი ხალხი მოგროვდა, ვიდრე ველოდით. ვის არ ნახავდით აქ: გოლიაძეებს ჭალიდან, ცეცხლაძეებსა და აბაშიძეებს გოგეითიდან, თოიძეებსა და წივწივაძეებს ეწრიდან, ქორიძეებს, კალანდარიშვილებს, მთელი ჩვენი კუთხე ხომ უკლებლივ გამოცხადდა თავისი ნამრავლით. ბრიგადირმა როლანდი ცელაძემ ინატრა: ნეტა ასე უკლებლივ სამუშაოზე ცხადდებოდეს ეს ხალხიო.

— აგერ, „ურთხელა“ (წითელი ხე) რომ დგას, იქ ადრე ეკლესია იდგა, რომელსაც გალავანი ერტყა. ყოველ დღესასწაულზე წირვა იმართებოდა და ჩვენ ვგალობდით, — თქვა ბაბუამ.

— მერე და, რა გალობა მახსოვს, — ჩამოართვა სიტყვა მიხაკო ბაბილოძემ, — უკეთესს კაცი ვერ გეიგონებდა.

— წირვა რომ დამთავრდებოდა, ეკლესიის ეზოში გალავანთან ცხონებული გიგო ნადურს დააგუგუნებდა თავის ჭგუფთან, — თქვა ლადიკო ანდლულაძემ.

— ახლა ეკლესია დაინგრა, ისეა მოდებული ბარდი და ეკალი, რომ გალავანიც აღარ სჩანს. ჩვენი სირცხვილია ეს, — თქვა არტემ ჭანუყვაძემ, — არავის არაფრისთვის არ სცალია და ა, ბატონო, საფლავი ველარ გვიპოვია ჩვენიანის. ამის წინ ცხონებული იაგორის საფლავს რომ თხრიდნენ, ვილაცის სამარხი გაქრეს.

ძველი გალავნის გარეთ ახალი საფლავები სუფთად გამოიყურებოდა, ხოლო გალავნის შიგნით ძველი საფლავები ბარდსა და ეკალს დაეფარა.

— კაცი თავის კარმიდამოს უვლის, — თქვა ბაბუამ, — აღამაზებს, ასუფთავებს, ყვავილებსა და ხეხილს რგავს. როცა მოკვდება, მისი ეზო მისი საფლავია. ამ საფლავს მოვლა სჭირდება. აქ დიდებული ხალხია დასაფლავებული. ბევრი მათგანი საზოგადოებაში გამორჩეული იყო და ხალხში საპატიო ადგილი ეჭირა. სანამ შეეძლოთ, პატიოსნად ემსახურნენ საზოგადოებას და ისე წავიდნენ ჩვენგან. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ცხოვრება გრძელდება. ჩვენი სახელები ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა უნდა შეინახონ. ზოგიერთს მარტო სუფრაზე აგონდება თავისი წინაპარი და დიდი სასმისით სვამს მის სადღეგრძელოს, მისი საფლავი კი არც იცის სადაა. აბა, გური, — მიუბრუნდა ბაბუა გური ბაბილოძეს, — გიორგის საფლავს მიაგნებ? — გურიმ თავი ჩაღუნა. — ვერა, ხომ? სირცხვილია მაგი, მერე იცი შენ, როგორი წინაპარი გყავდა? არ იცი. მოვა დრო და მის საფლავს მონახავენ. მონახავენ და ველარ იპოვიან. აგერ, დიდი მომღერლისა და საზოგადო მოღვაწის ფილიმონ ჭორიძის მაგალითი ავიღოთ. ფილიმონი იტალიიდან რომ დაბრუნდა, იმდენად პოპულარული იყო, მის სანახავად ბილეთები იყიდებოდა. ახლა მისი საფლავი ვერ უპოვიათ. ოზურგეთის ეკლესიის ეზოში იყო დასაფლავებული. შემდეგ ეს ეკლესია დაანგრიეს, იმ ადგილას პარკი გააშენეს (თეატრის წინ) და არავის აზრად არ

მოსვლია, რომ ამ დიდებული კაცის ნეშტი საპატიო ადგილას გადაესვენებინათ. შთამომავლობამ წმინდად უნდა შეინახოს მისი წინაპრის სახელი და მოუაროს მათ საფლავებს. არ არის აუცილებელი ძვირფასი სასაფლაოების აშენება, როგორც ახლა აკეთებს ზოგიერთი, მთავარია, საფლავი სუფთად იყოს მოვლილი და საფლავის ქვაზე მისი სახელი და გვარი ეწეროს, ამით გვარის ისტორია გრძელდება. ადრე, ხალხი მოუვლელ საფლავს რომ ნახავდა, მის შთამომავალს გაკიცხავდა და სოფელში შეარცხვენდა, ახლა ყველას დაავიწყდა ეს წესი.

ხალხი მუშაობას შეუდგა. მალე დანგრეული გალავნის კონტურები გამოისახა. ნანგრევებში სუროს გაედგა ფესვები და ერთ დროს მკიდროდ დაწყობილ ქვებს ერთმანეთისაგან აცალკევებდა.

— არტემ ბიძია, ერთი აქეთ მობრძანდით, — გაისმა ბიჭიკო ბერსენაძის ხმა, რომელიც საფლავის ქვას ათვალეირებდა, მოთხრილი ბუჩქის ძირს რომ ამოჰყოლოდა. — „შეიწყალე უფალო სული მონისა შენისა. ნაოსა იორაშვილისა და მეუღლისა მისისა ჯაჯიკისი. ამინ“, — ამოიკითხა ძველი ქართულით დაწერილი ასოები ბაბუამ და სიხარულით გაებადრა სახე. მან იცნო მათი საფლავები, ვინაც ობოლი გიგო ერქომამიშვილი ერთ დროს შეიფარა, უპატრონა და აღზარდა.

ახლა გალავნის მეორე მხარეს ლეონიდე და ნიკო ბაბილოძეები უხმობდნენ ბაბუას. მათ აღმოაჩინეს საფლავის ქვა წარწერით „ნიკიფორე მგელაძე“. — ეს კაცი, რომელმაც მაკვანეთის სკოლა დააარსა, ჩემი მასწავლებელი იყო. ასეთი ადამიანი დაკარგვის ღირსი არაა, — თქვა ბაბუამ და საფლავის ქვა მიწაში ჩაამაგრა.

მზე თანდათან უახლოვდებოდა გორმალას. ხალხს ამოძირკვეული ბუჩქები, ბარდ-ეკალი და ფიჩხი შეეზვინა სასაფლაოსაგან ცოტა მოშორებით. სუფთავდებოდა საფლავები, ნელ-ნელა ჩნდებოდნენ მივიწყებული გვარები, მოხუცების თვალწინ ცოცხლდებოდა მათი სახეები.

შუადღეზე ბაბუამ მე, ჩემი ბიძაშვილი ირაკლი, გურამ თენიშვილი, სერგო და სოლომონ ბაბილოძეები სახლში წაგვიყვანა. დედაჩემს და ბიცოლა ჟუჟუნას პურმარილი გაემზადებინათ და კალათებში ჩაეწყათ, დამიანე ბიძია ნატურალურ „იზაბელას“ იღებდა ქურიდან, რაც გურიასი ისევე სანატრელი გახდა, როგორც ძველი გურული სიმღერა. მარანში „იზაბელას“ არაჩვეუ-

ლებრივი სურნელი იდგა. სოლომონმა და სერგომ მხარზე მოიგდეს ღვინით სავსე დიდი „ქარიკები“ და სასაფლაოსკენ გასწიეს. კალათებაკიდებულნი ჩვენც მათ მიყყევით. ბაბუამ ირაკლის ჩემოდანი მისცა წამოსაღებად.

სასაფლაოზე სამუშაო თითქმის დაემთავრებინათ. ყველა თავისიანის საფლავს ასუფთავებდა და საფლავის ქვას ისე სათუთად ასწორებდა, როგორც ავადმყოფის ბალიშს. გიორგი ბაბილოძის საფლავთან გური იდგა და თავთან დარგულ ნაძვს ხმელ ტოტებს აჭრიდა. გიორგის გვერდით გიგო ერქომამიშვილი ესვენა, რომლის თავთან ატმის ხე იყო დარგული. მათ ახლოს ლუკა თოიძე განისვენებდა.

ქალები და ბავშვები სოფლიდან ამოსულიყვნენ, სადილი მოეტანათ და მიწაზე შლიდნენ სუფრას ჭანიეთის ციხის გადასახედზე.

სამუშაო დაამთავრეს და სუფრას მიუსხდნენ. რამდენიმე საღღვგრძელოს შემდეგ ბაბუა წამოდგა და საფლავებისკენ გაემართა. თითოეულ საფლავთან ჩერდებოდა და აცნობდა დამსწრე საზოგადოებას, შემდეგ საფლავზე ჭიქა ღვინოს აქცევდა და ახლა სხვა საფლავთან მიდიოდა. ვინ იცის, რამდენი ხანია არ ღირსებიათ ასეთი სტუმრები ერთ დროს კარგ მასპინძლობას დაჩვეულ წინაპრებს.

გიგოს, გიორგის და ლუკას საფლავს რომ მიუახლოვდნენ, ბაბუამ სთხოვა ირაკლის, ჩემოდანი მოეტანა. იქიდან პატეფონი ამოიღო, გიგოს და გიორგის საფლავებს შუა ჩადგა და ზედ 1907 წელს ჩამღერებული ფირფიტა დადო.

„გიგო ერქომამიშვილო, ერთი ძველი შვიდკაცა, თუ ძმა ხარ“, — გაისმა პატეფონიდან და გიგოსა და ლუკას ხმებს აჰყვა გიორგის არაჩვეულებრივად მაღალი და საოცრად ლამაზი ტემბრის გამყვიანი.

სიმღერა გუგუნებდა. ხალხი გარინდული უსმენდა ამ საოცარ მომღერლებს. ჩვენგან მარცხნივ ეკალ-ბარდების დიდი ზვინი ტაკუნით იწვოდა. მისი ალი გორმალაზე მაღლა ასულიყო. მზე გური-აპარის მთებიდან გადაგორებულიყო და შავ ზღვაში ნელ-ნელა იძირებოდა. მე იზაბელათი სავსე ჭიქა მეჭირა ხელში და ჭიქიდან გავცქეროდი ჩამავალ მზეს, რომელსაც იზაბელასფერი დასდებოდა. გიგოს, გიორგის და ლუკას საფლავებზე სანთლები ენთო. მათ მშვიდი ძილით ეძინათ, მაგრამ მათი ხმები საუკუნეებს მო-

არღვევდა და თანდათან შლიდა საზღვარს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის. გაღმა, შემოქმედის მონასტრის თავზე, ძველი მგალობლების ვარლამ სიმონიშვილის, ანტონ და დავით ღუმბაძეების აჩრდილები აღმართულიყვნენ და ნაკაშიძის ქედისაკენ იყურებოდნენ. ნაკაშიძის ქედიდან კი სოფელში ნელ-ნელა იღვრებოდა „ძველი შვიდკაცა“, რომელმაც ჯერ ცეცხლის ტყაცუნნი, მერე ბათუმისაკენ მიმავალი მანქანებისა და ცაში აჭრილი თვითმფრინავების ხმაურიც კი დაფარა.

\* \*

როცა მესამე კურსზე გადავედი, საბჭოთა არმიის რიგებში გამიწვიეს. ბაბუა ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა, შეაწუხა იმიტომ, რომ ფერხდებოდა მთელი რიგი სამუშაო, რომელიც მე და ბაბუამ ჩავიფიქრეთ. ბაბუას ამ დროს მძიმე ოპერაცია ჰქონდა გადატანილი, იფიქრა, შეიძლება ცოცხალიც ვეღარ დავხვდეთ, და ითხოვა, იქნებ რამდენიმე წლით გადაუწიოთ გაწვევაო, მაგრამ წესი წესია და მაინც გამიწვიეს.

გამგზავრების წინ გული არ გამიტეხა და მითხრა: ნუ გეშინია, ბაბუ, მე კარგად ვიქნები, ჩამოხვალ და ჩვენს დაწყებულ მუშაობას დავამთავრებთო.

სანამ საქვედრო სამსახურს მოვიხდიდი, არტემს დრო უქმად არ დაუკარგავს. იგი თბილისში ჩამოდიოდა და კონსერვატორიის ფოლკლორის კაბინეტში პროფ. გრიგოლ ჩხიკვაძისა და კახი როსებაშვილის დახმარებით ფირზე წერდა. სიმღერებს. ამ უკანასკნელმა შემდეგში პირველმა გამოსცა საგალობლების კრებული, ჩაწერილი არტემ ერქომაიშვილისაგან. ჩაწერა ხდებოდა ორ მაგნიტოფონზე შემდეგნაირად: არტემი იმღერებდა პირველ ხმას, რომელიც იწერებოდა ერთ მაგნიტოფონზე, შემდეგ თავისივე ნამღერს ეუბნებოდა მეორე ხმას და უკვე მეორე მაგნიტოფონზე ორი ხმა იყო ჩაწერილი. ხოლო შემდეგ ამ ორ ხმას ბანს ეუბნებოდა და გამოდიოდა სამხმიანი სიმღერა ან საგალობელი. ჩაწერის ეს ხერხი თვითონ ბაბუამ მოიგონა. ამ ხერხის აუცილებლობა იმან მოითხოვა, რომ სიმღერების სხვა მცოდნე არავინ იყო, რომელიც ბაბუას დაეხმარებოდა. ასეთი წესით არტემმა კონსერვა-



ტორის ფოლკლორის კაბინეტისათვის ჩაწერა რამდენიმე ასეული საგალობელი.

როცა სამხედრო ვალდებულება მოვიხადე, ბაბუას ჯანმრთელობა უკვე გატეხოდა. თბილისში ჩამოვიყვანეთ და სამკურნალოდ დავაწვინეთ, მაგრამ ცოტა ხანში მიხვდა, რომ გადარჩენის იმედი აღარ იყო. და მითხრა: ბაბუ, სოფელში წამიყვანეთ, სადაც დავიბადე. იქაური წყალი და ჰაერი წამალზე უფრო მომიხდებოდა. წავიყვანეთ. მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. ერთ დღით გაიპარსა და მთხოვა, მისთვის ფოტოსურათი გადამეღო. თხოვნა შეევსრულე. თუ ცუდი ფოტო გამოვიდეს, არავის აჩვენო, — მითხრა. — საერთოდ, ცუდი ფოტოები არ უნდა შეინახო. ეს ხომ შენი სახეა და ეს სახე მხოლოდ გალამაზებული უნდა დაუტოვო შთამომავლობასო, სურათის გადაღების დროსაც ისეთივე სიკოხტავეა საჭირო, როგორც საზოგადოებაში გამოსვლის დროს. შთამომავლობამ ფოტოთი უნდა გაიცნოს თავისი წინაპარი. ეს ნაცნობობა. უნდა ეცადო, სასიამოვნო იყოს და მომავალი თაობა ამყობდეს თავისი წინაპრის როგორც სასახელო საქმეებით, ასევე კარგი გარეგნობითაცო.

სალამოს ცუდად გახდა. საშინელი ტკივილები სტანჯავდა. ითხოვა, ყველა გასულიყო ოთახიდან ჩემს გარდა. როცა ყველანი გავიდნენ, მთხოვა. მაგნიტოფონი მომეტანა და მომესმენინებინა მისთვის ფირფიტაზე ჩაწერილი ძველი სიმღერები, რომლებიც მან თვითონ გადაწერა მაგნიტოფირზე ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად.

და როცა გაისმა გიგოსა და გიორგის ხმები, არტემი გაყუჩდა, თვალები მილულა, სახეზე ღიმილი მოეფინა.

ერთ ადგილას, სადაც ბანის განსაკუთრებული ვარიანტი იყო ჩაწერილი, ბაბუამ მთხოვა, გააჩერე და ეს ადგილი ერთხელ კიდევ მომასმენინეო. თხოვნა შეევსრულე. ნახე, როგორი ბანის ვარიანტი მაქვს ნამღერი. — მითხრა მან. — მაშინ 19 წლის ვიყავი და გიგო და გიორგი თავისთან მამღერებდნენ ტრიოში. აი ეს ვარიანტი, ბაბუ. არ ჩაგვიწერია და არ დაკარგო. აუცილებლად გადაიტანე ნოტებზეო.

შემდეგ მეორე სიმღერა მოისმინა, მესამე და ღვინო მომიტანეო, მითხრა. რამდენიმე კოვზი მოსვა, ძალა მოიკრიბა, და

„ბაბუ, მე დილამდე ველარ გავატან. მე და შენ კიდევ დაგვრჩა გაუკეთებელი ბევრი საქმე და თუ რა საქმე იყო ეს, ამას შენზე კარგად ვერავინ ვერ გაიგებს. ახლა მომისმინე, ჩემს ოთახში მეორე მაგნიტოფონი დევს. იქ უჯრაში ფირებია და ამ ფირებზე ჩემი დასასაფლავებელი საგალობელია ჩაწერილი. როცა სახლში არავინ იყო, ორი მაგნიტოფონის გამოყენებით ჩავეწერე მთელი „გლოვის წესი“. ძველი ტრადიციისამებრ, დასაფლავების დღეს ბევრი სტუმარი მოვა და მხოლოდ ჩემი ჩამღერებული „გლოვის წესი“ დაუკარით. თუ „გორდელა“ მიმღერებს საგალობლებს, მაგას რაღა აჯობებს. ახლა შენ ამას იმიტომ გეუბნები, რომ ვიცი, ყველაზე მეტად გამიგებ, რომ არ ვთქვა ახლა, მერე გვიან იქნება და ველარ ვიტყვი. მე კი არ ვკვდები, მივდივარ. მივდივარ და ცოცხალი ვიქნები შენით. შენ შეგიძლია მომკლა და შეგიძლია საუკუნეები მაცოცხლო, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ გურულ სიმღერებს როგორ მოუვლი და შეინახავ. არაფერზე გული არ მწყდება, გარდა იმისა, რომ ის სამი წელი, ჯარში რომ გაატარე, რამდენ რამეს მოგცემდა. აფსუს, შევეცადე და მაინც ვერ დავცალე ჩემი ქონება! ძალიან არ მინდა, მაგრამ მაინც მიმაქვს სიმდიდრე იქ, საიდანაც ვერაფრით დააბრუნებ. არა უშავს, მაინც მოვასწარით რაღაცის გაკეთება. ასე რომ, ჩემს წინაპრებთან პირნათლად მივდივარ.

ამბობენ, მომაკვდავს თავისი ახლობელი მიცვალებულები ელანდებიანო. მე არავინ არ მომლანდებია. მეხსიერება შემრჩა და შეგიძლია მენდო, რასაც ვამბობ, შეგნებით ვამბობ“. უცებ მან საღვთო სჯულიდან მთელი თავი წაიკითხა რუსულად. მე გაკვირვებული მივჩერებოდი. „გაგიკვირდა განა? ეს პირველ კლასში რომ გვასწავლეს, მერე არ მითქვამს, აგერ 72 წელი გავიდა მას შემდეგ. ხომ გითხარი, მეხსიერება შემრჩა-მეთქი. პო, იმას გეუბნებოდი, გახსოვს, მამაჩემი როგორ კვდებოდა? მაშინ მე და შენ ვიყავით მასთან მარტო ოთახში“. და მე გამახსენდა, თუ როგორ დაემშვიდობა გიგო არტემს, თითქოს საიქიოს კი არა, სადმე უცხო ქვეყანას მიემგზავრებოდა: „მივდივარ, ბიჭო, და თქვენ იცით, სიმღერები შეინახეთ. გვარი არ წაშალოთ“, — ესლა თქვა გიგომ და შემდეგ მოჩვენებები დაეწყო.

„გახსოვს, როგორ იმღერა გიგომ ალიფაშა? — დაიწყო ისევ ბაბუამ, — ის მღეროდა და ყურში გიორგი ბაბილოძისა და გიორგი იობიშვილის ხმები ესმოდა. თუ დააკვირდი, სიმღერის დროს ვარიანტებიც კი შეცვალა. ასე ჩაპყვა გიგოს სიმღერის სიყვარული და ასე მიმყვება მეც, და იცი, მაინცა და მაინც „ალიფაშა“ რატომ დაიწყო? ვილაცამ თქვა, აჭარაში, სოფელ ქაქუთში ერთი კარგი ახალი სიმღერა სცოდნიათო. გიგომ წაიყვანა გიორგი ბაბილოძე და გიორგი იობიშვილი და მივიდნენ ერთ ქორწილში, როგორც უცხო მგზავრები. მართლაც, ამ ქორწილში იმღერეს უცხო სიმღერა. ეს იყო „ალიფაშა“. ყველა თავის ხმას უსმენდა და როცა სიმღერა რამდენიმეჯერ გაიმეორეს, გიგომ და მისმა მეგობრებმა უკვე ზეპირად იცოდნენ. ასე „მოიპარეს“ ალიფაშა აჭარიდან. როგორ შეიცვალა დრო, ახლა სიმღერის „მოპარვა“ საჭირო აღარაა. პირიქით, ვეხვეწებოდით, თუ კი ვინმე წაიღებდა. შენც ასე მოიქეცი, ვინმესთვის სიმღერის სწავლება არ დაგეზაროს. შენ მარტო არ იქნები, ჯერჯერობით ლადიკო და ნანო დაგეხმარებიან, მერე შენ თვითონ დაეხმარები სხვას. ბევრი გულშემამტკივარი გეყოლება, ხალხი დაგიჭერს მხარს. სიმღერა ხალხის საგანძურია და ხალხი თვითონ არ გაპატიებს მის წახდენას.

შენ მეგობრები გყავს, კარგი მეგობრებიც, ისინი შენი ერთგულნი არიან, ჩვენი სოფლიდან მარტო ნოდარი რად ღირს, ლომჯარია, ან გურამი, გენო, გურგენი, მალხაზი და სხვა ბიჭები, შენთან გაზრდილები. ასეთი ხალხი ცოტაა და ნუ დაკარგავ მათ. პირიქით, მეტი მონახე ასეთი ერთგული ბიჭები. საერთოდ, თუ კაცთან მეგობრობა გინდა, მასში მხოლოდ კარგი თვისებები უნდა ექებო.

შენთან ერთად ჩვენი სოფლელები სწავლობენ კონსერვატორიაში: გენო მუჯირი, თამაზ ანდლულაძე, ბადრი. დაეხმარე მათ, როგორც შეგიძლია. ჩვენს სოფელში ნიჭიერი ბავშვები იზრდება, ოდესმე ისინიც გვასახელებენ ჩვენ, წინაპრებს“.

ბაბუას ხმა დაუსუსტდა.

„აბა, ერთხელ კიდევ მომასმენინე ჩემი წინაპრებისა და ჩემი სიმღერები და მეტს აღარ შეგაწუხებო“, — მითხრა. სიმღერის დროს ის დროდადრო შეაქებდა შემსრულებლებს, თან მეუბნებოდა, აბა ერთხელ კიდევ დააკვირდი და ნოტებზე გადაიტანე, ნახე,



მომღერალთა გუნდი ა.ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით, 1927 წ. 15 მაისი

როგორი ვარიანტიცაო. შემდეგ თანდათან მოუკლო კომენტარებს და როცა ლადიკომ „შავი შაშვი“ დაიწყო, მიხვდით, რომ ბაბუას იგი უკვე აღარ ესმოდა...

\* \*

„შავი შაშვი ჩიო-ოო-და...“ მომესმა ნაცნობი ხმები და მეც იქითკენ მივაშურე, საიდანაც ეს ხმები მოდიოდა. უზარმაზარ დარბაზში ტელევიზორები იდგა. ხალხი დიდი ინტერესით უსმენდა სიმღერას და როცა დამთავრდა, მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა ოვაცია გაუმართა ამ უძველეს ხალხურ სიმღერას და მის შემსრულებლებს — ძმებს: არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილებს.

ეს იყო მონრეალში, საერთაშორისო გამოფენის დროს საბჭოთა კავშირის პავილიონში, როცა საქართველოს კულტურის დღეებს მიეძღვნა სპეციალური გადაცემა.

იმ დღეებში მრავალი ქვეყნის ტელემაყურებელმა მოისმინა

ძმები ერქომაიშვილების მიერ შესრულებული ხალხური სიმღერები. მოისმინა და ძალიან მოიწონა. ეს ამბავი გაიგეს საქართველოში, გაიგო ვლადიმერმა და ანანიამ, არ გაუგია მხოლოდ არტემს, მაგრამ მან ხომ იცოდა და მტკიცედ სწამდა, რომ ეს სიმღერები სულ მალე იქუხებდა მსოფლიოში.

სიცივემ გამომაფხიზლა მოგონებებიდან. შეუმჩნევლად დაღამებულიყო. შაშვს დაემთავრებინა გალობა და გაფრენილიყო. საფლავებს დავხედე, უხმოდ დავემშვიდობე ჩვენებს და გზასნელი ნაბიჯით გავუყევი სახლისაკენ. მივდიოდი და ყურში მესმოდა ბაბუას ხმა: „უკვდავია ქართული სიმღერა, ბაბუ. ხომ გახსოვს რომენ როლანის სიტყვები, ბედნიერია ის კუთხე, სადაც ასეთი ხალხი ცხოვრობს, ბედნიერია ის ხალხი, ვისაც ასეთი სიმღერები აქვს“.

1975 წ. სექტემბერი.



## გივი მასწავლებელი

- ხუთი ღმერთს... ოთხი მე... სამები და ორები თქვენ...
- კი მაგრამ, ჩვენ ხომ კარგად ვიცით თქვენი საგანი, გივი მასწ...
- ჩემზე კარგად იცით?
- თქვენზე კარგად არა.
- მაშინ — ოთხი მე. ჩემზე კარგად იცის ღმერთმა, გამოდის, რომ ხუთი ღმერთს. თქვენ რაღა დაგრჩათ? — სამები და ორები.
- ვინაა ეს ღმერთი ასეთი, სულიყო ავქანტაძეზე კარგად რომ იცის სოლფეჯიო?
- ვინაა, ბატონო, და, ბეთჰოვენი და მოცარტი. გასაგებია?
- კი.

— აბა რაღას მერჩით, ბიძიკო... — ხელებს გაშლიდა და გაგვიღიმებდა.

ასეთი საუბრის შემდეგ, გივი მასწავლებელი თავის ბლოკნოტში ჩამოგვირიგებდა ჩვენს კუთვნილ სამიანებსა და ორიანებს. სემესტრის ბოლოს კი ზოგიერთ ჩვენგანს „თავისთან გაგვიტოლებდა“ (როგორც თვითონ გვეტყოდა) და სანატრელ ოთხებსაც დაგვისვამდა სასწავლო უურნალში, თანაც დაგვამადლიდა: ეს იმიტომ, რომ სტიპენდია არ დაკარგოთო.

მას შემდეგ აგერ ოცდახუთ წელზე მეტი გავიდა და, ასე მგონია, რომ ყველაფერი ეს თითქოს გუშინ იყო.

სოფლიდან ბაბუაჩემმა ჩამოგვიყვანა თბილისში მე და ბადრი თოიძე და, გრიგოლ კოკელაძის რჩევით, კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში მიგვიყვანა. მაშინ ასე, 17-18 წლისანი ვიქნებოდით, ბადრის მუსიკა იზიდავდა, მე უფრო უურნალისტობაზე ვოცნებობდი.

სასწავლებლის დირექტორმა შალვა მაჭავარიანმა თბილად მიიღო ბაბუა. შემდეგ ერთი პედაგოგი გამოიძახა და გვითხრა: „გაიცანით, კომპოზიტორი გივი ლორთქიფანიძე“.

იგი ასე, 40 წლისა თუ იქნებოდა, საშუალოზე მაღალი ტანის, ჩასკვნილი, სპორტული აგებულების, პირმრგვალი, ღიმილიანი სახე და ნათელი თვალები ჰქონდა. როცა იღიმებოდა, თვალები უბრწყინავდა. თმა შეთხელებოდა, სახე სუფთად ჰქონდა გაპარსული, ეცვა უბრალოდ და სუფთად. ჩაცმულობითა და გარეგნული იერით ძალიან მოწესრიგებული პიროვნება ჩანდა.

მან ჯერ ბაბუა მოიკითხა, მერე ჩამოსვლის მიზეზი ჰკითხა.

— ეს ჩემი შვილიშვილია, ბადრი კი — დის შვილიშვილი. მუსიკალური მონაცემები აქვთ, გურული სიმღერები კარგად იციან. ჩვენი გვარი აგერ ორ საუკუნეზე მეტია მღერის, მაგრამ ერც ერბ ჩვენგანს უმაღლესი მუსიკალური განათლება არ მიუღია. ახლა, როცა ხალხური სიმღერების მცოდნენი ცოტანი დარჩნენ და სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის, აუცილებელია მათი სიმღერების ნოტებზე გადატანა. ამიტომ მინდოდა ამ ბიჭებს პროფესიული მუსიკალური განათლება მიეღოთ.

გივიმ ყურადღებით მოუსმინა ბაბუას და თავის საკლასო ოთახში მივიწვია, ჯერ სმენა და რიტმი გავვისინჯა, მერე გამოგვცადა

და ბოლოს, ბაბუასთან ერთად, რამდენიმე გურული სიმღერა გვამღერა.

— ბატონო არტემ! ეს ბიჭები ჩვენ თუ დაგვიჭერებენ, ნამდვილი მუსიკოსები გამოვლენ.

— ამას არ უნდა, ბატონო, მუსიკოსობა, ჟურნალისტობა უნდა, — აჩვენა ბაბუამ ჩემზე, — ბადრი უფრო ჭკვიანია.

— რად გინდა, ბიძიკო, ჟურნალისტობა, შენნაირი ჟურნალისტი ყველა თუ არა, ყოველი მეორე მაინც იქნება. აი, თუ მუსიკაში სერიოზულად იმეცადინებ, შეიძლება ბევრ რამეს მიაღწიო, — ისე გულწრფელად მითხრა ყოველივე ეს, რომ არ შეიძლება კაცს მისი ნათქვამი არ დაეჭერებინა.

სასწავლებლიდან ერთად გამოვედით და ფეხით გაუყევით პლენხანოვის პროსპექტს, გზაში ბაბუამ და გვიმ კარგა ხანს ისაუბრეს სიმღერებზე, ძველ მომღერლებზე და, როცა იგი დაგვეშვიდობა, ბაბუას უტყუარმა ალლომ ათქმევინა: თუ ამ კაცს დაუჭერებთ, თქვენგან ნამდვილ მუსიკოსებს გამოიყვანსო.

სასწავლებელში მისაღები გამოცდები წარმატებით ჩავაბარეთ და სასწავლო წლის დაწყებამდე სოფელში წავედით დასასვენებლად. კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი იმ დროს „დინამოს“ სტადიონის წინ, კლარა ცეტკინის ქუჩაზე მდებარეობდა. მას აგურის სამსართულიანი შენობის მესამე სართული ჰქონდა დათმობილი, ფართობი არ გვეოფნიდა, საკლასო ოთახები პატარა იყო, 10-12-კაციანი ჯგუფი ძლივს თავსდებოდა. ამ სასწავლებელში სექტემბერში პირველად მოვედი გივი ლორთქიფანიძის გაკვეთილზე, რომელიც გუშინდელ დღესავით მახსოვს.

გივი მასწავლებელი მოღიმარი სახით შემოვიდა საკლასო ოთახში და სათითაოდ გაგვეცნო ყველას. ჯგუფში ოთხი ბიჭი ვიყავით: მე, ბადრი, სულიკო ავჯანტაძე თბილისიდან და თემურ ქევხიშვილი ყვარელის რაიონიდან. გარდა ამისა, ჩვენს ჯგუფში კიდევ რამდენიმე გოგონა მოხვდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

გივი მასწავლებელი ყოველ ჩვენგანს ეკითხებოდა ვინაობას და რომელი რაიონიდან იყო. შემდეგ გაიხსენებდა, იქ თუ ვინმე მეგობარი ჰყავდა და იქაურ ანეგდოტებსა და ზნე-ჩვეულებებზე გვიყვებოდა, თანაც ლაპარაკის დროს ამ კუთხისათვის დამახასიათებელი კილო-კავით უქცევდა.



— სადაური ხარ, გოგო, შენე? — შეეკითხა ლალი რუხაძეს, როცა გაიგო, რომ იმერელი იყო.

— ხონიდან, მასწ...

— ოო! აბა დავძმაკაცდეთ, მე და შენ „ზემლიაკები“ ვყოფილვართ. მე დიდი ჭიხაიშიდან გახლავარ წარმოშობით. თქვენთან ისევ აცხოვენ პეტერე-პეტერე მქალებს?

დარეჯან მეშვილდიშვილი რაჭველი აღმოჩნდა, ონის რაიონიდან. იგი მეტად მომხიბლავი ჩანდა. კუთხეში მარტო დამჯდარიყო, მორიდებით ექირა თავი და დიდრონი შავი თვალები დაბლა დაეხარა.

— დარეჯან, გოგო, ქვე შენი ჰირიმე, წერეთელმა რა დაგვიბარა? — შეეკითხა გივი მასწავლებელი.

— არაფერი არ დაუბარებია, პატივცემულ მასწავლებლო, წამოსვლის ხანს წერეთელი არ მინახავს, — კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მიაპიტად უპასუხა დარეჯანმა.

— კარგი, ქვე შენი ჰირიმე, დარეჯან, ზღვა თუ გინახავს?

— მე არა, მაგრამ ჩემმა დამ ნახა, — გულუბრყვილოდ უპასუხა დარეჯანმა და მთელი ჯგუფი გულიანად ახარხარდა. გივი მასწავლებელიც გულიანად იცინოდა.

— დიდი მაზალო ვინმე ხარ შენ, ჩემო დარეჯან!

ასე სიცილ-კისკისში განვლო პირველმა გაკვეთილმა.

მეორე გაკვეთილზე საუბარი მუსიკაზე ჩამოაგდო. გვიყვებოდა ზოგადად მუსიკის მნიშვნელობაზე, გამოჩენილი მუსიკოსების ცხოვრებაზე. ბევრი ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა ბეთჰოვენის, ბახის, მოცარტისა და სხვათა ცხოვრებიდან, ყოველივე ამას დიდი გატაცებით გვიამბობდა, შემდეგ როიალს მიუჯდა და ბეთჰოვენის მერვე სონატა დაუკრა. ჯგუფი სულგანაბული უსმენდა. გივი მასწავლებელმა დაკვრა დაამთავრა. მას შემდეგ ამდენი დრო გავიდა და, როცა ამ სონატას ვისმენ, ყოველთვის ცოცხლდება საუკეთესო მოგონებანი გივი მასწავლებელზე.

ორი გაკვეთილი ისე გავიდა, ვერც კი გავიგეთ, გაკვეთილების შემდეგ გივი მასწავლებელი ღიმილით დაგვემშვიდობა. ეს ღიმილი დღესაც მანსოვს. წასვლისას გვითხრა, რომ მას ძალიან უყვარს წესრიგი, და ვერ აიტანს დაგვიანებას, უყურადღებობას და დავალებას შეუსრულებლობას, და რომ ასეთების მიმართ სასტიკი და დაუნდობელი იქნება. ამნაირი კაცი როგორ შეიძლება მკაცრი

იყოს-მეთქი, ვიფიქრე ჩემთვის. იმ საღამოს ბაბუას წერილი გავუგზავნე, ვწერდი, რომ გივი მასწავლებელი მთელ სასწავლებელში ყველაზე კარგი კაცია-მეთქი.

მეორე დღეს, შემოვიდა თუ არა გაკვეთილზე, ფანქრები, საშლელელები და სანოტო რვეულები მოითხოვა, ვისაც არ აღმოგვაჩნდა ყველაფერი ეს, თვითონვე დაგვირიგა და გაგვაფრთხილა, ეს იქნება უკანასკნელი და შემდეგში თუ მსგავსი რამ განმეორდება, გაკვეთილზე აღარ დაგიშვებთო. მერე გაკვეთილი აგვიხსნა და მეორე დღისათვის დავალებები მოგვცა. მომდევნო გაკვეთილზე, როცა მე და თემურ ქევნიშვილს ფანქრები წვერგაუთლელი აღმოგვაჩნდა, გივი მასწავლებელმა უყოყმანოდ გაგვაგდო გარეთ. მეორე დღეს ბოდიშის მოხდა მინდოდა, მაგრამ მან არ დამაცალა და გაკვეთილი მკითხა. ცოტა უღიმღამოდ ვუბასუხე. მან მაშინვე ორიანი „გამომიცხო“ (როგორც თვითონ ამბობდა) და მითხრა: ბიძიკო, შენ აქ სასწავლებლად თუ ხარ ჩამოსული, უნდა ისწავლო, თუ არადა, დროს ტყუილად ნუ აცდენ. მე ორიანებს მიჩვეული არ ვიყავი (სკოლაში კარგად ვსწავლობდი), ამიტომ ნიშანმა ცუდად იმოქმედა, თუმცა ეს არაფრით გამომიხატავს. შემდეგ გაკვეთილებზე გოგონებს მეტ ყურადღებას უთმობდა. ამან ბიჭები ცოტა გაგვალღიზიანა. გავიფიქრე, ალბათ, ჯიბრში თუ ჩავიდგა-მეთქი, რაც კიდევ უფრო ვირწმუნეთ მას შემდეგ, როცა ერთ-ერთ გაკვეთილზე, იმის გამო, რომ გაუპარსავნი ვიყავით, მე და სულიკო ავჯანტაძე გარეთ გაგვაგდო. ვიფიქრე, ალბათ, მიზეზს თუ ეძებს, რომ დაგეტუქსოს-მეთქი, მთელ ჯგუფში ყველაზე მკაცრად მე მექცეოდა, ცოტა უკეთესად — ბადრის.

შევეცადე, როგორმე გივი მასწავლებლის გული მომეგო. გაკვეთილებს კარგად ვსწავლობდი, სანიმუშოდ ვიქცეოდი, სასწავლო ნივთები ყოველთვის წესრიგზე მქონდა, გაუპარსავნი აღარ დავდიოდი, არ ვიგვიანებდი, მაგრამ ვერაფრით მისი გული ვერ მოვინადირე, რაც უნდა კარგად მეპასუხა, ერთხელაც არ შემაქებდა. ჩავთვალე, ალბათ, ჩემი თავიდან მოშორება უნდა-მეთქი, მაგრამ რატომ? — ამაზე ვიმტკრევდი თავს და ვერაფრით მივმხვდარიყავი.

სწავლის დაწყებიდან ერთი თვე გავიდა. მე პირველად მოეწყვიდი ჩემს სოფელს ასე დიდი ხნით, მენატრებოდნენ ჩემიანები და ცოტა მოწყენილი გამოვიყურებოდი.

სექტემბრის ბოლოს თემურ ქევნიშვილმა გივი მასწავლებელს

შაბათი დღე გამოსთხოვა და თავის სოფელში რთველზე წაგვიყვანა მე და ბადრი. ჩვენთან ერთად იყო უფროსკურსელი ზაურ ხუჯაძე, რომელიც მთელს სასწავლებელში საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა. გივი მასწავლებელმა გაგვათავისუფლა იმ პირობით, რომ გაკვეთილებს კარგად მოვამზადებდით.

კახეთში პირველად ვიყავი, ამიტომ ყველაფერს ინტერესით ვათვალიერებდი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სიღნაღის გადასახედიდან ალაზნის ველმა, რომელიც ნისლში ჩაძირულიყო. ყვარლის მთები მხოლოდ ილიას ლექსის მიხედვით ვიცოდი, ახლა კი იგი ჩვენს წინაშე აღმართულიყო. მთელ კახეთში რთველი იყო გაჩაღებული. ამდენი დაბლარი ვენახი ერთბაშად არასოდეს მენახა და ძალიან მიკვირდა, რატომ ხეზე არ უშვებდნენ ვაზს, როგორც იზაბელას. ასე ხომ შეიძლებოდა საქონელს გაენადგურებინა? ამაზე თემურმა ბევრი იცინა და მითხრა, რომ რქაწითელი დაბლარი ვაზია და ხეზე ვერ იხარებსო.

ქევხიშვილები ვენახში გასულიყვნენ, ჩვენც მათ შევეუერთდით და სოფელს მონატრებულები დიდი ხალისით ვკრეფდით ქარვისფერ რქაწითელს.

სალამოს მშვენიერი სანახავი იყო სოფელი. ყურძნით დატვირთული ურმები ჭრიალით მიიწევდნენ ორღობეში, ურმებში უმეტესად ვირები იყო შებმული, ამდენი ვირი ერთად არ მენახა, რადგან, ნოდარ ღუმბაძისა არ იყოს, „გურიასი ვირი ისეთივე მოვლენა იყო, როგორც უცხოელი ტურისტი ომამდე“.

აქაოდა, ქევხიშვილებისას თბილისელი სტუმრები არიანო, სალამოს მეზობლები გადმოვიდნენ. გაიშალა მშვენიერი სუფრა, ითქვა ბევრი კახური სიმღერა. სასწავლებელში თემური ქართლ-კახურ სიმღერებს გვასწავლიდა, ჩვენ გურულს ვასწავლიდით, ამიტომ სუფრაზე ჩვენც ვიმღერეთ „ქალგულო“, „გუშინ შვიდნი“, „მოკლე მრავალყამიერი“ და სხვა, რითაც თემურის მეზობლები გაეახარეთ. შემდეგ გურული სიმღერებიც შეეუფრეთ, მაგრამ შევატყვე, მაინცდამაინც არ მოეწონათ. თუმცა ზრდილობის გული-სათვის ეს არ გამოუხატავთ.

ქეიფი კვირა დღესაც გაგრძელდა. გადაგვიპატიყეს მეზობლებმა, მერე თემურის ნათესავებმა და, რომ გივი მასწავლებლის შიში არა, ალბათ, ერთ კვირას მაინც დავრჩებოდით ახალსოფელში. კვირა სალამოს გამოვემშვიდობეთ არაჩვეულებრივად სათნო და



გივი ლორთქიფანიძე

სტუმართმოყვარე მასპინძლებს, თემურის მშობლებს, დეიდა მაროსა და ბიძია ვასოს, რომლებსაც ხილით და ყურძნით სავსე კალათები გაემზადებინათ ჩვენთვის. ავტობუსში ძლივს ავიტანეთ ყურძნის აკიდოები, ჩირის ასხმულები და ხილი.

ორშაბათ დილით გივი მასწავლებელმა ჯერ გამოგვკითხა, თუ როგორი „დრო გავატარეთ“ კახეთში, მერე გაკვეთილები შეგვიმოწმა და არადამაკმაყოფილებელი პასუხებისათვის სამთავეს ორიანები „გამოგვიცხო“, თანაც დააყოლა: თქვენ, გენაცვალე, სწავლა არ გინდათ, ქეიფი და დროსტარება გირჩევნიათო.

ერთ დღეს მივედი გაკვეთილზე და, როცა არაფერს ველოდებოდი, მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა.

მაშინ მოდაში იყო გრძელი თმა. მეც ისევე, როგორც ყველა სოფლიდან ჩამოსული, რომელიც ცდილობს არ ჩამორჩეს მოდას, გადავწყვიტე თმის მოშვება, დიღზე კი არა, მაგრამ გივი მასწავ-

ლებლის განსარისხებლად საკმარისი აღმოჩნდა. მან მითხრა, თუ ამ ჯაგარს ახლავე (თუმცა ხუჭუჭი თმა მქონდა) არ მოვიშორებდი, თვითონ გამკრეპდა თავისივე მაკრატლით. ჯიბეში თმის გასაკრეპი ფული ჩამიტენა და უახლოეს საპარკმახეროში გამგზავნა. ამ შემთხვევამ ძალიან გამანაწყენა და რამდენიმე დღე გაკვეთილზე არ მივსულვარ.

სამი დღის შემდეგ ბადრის პირით შემომითვალა, რომ აუცილებლად მივსულიყავი სასწავლებელში. გაკვეთილებზე უხმოდ ვიჯექი. გივი მასწავლებელი ისე იქცეოდა, თითქოს საერთოდ ვერ მხედავდა.

გაკვეთილების შემდეგ მე და ბადრი თავისთან წაგვიყვანა სახლში. მე პირველად მოვხვდი პეტრიაშვილის ქუჩაზე, 32-ე ნომერში, სადაც ლორაქიფანიძეები ცხოვრობდნენ.

კარი სიმპათიურმა მოხუცმა ქალმა გაგვიღო. ეს დედაჩემია, გვითხრა გივი მასწავლებელმა. დედას მიუბრუნდა: „Мама, эти разбойники из Гурни“.

დეიდა კატუშამ გაიცინა და ოთახში შეგვიქცა. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო უამრავი წიგნი. ნეტა ყველა თუ აქვს წაკითხული-მეთქი, გავიფიქრე.

გივი მასწავლებელმა თავის ოთახში შეგვიყვანა. ოთახი ფაქიზად იყო მილაგებული. აქაც წიგნები, ელექტროსაკრავი და გრამფირფიტები ელაგა. მაგიდაზე საფანქრე იდგა, რომელშიაც სუფთად წვერწათლილი ფანქრები ეწყო. იქვე საშლელები, ფანქრის სათლელები, კალმისტრები და ნოტის ფურცლები ელაგა. ოთახში ყველა ნივთს თავის ადგილი ჰქონდა. არაჩვეულებრივი სისუფთავე და საქმიანი იერი იგრძნობოდა. ოთახის ერთ კედელზე ერთადერთი გადიდებული ფოტოსურათი ეკიდა. ეს მამაჩემის მასწავლებელია, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ნიკოლაძე, გვითხრა გივი მასწავლებელმა. შემდეგ ჩემი ყურადღება მიიპყრო პატარა როიალმა, რომელიც ოთახის კუთხეში იდგა. გივი მასწავლებელმა შეამჩნია ეს, დაჯდა როიალთან და რალაც საოცარი მუსიკა დაუკრა, რომელმაც სევდიანი განწყობილება მომგვარა. წუთით დავტოვე თბილისი, სოფელში აღმოვჩნდი და, როცა თვალის უბეები ცრემლით ამევსო, მუსიკაც დამთავრდა. ეს იყო „მთვარის სონატა“. შემდეგ გივი მასწავლებელმა ელექტროსაკრავზე ფირფიტა დადო. გაისმა არაჩვეულებრივი ტემბრის ბანი,

რომელიც საოცარი ემოციებით ასრულებდა შეწუხებული თუ დამწუხრებული კაცის სიმღერას. მის ცრემლნარევ ხმაში დიდი მწუხარება იყო დაგუბებული. „ეს შალიაპინია, დიდი რუსი მომღერალი, — გვითხრა გივი მასწავლებელმა, — დონ კიხოტის სიკვდილის სცენას ასრულებს ფრანგი კომპოზიტორის მასნეს ოპერა „დონ კიხოტიდან“. ნახეთ, რა საოცარი ოსტატობით ხატავს მომაკვდავი კაცის სახეს. აი, დედა მოელანდა. მოუსმინეთ, რა თბილად იგონებს მას“.

მე მომეჩვენა, რომ მბეუტავი სანთლით ხელში, თეთრი სამოსით მოსილი, ღვთისმშობელივით გამოჩნდა დედა, იგი ნელ-ნელა მიუახლოვდა მომაკვდავ შვილს და საოცარი, დედაშვილური სიყვარულით მიეფერა. ამ ხმამ ააფორიაქა დონ კიხოტი — შალიაპინი. შეწუხდა, აბობოქრდა, უკანასკნელად გაიბრძოლა, ისევ დედას ეძახდა. მერე თანდათანობით მიწყნარდა, სიკვდილს მიენდო და დარჩა დედის ცრემლნარევი ხმა, რომელიც მომაკვდავ შვილს თავზე სანთელივით დასდგომოდა.

მუსიკა მიწყდა, მე პირველად გავიგე, რომ სიმღერით ასე შეიძლებოდა გრძნობებისა და მოქმედების გადმოცემა. მე მუსიკას კი არ ვუსმენდი, არამედ ვხედავდი ყოველივე ზემოაღწერილს. აი, ნამდვილი ხელოვანი რასა ჰქვია.

ოთახში სამოც წელს გადაცილებული, მკვრივი, სპორტული აღნაგობის კაცი შემოვიდა. მას მშვიდი სახე ჰქონდა და მისი ასაკისათვის შეუფერებლად დაბერილი კუნთები მოუჩანდა მოკლესახელოებიანი პერანგიდან.

ალბათ, ძველი სპორტსმენი თუა-მეთქი, გავიფიქრე. ეს მამაჩემია, ირაკლი ლორთქიფანიძე, — გაგვაცნო გივი მასწავლებელმა. ირაკლი ბიძიამ მაგრად ჩამოგვართვა ხელი და სასადილო ოთახში მიგვიწვია.

მე ჯერ კიდევ მუსიკის შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი და ამიტომ უმადოდ დავიწყე ჭამა. ერთი რამ გამიკვირდა, ღვინო არავის შემოუთავაზებია ჩემთვის. სოფელში ასე არ იცოდნენ. ვინც უნდა მოსულიყო ჩვენთან, დედა და ბებია აუცილებლად ღვინოს ან არაყს გამოუტანდნენ. ქალაქში კარგი სტუმარ-მასპინძლობა არ სცოდნიათ-მეთქი, გავიფიქრე.

ნასადილევს ისევ გივი მასწავლებლის ოთახში გავედით და მოვისმინეთ არიები და სიმღერები: კარუზოს, ჯილის, ტიტო რუფოს,

მილიცა კორიუსის, გალიკურჩისა და სხვათა შესრულებით, მე ზოგიერთი მათგანის გვარი პირველად მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ისინი საუცხოოდ მღეროდნენ. მოვისმინეთ ნაწყვეტები ვერდის ოპერა „აიდიდან“, რომელიც ძალიან მომეწონა. მართალი გიოხბრათ. აღრე ოპერა არ მომწონდა, სულ ვფიქრობდი, არ შეიძლება, პირდაპირ უთხრან ერთმანეთს სათქმელი, რაღა სიმღერით მიმართავენ-მეთქი, ახლა კი თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ საოპერო ხელოვნება ძალიან დიდი ხელოვნებაა.

— ახლა ქართველ მომღერლებს მოგასმენინებთ, — გვითხრა გივი მასწავლებელმა და ელექტროსაკრავზე ფირფიტა გამოცვალა. გაისმა „აბდულ-არაბის“ არია არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“. დავით გამრეკელი მღეროდა. მე სიცილს ვერ ვიკავებდი, რადგან ამ არიამ ერთი ასეთი ამბავი მომაგონა:

ერთხელ, ჩვენს სოფელში ფილარმონიის მსახიობთა ჯგუფი ჩამოვიდა თბილისიდან. კონცერტის შემდეგ სტუმრებს ვახშამი გაუმართეს კოლმეურნეობის კანტორაში, სადაც, სხვებთან ერთად, სოფლის მომღერლებიც მიგვიწვიეს. მსახიობებმა სადღეგრძელოში გვითხრეს, რომ ძალიან მოეწონათ გურული სიმღერები, მე კი ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მათ უფრო კასიანე ბერსენაძის სანთლის არაყი მოეწონათ.

როცა სუფრა ეშხში შევიდა, ერთ-ერთმა მომღერალმა სიმღერა წამოიწყო. თანაც წინასწარ გაგვაფრთხილა, ახლა „აბდულ-არაბის“ არიას გიმღერებთო. ილარიონ სიხარულიძემ ცოტა ხანს უსმინა და, როცა მომღერალს თავისიანებიდან არავინ აპყვა, იკადრა და პირველი ხმა თვითონ უთხრა, ხოლო ბანი ტელე იობიწვილმა დააწია. სხვათა შორის, უცნობი სიმღერის პირობაზე მშვენივრად შეუწყვეს ხმები.

— ეს არიას და მარტო იმღერებო, — თქვა ცოტა ნაწყენმა მომღერალმა, როცა სიმღერა დამთავრდა.

— მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდვას და, მით უმეტეს, სიმღერაში. მარტო სიმღერა არ გამიგია მე, ბიჭოს! — ჩაილაპარაკა ილარიონ ბიძიამ.

მუსიკის მოსმენა დამთავრდა. გივი მასწავლებელმა კარებამდე გამოგვაცვალა და ჩვენი უსახლგროდ კმაყოფილი სახეები რომ დანახა, შეგვპირდა, თუ კარგად ვისწავლიდით, ხშირად მოგვიწვევდა თავის სახლში მუსიკის მოსასამენად.

7 ნოემბრისათვის სამ დღეს ვისვენებდით. „ბაბუას ხათრით“ გივი მასწავლებელმა ორი დღეც მოგვიმატა და მე და ბადრი სოფელში გავემგზავრეთ. მანამდე შევიკერეთ კრეპის შავი კოსტიუმები „ბუტილკა“ შარვლით. „მოკასინებმა“ ფეხები ლედვივით ამიტყავა. ნეილონის პერანგებს შავი ჰალსტუხები გვიმშვენებდა და, ვინაიდან მე და ბადრიმ „გალსტუკის“ გამონასკვა არ ვიცოდით, ნიაზი გუნთაიშვილმა გამოგვინასკვა და გაგვაფრთხილა: არ გაიხსნათ, თორემ ამის გულისთვის მახარაძეში ვერ ჩამოვალთ. მოკლედ, ჩვენმა მშობლებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ „თბილისელი ბიჭები“ სოფელში მოდურად გამოწყობილი ჩავსულიყავით.

მატარებელში ბევრი ჩემი თანაკლასელი შემხვდა. კახი ჭანუყვაძე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობდა, რეზო ხოხლენკო და მეგი აფხაზავა — პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ვიტალი ჯაში უნივერსიტეტში ჩარიცხულიყო და, რა ვიცი, კიდევ რამდენი ვინმე. ჩვენთან ერთად მგზავრობდნენ აგრეთვე რამდენიმე პედაგოგი ჩვენი ყოფილი სკოლიდან და უამრავი ნაცნობი მახარაძიდან. მახარაძელების შეკითხვაზე, თუ სად სწავლობთო, ჩემი ამხანაგები ამაყად პასუხობდნენ: „გეპიში“, „უნივერსიტეტში“, „სასოფლოში“ და ასე შემდეგ. კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ხსენებაზე მხრებს იჩეჩავდნენ და კითხულობდნენ: სადაა მათი სასწავლებელიო. ბადრი ამაყად პასუხობდა „დინამოს“ სტადიონთანო, რადგან „დინამოს“ ადგილსამყოფელი — ყველამ იცოდა.

ერთმა ნაცნობმა მკითხა: რატომ ინსტიტუტში არ ჩააბარეო?

ბაბუას ხათრი ვერ გავუტეხე-მეთქი, — ვუპასუხე.

— ე, ბიჭო, გეთხუებიან ჩემი ბალანაზა შენი მედალი, ორი ათასი მანეთი დავახარჯე მაგის მომზადებას და მაინც არ ეშველა აფერი, — ყველამ გაიცინა.

მე შევწუხდი და გავწითლდი. მერე ვაგონის ფანჯარასთან მივედი. წვიმდა. გუნება გამიფუჭდა. ბაბუაზე გავნაწყენდი. რა იქნებოდა, რომელიმე ინსტიტუტში ჩამებარებინა და ახლა სხვებივით ამაყად დამესახელებინა ჩემი ინსტიტუტი. არადა, ბაბუამ დაიჩემა, გინდა თუ არა, მუსიკალური განხრით უნდა გააგრძელოო სწავლა. ა, ბატონო! გავაგრძელე, მერე რა გამოვა, ვინ იცის, — ვფიქრობდი ჩემთვის. — ოთხი წელი სასწავლებელში სწავლა, მერე ხუთი



წელი კონსერვატორიაში, თუ ყველაფერი რიგზე იქნა და „ჯარში არ წამიყვანეს“. რომ დავამთავრებ სწავლას, 27 წლისა ვიქნები და გავიდა მთელი ცხოვრება. რაღას უნდა მოვესწრო მერე? ეს გივი მასწავლებელიც ჩემით უკმაყოფილოა. ვერ გავიგე, რა უნდა ჩემგან. თითქოს კარგადაც ვმეცადინებო, ყველაფერს ვაკეთებ, მაინც ამ კაცის გული ვერ მოვიგე. ეს აზრები მაწვალებდა, როცა ტამბურში ჩემმა თანასოფელმა ქესკინა თოიძემ ჩამოიარა. ძალიან გაეხარდა ჩემი დანახვა. ქესკინა ძველი მონადირეა. მას ბელებიანი დათვი მოეკლა, დათვის ტყავი და ბელები თბილისში ჩაებარებინა „მონკავშირში“ და ახლა სოფელში ბრუნდებოდა.

— სად სწავლობ, ბიძია? — მკითხა ქესკინამ.

— საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში, — ვუპასუხე მე.

— მალადეც! შენ იმფერი დედ-მამის შვილი ხარ, ყოლისფერ კაის იზამ, — მითხრა ქესკინამ.

მახარაძის სადგურზე ნოდარ ლომჯარია დაგვხვდა კოლმეურნეობის მწვანე „მოსკვიჩით“ და სოფელში წაგვიყვანა.

„ტიტუ, რავე გაზრდილან და რავე დატყობიან ქალაქისფერი“, — ისე გაიკვირვეს მეზობლებმა, თითქოს ორი თვის კი არა. ორი წლის წასული ვყოფილიყავით სოფლიდან.

პირველი სემესტრი დამთავრდა. მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვიყავი ჩემი მდგომარეობითა და აკადემიური მოსწრებით, თუმცა საუკეთესო პედაგოგები მასწავლიდნენ.

სპეციალობას (დირიჟორობა) ახალგაზრდა, მაგრამ შესანიშნავი სპეციალისტი ნინო მწითლავიშვილი მასწავლიდა, არაჩვეულებრივი აღმზრდელი და ბრწყინვალე ბუნების ადამიანი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩემგან მუსიკოსი გამოსულიყო; ფორტეპიანოში ოფელია ინაშვილი მამეცადინებდა, ვოკალში — ელენე აბულაძე.

ხალხურ საკრავებს ქეთევან მეგრელიძე მასწავლიდა, ხოლო ხალხურ სიმღერებს ვასილ მახარაძე. გურული სიმღერები კი კარგად ვიცოდი ბაბუას წყალობით, მაგრამ ახლა თანდათან ვეუფლებოდი საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს. ვ. მახარაძე ამის უბადლო ოსტატი იყო. ფლობდა ყველა კუთხის სიმღერებსა და მათი შესრულების ოსტატობას. სხვა საგნებს — ლ. მარტაშვილი, მ. ხვიჩია, მ. ყანჩელი, ზ. კუჭულაძე, გ. კუტალაძე, ქ. ბერაია,

ს. გობეჯიშვილი, კ. კომლაქე, ი. ახუაშვილი და სხვები გვასწავ-  
ლიდნენ.

გივი მასწავლებელი ყველა მათგანს ეკითხებოდა ჩემი აკადემი-  
ური მოსწრების შესახებ და სათანადო რეაგირებას ახდენდა, ვინც  
კი ჩემით უკმაყოფილო იყო, ყველას მაგივრად გივი მასწავლებე-  
ლი მტუქსავდა.

ვცხოვრობდი ქირით, ერთ პატარა ოთახში, სადაც არ მქონდა  
ფორტეპიანო, რაც ასე აუცილებელი იყო ჩემთვის, ამიტომ, სხვებ-  
თან ერთად, ხშირად სასწავლებელში გვიან ღამემდე ვმეცადინებო-  
ბდი, ხშირად უთენიაც მივდიოდი, თუ წინა ღამით რიგი მომიწევდა.

ერთხელ გივი მასწავლებელს გაკვეთილი საკმაოდ კარგად ვუ-  
პასუხე. მეგონა, შემაქებდა, მაგრამ მან კატეგორიული ტონით მი-  
თხრა: შენით უკმაყოფილოა ფორტეპიანოს მასწავლებელი და თუ  
სასწრაფოდ არ გამოასწორებ მდგომარეობას, ცუდად იქნება შენი  
საქმეო.

მე ვუთხარი, პიანინო არა მაქვს და ამიტომ ვერ ვახერხებ-მე-  
თქი მეცადინეობას.

— დღეს გაკვეთილების შემდეგ ჩემთან წამოხვალ სახლში, —  
მითხრა პასუხად.

— ბიძიკო, მოგწონს ჩემი როიალი? — მკითხა მან, როცა  
სახლში მივედი. მე თავი დავუქნიე. ეს იყო არაჩვეულებრივი  
როიალი „ბენშტეინის“ ფირმისა, რომელიც, როგორც შემდეგ  
გავიგე, გივი მასწავლებელმა ომის შემდეგ ლენინგრადიდან ჩა-  
მოიტანა.

— პოდა, ბიძიკო, ყოველდღე შეგიძლია მობრძანდე და ამ  
როიალზე იმეცადინო, თუ გინდა, დილაზე, ოღონდ აქ სხვებიც  
მეცადინებენ და ერთმანეთს ხელი არ შეუშალოთ. აბა, მოდი აქ,  
ცხრილს გადავხედოთ! მე მეგონა, გამონაკლისი ვიყავი, თურმე,  
ნუ იტყვიო, უფროსკურსელები: ჯოყოლა სამუკუაშვილი, მურმან  
ბერულავა, ზაურ ხუჭაძე, როლანდ ხატიაშვილი და კიდევ რამდე-  
ნიმე ნიპიერი მოსწავლე — „კონსერვატორიის კადრი“ — ამ როი-  
ალზე იმალებდა თავის ცოდნას.

გივი მასწავლებელმა შემიდგინა კვირის განრიგი, უკვე თავი-  
სუფლად შემეძლო მემეცადინა. ეს ჩემთვის უდიდესი პატივი იყო.

— ხვალ შენთვისაც გავაკეთებინებ ერთ გასაღებს. თუ ჩვენები  
სახლში არ იქნებიან, თავისუფლად შეგიძლია გააღო კარი და შე-

მოხვიდე. პირველად სამზარეულოში შეხვალ, გამოაღებ კარადას და კარგად ისაუზმებ, ღვინოს ხელი არ ახლო. თუ კარგად ისწავლი, „საპარაზდნიკოდ“ (მე გამომაჯავრა, საპარაზდნიკოდ სახლში გამიშვი-მეთქი. ერთხელ ვუთხარი) თითო ჭიქას დაგაღევინებ. შემდეგ შემოხვალ ჩემს ოთახში და იმეცადინებ. აი, ფირფიტების კატალოგიც. რომელი ჩანაწერიც მოგეწონება, შეგიძლია მოისმინო.

კატალოგი არჩვეულებრივი სიზუსტით ჰქონდა შედგენილი.

— კიდევ რა, ბიძიკო! ჰო, სულ დამავიწყდა, „ცუგა“ უნდა გაგაცნო.

ცუგა მწევარის ჯიშის, საკმაოდ მოზრდილი ძალი იყო. მან იროანიულად შემომხედა, ეტყობა, მაინცდამაინც არ მოვეწონე და აპიტომ რამდენჯერმე დამიღრინა. გივი მასწავლებელმა აუხსნა, რომ მე არც ისე ცუდი ბიჭი ვარ, არა ვარ ქურდი და მამაძალი, ცოტას მოვიზარმაცებ, მაგრამ ჯერჯერობით უნდა შაპატიოს, — ცუგას არ უყვარს ზარმაცები, — მომიბრუნდა მე. — თუ კარგად ისწავლი, ხმას არ გაგცემს და, თუ შეგატყო, რომ ტყუილუბრალოდ დადიხარ, კანკებს გამოგჭამს. ხო, მართლა, ცუგას არ უყვარს ბგერა „სი ბემოლი“ და შეიძლება დაიყუფოს, — მითხრა და როიალზე სი ბემოლი აიღო. ცუგამ რამდენჯერმე დაიყუფა. ჩვენ გულიანად გადავიხარხარეთ. სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, მგონი ცუგა დამიმეგობრდა.

მეორე დღეს, დათქმულ დროს მივედი გივი მასწავლებელთან. სახლში არაფერი იყო, კარი ფრთხილად გავაღე. ცუგამ, რომელიც კართან იწვა, დაიყუფა და, როცა დამინახა, კუდი გამიჭიკინა. მე კარგად ვიმეცადინე და ახლა ფეხბურთზე ვაპირებდი წასვლას, ვფიქრობდი, გივი მასწავლებელმა თუ მომისწრო, შეიძლება არ განიწვას-მეთქი. მაგრამ, ნურას უკაცრავად! ცუგა სასტიკ უარზე დადგა. მე მეგონა, ჯერ მაწინებდა, მაგრამ როცა კართან ახლოს წავიდი, ყუფით გამოქანდა ჩემკენ და კინაღამ წარვალე შემომახია. არც მოფერებამ, არც ხეწწნა-მუღარამ, არც ქრთამმა (კარადიდან წაჭარი მოფუტანე) არ გაჭრა. რა მექნა, იჭულებული ვიყავი, შევსუღლუყავი ოთახში და მეცადინეობა გამეგრძელებინა. გივი მასწავლებელმა მომისწრო, მე და ცუგა ორივე შეგვაქო ღიმილით და დამის თორმეტ საათამდე მამეცადინა. ფეხბურთის ანგარიში ტრამვაიში გავიგე მხოლოდ. მე შევეჩვიე ლორთქიფანიალების ოჯახს და ხშირად დავდიოდი მათთან. ხან გივი მასწავლებელი მიბარებდა, ხში-



ირაკლი ლორთქიფანიძე და გიორგი ნიკოლაე

რად ჯგუფურადაც გვიხდებოდა მისვლა. ჩვენთან ერთად უფროს-კლასელებიც მოდიოდნენ. გივი მასწავლებელი, გარდა მეცადინეობისა, ბევრს გვასმენინებდა კლასიკური მუსიკის ნიმუშებს, გვიყვებოდა საინტერესო ამბებს, შემდეგ გვაფასშმებდა და გამოგვემშვიდობებოდა. გვეტყოდა, თქვენ უკვე ისე გამიშინაურდით, რომ, ვინ იცის, ხვალ სასწავლებელში მითხრათ: „ზღრასტი, გივკა, როგორა ხარო!“ — ჩვენ გულიანად ვხარხარებდით. მეორე დღეს გაკვეთილზე ისე გვექცეოდა, თითქოს დღეს პირველად გაგვიცნო.

დრო გადიოდა. ჩვენ ბევრს ვმეცადინეობდით, გივი მასწავლებელი ხანდახან ღამემდე გვეტოვებდა და როცა მიხვდებოდა, არაქათი აღარა აქვთო, მერეღა გაგვიშვებდა სახლში. ხანდახან მამამისი, ირაკლი ბიძია გამოგვესარჩლებოდა ხოლმე: — რა გაუჭირე ამ ბოვშევებს საქმე, დაასვენე ახლა ცოტა, მუსიკის გარდა, სხვა რამეზეც ვილაპარაკოთო, — ეტყოდა გივი მასწავლებელს.

ირაკლი ლორთქიფანიძე სოფელ „დიდ ჯიხაიშში“ დაიბადა. იგი ბავშვობიდანვე მეგობრობდა შემდეგში გამოჩენილ მეცნიერთან

გიორგი ნიკოლაძესთან და ახლო ურთიერთობაში იყო მამამისის, გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ოჯახთან. ნ. ნიკოლაძეს შესანიშნავი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელიც პატარაობიდანვე იზიდავდა ირაკლი ლორთქიფანიძეს.

გიორგი ნიკოლაძე პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა და ზაფხულობით, როცა სოფელში ჩამოდიოდა, ირაკლი განუყრელად მასთან იყო, თუმცა ასაკით საკმაოდ ჩამორჩებოდა უფროს მეგობარს. სწორედ ასეთი არდადეგების დროს აზიარა გიორგი ნიკოლაძემ ირაკლი ლორთქიფანიძე ტანვარჯიშის ანბანს. ხოლო შემდეგში მისივე ხელმძღვანელობით ცნობილმა ტანმომარჯიშეებმა: ი. ლორთქიფანიძემ, გ. ეგნატაშვილმა, დ. ჯავრიშვილმა, ვ. ციციშვილმა, ა. ბაქრაძემ, შ. აგლაძემ, ი. ნანეიშვილმა, ნ. ონანაშვილმა, თ. ნიკოლაძემ, გ. ბერულაშვილმა და სხვებმა დიდი ამაგი დასდეს საქართველოში ტანვარჯიშის დანერგვისა და განვითარების საქმეს.

ი. ლორთქიფანიძე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გ. ნიკოლაძემ, რომელიც იმ დროს იუზოვკაში (დონეცკი) მუშაობდა, თან წაიყვანა და მუშაობა დააწყებინა ბრძმედის დანადგარების საკონსტრუქტორო ბიუროში. იუზოვკაში გატარებულმა წლებმა განაპირობეს ი. ლორთქიფანიძის გამოჩენილ ინჟინერ-მეტალურგად ჩამოყალიბება. ერთ-ერთი მათგანი, ვის სახელთანაც არის დაკავშირებული ქართული მეტალურგიის განვითარება, გახლავთ ირაკლი ლორთქიფანიძე. 1950 წელს მისი ნაშრომი აღინიშნა სახელმწიფო პრემიით.

ირაკლი ბიძია იყო არაჩვეულებრივად მოწესრიგებული, სპეტაკი ადამიანი, დიდი პატრიოტი, ბრწყინვალედ იცოდა საქართველოს ისტორია და გიორგი ნიკოლაძესთან ერთად მოვლილი ჰქონდა საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული, იყო ცნობილი მთამსვლელი. ირაკლი ბიძია აღმერთებდა თავის მასწავლებელს გიორგი ნიკოლაძეს და ბევრ საინტერესო ამბავს გვიამბობდა მის შესახებ, გვიამბობდა, თუ რაოდენ დიდი ღვაწლი დასდო მან თავის სამშობლოს და თავის საყვარელ უნივერსიტეტს. გიორგი ძალიან მკაცრი და მომთხოვნი ყოფილა. ერთხელ თურმე საკურსო გამოცდებს იბარებდა უნივერსიტეტში, მასთან შემოვიდნენ მისი მოწაფეები მარო ტყავაძე და ელიკო ლორთქიფანიძე, რომლებთანაც ერთად ცოტა ხნის წინათ გ. ნიკოლაძემ მყინვარწვერი დალაშქრა.

დარწმუნებულები, რომ ნიშანს მიიღებდნენ, მარომ და ელიკომ მისი საგანი კარგად არ მოამზადეს, გიორგიმ ისინი რამდენჯერმე გამოსცადა და ნიშანი არ დაუწერა. ბოლოს მთელი თვე ამეცადინა და როცა კარგად შეასწავლა ყველა საკითხი, მერე დაუსვა დამაკმაყოფილებელი ნიშანი, თანაც დასძინა: თქვენ ჩემი ახლობლები ხართ და უფრო მეტი მოგეთხოვებათ.

ირაკლი ბიძიას ბევრი ჰქონდა მოსაგონარი და საღამოობით თავისუფალ დროს გამოგვტაცებდა ხელიდან გივი მასწავლებელს და გვიყვებოდა ძველი თაობის გამოჩენილი ადამიანების შესახებ. ჩვენც დიდი გულისყურით ვუსმენდით.

ზამთარი ნელ-ნელა მიილია. დათბა. ირგვლივ ყოველივე აყვავდა. მე სოფელში გაზრდილი ბიჭი ვიყავი და საოცრად მიზიდავდა ბუნება. ვერ იქნა და ვერ შევეჩვიე ქალაქს. თითოეული აყვავებული ხე ჩემს სოფელს მაგონებდა. ერთ დღეს, როცა გივი მასწავლებელი ცოტათი კმაყოფილი დარჩა ჩვენი პასუხით, „ჩემულებს“ გამოგვიცხადა: „ვინაიდან ცოტა უკეთესად მეცადინებთ, ჯილდოდ ხვალ მცხეთაში წაგიყვანთ ექსკურსიაზე. ჩვენთან ერთად წამოვა ცნობილი მეცნიერი შალვა ასლანაშვილი და, თქვენ იცით, ნამეტანი არ გაუთამამდეთო“. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მეორე დღეს დილით ერთმანეთს შევხვდით ავტობუსების სადგურთან. ავტობუსით ჩავედით ჯვრის გადასახვევამდე, იქიდან ჯვარზე ავედით ფეხით, შემდეგ დავათვალიერეთ სვეტიცხოველი, მცხეთის სხვა ღირსშესანიშნაობები და ბოლოს წავედით არმაზში, სადაც ვნახეთ არმაზის სამარხები.

საღამოს აღსავსე შთაბეჭდილებებით, უაღრესად კმაყოფილნი დავბრუნდით თბილისში მატარებლით. გამომშვიდობებისას გივი მასწავლებელმა გვითხრა: თუ კარგად იმეცადინებთ, მალე ზედაზენზე წაგიყვანთ, მერე გრემსა და იყალთოს დავათვალიერებინებთო, ხოლო თუ კონსერვატორიის სტუდენტები გახდებით, ვარძიასა და სხვა მნიშვნელოვან ძეგლებსაც გაჩვენებთო, თანაც დასძინა, გადაეცით თქვენს ამხანაგებს, რომ ვინც კარგად არ იმეცადინებს, ვერ ეღირსება ჩვენთან ერთად ექსკურსიაზე წამოსვლასო.

გივი მასწავლებელმა აგვისრულა დანაპირები და მომდევნო წლებში მასთან ერთად შემოვიარეთ საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ადგილი, დავათვალიერეთ მეტად საინტერესო ისტორიული ძეგლები, რამაც ჩვენზე დიდი გავლენა მოახდინა.

უკვე მეორე წელი გადიოდა, რაც მე და ბადრი თბილისში ჩამოვედით სასწავლებლად. გივი მასწავლებელი საოცარ ზრუნვას იჩენდა ჩვენს მიმართ. იგი თავის მოწაფეებს სახლში გვამეცადინებდა, განსაკუთრებით ეხმარებოდა რაიონიდან ჩამოსულებს, ოჯახებს მოწყვეტილნი არიან და უჭირთო. სახლში, გაკვეთილზე ისე არ დაგვსვამდა, თუ არ გვასაუზმებდა.

ერთხელ შემამჩნია, რომ ჩემი პერანგის საყულო გაცრეცილიყო. მეორე დღეს, გამომშვიდობებისას, რაღაც ქალაღში გახვეული გადმომცა, ეს სახლში გახსენიო, — მითხრა. ქალაღში შეხვეული საუკეთესო პერანგი აღმოჩნდა. მე მადლობა გადავუხადე. მადლობა არ მინდა, როცა დიდი კაცი გახდები, მაშინ დამიბრუნეო, — მითხრა.

საჩუქრებს უმზადებდა ყველას. იმ წელს ძალიან ცივი ზამთარი იდგა. გივი მასწავლებელი ზოგს თავის პალტოს აძლევდა, ზოგს — ხალატს. თავისი რომ აღარ ეყო, ირაკლი ბიძიას ტანსაცმლის დარიგება დაიწყო. კიდევ ერთი ასეთი ზამთარი და მთელი ოჯახი შიშველი დავრჩებითო, ხუმრობდა ირაკლი ბიძია.

იმ მიზეზით, რომ „თავზე ბევრი ბურღლა და ბალანი გვქონდა“, — გივი მასწავლებელი ხშირად ათმანეთიანს ჩავვიდებდა ჭიბეში და გვეტყოდა: წადი ახლა და სანამ თავს არ გაიქუცავ, არ დამენახო.

— კი მაგრამ, გივი მასწ... თავის გაკრეჭაში ალექსას ერთ მანეთს ვაძლევ.

— დანარჩენი, დიდი კაცი რომ გახდები, მერე დამიბრუნე, — გვეტყოდა.

იცოდა თითოეული ჩვენთაგანის დაბადების დღე. იმ დღეს აუცილებლად სახლში დაგვიბარებდა. საზეიმო სუფრას გაშლიდა და შედარებით მსუბუქი მეცადინეობის შემდეგ, სუფრასთან მიგვიწვევდა, დეიდა კატუშა ჩვენს საყვარელ კერძებს მოამზადებდა. თამადად ირაკლი ბიძია დადგებოდა. ჩვენ უფლება გვქონდა, მხოლოდ ერთი ჭიქა დაგველია.

— რა არის, გივი მასწ... ერთი ჭიქა რას გვეყოფა, ორი მაინც იყოს, ყელი გამიშრა...

— ყელი თუ გაგიშრა, ბიძიკო, წყალი დალიე. ორი ჭიქა გერ-

გება, როცა კონსერვატორიის სტუდენტი გახდები, სამი ჭიქა — როცა კონსერვატორიას დაამთავრებ...

აქ საქმეში ჩაეროდა ირაკლი ბიძია და ისარგებლებდა რა თამადის უფლებებით, რამდენიმე პატარა ჭიქა „იზაბელას“ დაგვალევიანებდა, რომელსაც მათი სიძე შალვა კალანდაძე უგზავნიდა ხილისთავიდან.

ერთხელ, საახალწლოდ მე და ბადრიმ რამდენიმე ყუთი მანდარინი მივიღეთ სახლიდან. გადავწყვიტეთ, ორი ყუთი გივი მასწავლებლისათვის მიგვერთმია. წვიმიანი სალამო იყო. სასწავლებლიდან გვიან დავბრუნდით, ავიღეთ ორი ყუთი მანდარინი და მივადექით გივი მასწავლებელს. კარი თვითონ გაგვიღო.

— გამარჯობათ, გივი მასწ...

— რა არის ეს? — გვკითხა ისე, რომ სალამზე პასუხი არ გაუცია. ჩვენ მხრიდან ჩამოვიღეთ ყუთები, რომელიც საკმაოდ მძიმე იყო და ენის ბორძიკით დავიწყეთ: — ეს გივი მასწ... სოფლიდან გამოგვიგზავნეს თქვენთვის, საახალწლოდ... თქვენგან ისე პატივცემული ვართ, რომ არ ვიცით, რა ვქნათ... რით გადაგიხადოთ... — გივი მასწავლებელი გაფითრდა, მერე თვალები აუელვარდა და მეხვივით გავარდა, გვითხრა, რომ ეს „ქრთამი“ იმისათვის მომიტანეთ, რომ კარგი ნიშნები დაგისვათო. ჩვენ ბევრი ვემუდარეთ, მაგრამ არაფერმა გაჭრა. გაგვლანძლა, სასწავლებლიდან გარიცხვით დაგვემუქრა. მერე ზურგზე აგვკიდა ჩვენივე „ქრთამი“ და გვაიძულა ფეხით მიგვეტანა სახლამდე. კინალამ სული გაგვძვრა.

— ჰმ, პატივისცემა მოინდომეს! თუ ჩემი პატივისცემა გინდათ, რასაც გეუბნებით, გამიგონეთ, ხოლო ეს მანდარინები თქვენს ამხანაგებთან ერთად შესანსლეთო, — მოგვაძახა.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, არც ერთ ჩვენგანს აღარ უცდია მისთვის სამაგიერო პატივი ეცა.

დრო საოცარი სისწრაფით გადიოდა, უკვე მესამე კურსზე ვიყავი.

სექტემბერში, სოფლიდან რომ დავბრუნდი, გივი მასწავლებელს რამდენიმე გურული სიმღერა და საგალობელი ჩამოვუტანე, რომელიც ბაბუასაგან ჩავიწერე ზაფხულში. მან ყურადღებით გასინჯა ნამუშევარი, საჭირო შენიშვნები მომცა და მითხრა: „აი, ბი-



ძიკო! ეს არის ნამდვილი საჩუქარი, ეს შენს მანდარინსაც სჯობია და სხვასაც. იცოდე, როცა სოფელში ჩახვალ, დროსტარებასა და გრძელ სადღეგრძელოებს სჯობია სიმღერები ჩაიწერო ბაბუაშენისაგან. ეს არის განძი, უდიდესი განძი, და ამ განძის მფლობელი ბაბუაშენია. გურული სიმღერები შენ კარგად იცი, ახლა მთავარია. მიიღო მუსიკალური განათლება, რომ გაგიადვილდეს ამ სიმღერების ჩაწერა“.

და დაიწყო გაძლიერებული მეცადინეობები.

ოქტომბერში უწყება მივიღე, საბჭოთა არმიის რიგებში მიწვევდნენ. აქ დამეხმარა ნათლიაჩემი კვიროსი ბერსენაძე, ცნობილი მომღერალი, რომელსაც ძალიან უყვარდა ჩვენი ოჯახი და პირადად ჩემზე დიდი ამაგი ჰქონდა. კვიროსიმ სთხოვა თავის მეგობარ კომისარს ვ. კობიძეს და, როგორც გამონაკლისი, გაწვევა ერთი წლის ვადით გადამიდეს.

ახლა როგორმე კონსერვატორიაში უნდა მოვხვედრილიყავი, რადგან სტუდენტებს ჯარში არ იწვევდნენ. ამისათვის საჭირო იყო, ერთ წელიწადში ორი კურსის მასალა გამეველო. გივი მასწავლებელი ჩქარობდა, ბაბუა უკვე ასაკოვანი იყო და სანამ ჯანმრთელობა მოსდევდა, უნდოდა მისგან ყველაფერი ჩამეწერა.

იმ წელს სასწავლებლის დირექტორად დაგვინიშნეს დიდად განათლებული. მაგრამ მკაცრი, მომთხოვნი და მეტად სამართლიანი, პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ გურგენიძე, რომელიც გივი მასწავლებელთან ერთად დიდად დამეხმარა, შემიდგინეს სპეციალური პროგრამა: ვინაიდან საშუალო სკოლა ვერცხლის მედლით მქონდა დამთარებული, დირექტორის ბრძანებით, გამათავისუფლეს ზოგადი საგნების ჩაბარებისაგან. რადგან მაინც სახლში მამეცადინებდა, გივი მასწავლებელმა თავისი საგნებიდანაც გამათავისუფლა. სასწავლებელში მარტო ფორტეპიანოსა და სპეციალობის გაკვეთილებზე დავდიოდი. დირიჟორობაში ნინო მწითლავიშვილი მამეცადინებდა. უკვე საგამოცდო პროგრამაზე ვმუშაობდით და ნინო მასწავლებელი ენერგიას არ იშურებდა, რომ იგი დამეძლია. მთელ ჩემს გამოთავისუფლებულ დროს გივი მასწავლებელი კონსერვატორიის პროგრამის მოსამზადებლად იყენებდა. ჩემთან ერთად იმ წელს ჩვენი სასწავლებლიდან ზაურ ხუჯაძე, სულიკო ავჯანტაძე და გივი ბახტაძე აბარებდნენ. თითქმის ყოველდღე დავდიოდით გივი მასწავლებლის სახლში, როიალთან მო-

რიგეობით ვმეცადინეობდით, მერე ერთმანეთს ვცდიდით, ისევ ვმეცადინეობდით, იქვე ვსადილობდით, ისევ ვმეცადინეობდით. ცუ-  
გა ერთგულად გვდარაჯობდა კართან. ამ ხნის განმავლობაში ვე-  
რაფრით მისი გული ვერ მოვიგეთ. განსაკუთრებით ზაურ ხუჯა-  
ძეს უღრენდა, ჩემს მიმართ უფრო თავაზიანი გახდა, მაგრამ გარეთ  
გაშვებაზე ნურას უკაცრავად. სამსახურიდან გვიან მოვიდოდა გი-  
ვი მასწავლებელი, ცუგას დაუყვავებდა და ჩვენ მაგრად გაგვწუ-  
რავდა. იანვრისათვის გივი მასწავლებელი მაინც უკმაყოფილო  
იყო ჩვენი მომზადების დონით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შე-  
საძლებლობების მაქსიმუმს ვაკეთებდით. უკვე ძალა აღარ შემწე-  
და. ხელები დამეჭიმა და ამტკივდა ფორტეპიანოზე მეცადინეობი-  
საგან. თვალები გადამელალა, ნერვიულმა დაძაბულობამ იმატა.  
მიუხედავად ამისა, გივი მასწავლებლის გული მაინც ვერ მოვიგე-  
იგი მეტს მოითხოვდა, ზედმეტი არ შემეძლო, ცუღლუტობაში  
მდებდა ბრალს და მარწმუნებდა, რომ კონსერვატორიაში ვერ ჩა-  
ვებარებდი. მემუქრებოდა, თუ უფრო მეტს არ ვიმეცადინებდი,  
ხელს აიღებდა ჩემზე. მე ვეღარ გავუძელი ამდენ ნერვიულ დაძა-  
ბულობას, ერთ მშვენიერ დღეს თავი მივანებე ყველაფერს და მა-  
ხარაძეში წავედი. გადავწყვიტე, კონსერვატორიაში აღარ ჩამება-  
რებინა.

ერთი კვირის შემდეგ ჩვენთან ჩამოვიდა გივი მასწავლებელი,  
ვითომ თავისიანების სანახავად (ხიდისთავში მამიდაშვილები ჰყავ-  
და). მას არც საყვედური უთქვამს ჩემთვის, არც ის უკითხავს, თუ  
რატომ გამოვიქეცი თბილისიდან. იგი ბაბუას ესაუბრა კარგა ხანს,  
მერე ვახშამზე ცოტა ღვინოც დალია (რაც იშვიათობა იყო) და  
თავისი ამბავი გვიამბო: იგი ჯერ კიდევ მუსიკალური სასწავლებ-  
ლის მესამე კურსზე სწავლობდა, როცა საბჭოთა არმიის რიგებში  
გაიწვიეს, მერე ფინეთთან ომმა მოუსწრო, იქ იბრძოდა ბოლომდე.  
ფინეთთან ომის დამთავრების შემდეგ დემობილიზაციას ელოდე-  
ბოდა, მაგრამ სახლში არ გამოუშვეს. დიდმა სამამულო ომმა და-  
სავლეთის საზღვართან მოუსწრო. პირველივე დღეებში ჩაერთო  
ცხარე ბრძოლებში, ჯერ მსუბუქად დაიჭრა, მერე დაბომბვაში მოჭ-  
ყვა და მძიმე კანტუზია მიიღო, სმენა დაკარგა. სამკურნალოდ ლე-  
ნინგრადში გადმოიყვანეს, აქ მოუსწრო ლენინგრადის ბლოკადამ  
და იგი ბოლომდე დარჩა. წარმოუდგენელი გაჭირვება გადაიტანა,  
ავადმყოფობა, საშინელი შიმშილი, რამდენჯერმე შემციირდა პურის

ნორმა. ქალაქში გაქრა ყველა კატა და ძაღლი, ტყავის ქამრები, ხის წებო, ოთახის ყვავილები, ამას დაერთო დიდი ყინვები. წყალ-გაყვანილობა გაიყინა, სათბობი გათავდა, ელექტროსადგურები მოიშალა, სახლები ბნელში დარჩა, ლენინგრადში ყოველდღე ოთხიათასამდე კაცი კვდებოდა. არავინ იყო საფლავის გამთხრელი. ქუჩები ცხედრებით მოიფინა. ამ გაჭირვებამ ახალგაზრდები თითქმის დააბერა.

გვი მასწავლებელი მშობლებს სწერდა: „ლენინგრადიდან სამი-ოთხი კილომეტრის მანძილზე ვდგავართ, ნევის მარჯვენა ნაპირას, მივემგზავრებით კონცერტის ჩასატარებლად, იქნებ ცოტათი მაინც გავართოთ წითელარმიელები“. „ერთი თვეა, ყოველდღე ბარბაროსულად ბომბავენ ლენინგრადს, ბომბავენ განურჩევლად ყველაფერს, ძალიან ბევრი რამ არის დანგრეული“.

„ასე დიდი ხანი იმიტომ ვღუმი, რომ წერის არავითარი საშუალება არ იყო, ვიყავი ბრძოლებში... გერმანელების მიწურებში ზიჩის სურათების დედნები ვიპოვეთ, კედელზე მიწებებულები. მე ხელთ მომხვდა ბეთჰოვენის სონატები, რაზედაც გერმანელებს დიდ მადლობას ვუხდი, სამეცადინოდ გამომადგება“.

„ორი კვირა ბრძოლებში ვიყავით, ჩვენ გვარდიელები გვქვია. ვცხოვრობთ შლისელბურგში, ბრძოლები ისეთი დიდი მასშტაბისა იყო, რომ ათ კილომეტრზე მიწა ციებიანივით ცახცახებდა“. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, სულით არასოდეს დაცემულა. თავისუფალ დროს დადიოდა ლენინგრადის მუსიკალურ სასწავლებელსა და კონსერვატორიაში. იქ ნოტები იშოვა და ბლოკადის დამთავრებამდე მეცადინეობდა ბომბებისაგან ჩამონგრეულ ერთ საცხოვრებელ სახლში, სადაც „ბენშტეინის“ ფირმის როიალი იდგა. ზამთრის სიცივეშიც კი თავისუფალ დროს როიალთან ატარებდა, კონსერვატორიისათვის პროგრამას ამზადებდა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ომი რომ დამთავრდებოდა, კონსერვატორიაში ჩაებარებინა გამოცდები. მოეყინა ყურები, ცხვირი, მშიერი, გათოშილი იჯდა და საათობით მეცადინეობდა. საპაერო განგაშის დროსაც კი არ ტოვებდა თავის საყვარელ „ბენშტეინს“. ერთხელ, როცა საპაერო განგაში დამთავრდა, სამხედრო პატრულმა გაიგონა, რომ დანგრეულ სახლში ვიღაცა თავზხეულალებული როიალზე უკრავდა. იგი შეიპყრეს და ჰაუპტვახტში გაამწყესეს. ასე გასტანა მთელმა ბლოკადამ.

ომი რომ დამთავრდა, დაავადმყოფებული და დაუძლურებული დარბუნდა თბილისში. ჯერ მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრა ფრიადზე, მერე კონსერვატორიაში ჩაირიცხა და საკომპოზიციო ფაკულტეტი დაამთავრა. მაშინ უკვე 35 წელს გადაცილებული იყო...

მე უხმოდ ჩავალაგე ჩემოდანი და ჯერ ხიდისთავში გავყევი გივი მასწავლებელს, მერე თბილისში.

კონსერვატორიაში მისაღები გამოცდების დაწყებამდე რამდენიმე თვე რჩებოდა. ჩვენ სულ გივი მასწავლებელთან ვმეცადინებოდით გვიან ღამემდე, მარტო დასაძინებლად მივდიოდით სახლში. როცა ძალიან გადავიღლებოდით, იგი ქალაქგარეთ წაგვიყვანდა. ეს იყო ჩვენთვის წამალი.

ღაიწყო მისაღები გამოცდები. ნინო მასწავლებელმა უკანასკნელი გაკვეთილი ჩამიტარა და მითხრა: თუ რაიმე გამეგება, უნდა ჩააბარო. გივი მასწავლებელს მსგავსი რამ ვერ დავაცდენინეთ. გამოცდების წინ კონსულტაციაზე თვითონ წაგვიყვანა. კონსულტაციას ატარებდნენ: პროფესორი ვახტანგ ფალიაშვილი, დოცენტები: მიხეილ ძოძიშვილი, მამია ჩიკაშუა, ჯემალ გოკიელი, გრიგოლ კოკელაძე და სხვები. იგივენი იღებდნენ მისაღებ გამოცდებსაც. ვიფიქრე, ალბათ, გივი მასწავლებელი გამომცდელებთან ორიოდ თბილ სიტყვას შემაწევს-მეთქი. მან კი ასე წარმადგინა კომისიასთან: „ეს ყმაწვილი უნიჭო არ არის, მაგრამ ცოტას მოიზარმატებს, თანაც დაჯერებულია თავის თავში და ჰგონია, რაიმე იცის, ათეცა ტყავი გააძვრეთ, სხვას რომ ერთს შეეკითხებით, ამას ათი ჰკითხეთ, ვნახოთ, რა ბიჭიცაა!“ — აი, პროტექცია! ისედაც შეშინებულს, აღარ მინდოდა სადირიჟორო პულტზე ასვლა.

მისაღები გამოცდები ჩავაბარე და სიების გამოკვრას აღარ დავლოდებივარ, ისე გავემგზავრე სოფელში. გივი მასწავლებლის მისალოცი ღებეშა თურმე ჩემს ჩასვლამდე მიიღო ტერეზი ბებიამ.

მე დაღლილი ვიყავი და დასაძინებლად წამოვწექი, თამაზ ანდლულაძეს და გენო მუჭირს გაეგოთ ჩემი ჩამოსვლა და სანახავად მოვიდნენ.

— ანზორიაა! — დამიძახეს ჭიშკრიდან.

— ღმერთო კი მომკალი, ვინაა თქვენი ანზორია, კაცი კონსერვატორიის სტუდენტი, — გამოეხმატებოდა ბებიამეტი ტერეზი.

სექტემბერში, როცა კონსერვატორიაში მივედი, ახალი ამბავი

შევიტყვე. ვივი მასწავლებელი კონსერვატორიის პრორექტორად დაენიშნაო.

ახლა იგი მთლიანად კონსერვატორიის საქმეებით იყო დაკავებული, ლექციებს მხოლოდ ერთ ჯგუფთან კითხულობდა. ამ ჯგუფში. სხვებთან ერთად, მეც გახლდით. სტუდენტებს ისევე გვთხოვდა ყველაფერს. როგორც თავის მოწაფეებს სასწავლებელნი. მისი ლექციის წინ შეშინებული სტუდენტები ამოწმებდნენ, ჰქონდათ თუ არა წესრიგში: ფანქრები, საშლელები, სანოტორვეულები და სხვა, რომ არათფერი ვთქვათ დავალების შესრულებაზე.

გივი მასწავლებლის პრორექტორობის დროს, პირველსავე ნისალებ გამოცდებზე მოაწყდნენ მისი ყოფილი მოწაფეები და ნაცნობ-მეგობრები. მან ჩვეული პირდაპირობით უთბრა ყველას, ვინც რისი ღირსი იყო: „შენ, ბიძიკო, შენი მონაცემებია და „ბაგაეით“ კონსერვატორიისათვის არ გამოდგები. შენ კიდევ სცადე, მაგრამ ჩემი იმედი არ გქონდეს, მე იმას მოგიხერხებ, რომ მაგრად გამოგცდიან“.

გივი მასწავლებელი განსაკუთრებით ვერ იტანდა პროტექტორებს. რომლებიც მოაკითხავდნენ სახლში და ეუბნებოდნენ: „იცით, პატივცემულო. ძალიან ნიჭიერია, არაჩვეულებრივად მომზადებული. ვაბოვთ, ცოდნა არ დაუკარგონ“.

„კარგი, ქალბატონო, შევეცდებით მაქსიმალურად ბევრი ვკითხოთ. რომ მისი ცოდნა მთლიანად გამოვამყდევნოთ“.

ასეთი დიალოგი იმდენჯერ მეორდებოდა, რომ როცა ვინმე, თუნდაც ახლო ნათესავი მოვიდოდა ოჯახში მის „სანახავად“, გივი მასწავლებელი თვითონ დაასწრებდა: „რა გვარია ის შენი აბითურიენტი, თავი რომ უსკდება ნიჭით, არაჩვეულებრივად რომაა მომზადებული და ცოდნა რომ არ უნდა დაუკარგოთ?“

ასეთი აბითურიენტის გვარებს გივი მასწავლებელი მართლა იწერდა და წარუდგენდა საგამოცდო კომისიას, რომელიც, თავის მხრივ, ამომწურავად გამოკითხავდა ყველა საკითხს, რომ „ცოდნა არ დაეკარგათ“. ამის შემდეგ მისაღები გამოცდების წინ თვით უახლოესი ნათესავებიც კი ვეღარ ბედავდნენ გივი მასწავლებელთან სათხოვნელად მისვლას: „ძალიან ნიჭიერია და ცოდნა არ დაუკარგოთ“.



ვალერი კრავჩენკო და გივი ლორთქიფანიძე

ცოდნა მართლა არავის ეკარგებოდა კონსერვატორიაში. მისაღები გამოცდები ისე იყო ორგანიზებული, რომ არაჩვეულებრივი ობიექტურობით ფასდებოდა ყველა აბითურიენტის ცოდნა. თვითონ არაჩვეულებრივად მოწესრიგებული და საკუთარი თავისადმი არაადამიანურად მომთხონი, სხვისგანაც წესრიგს, საქმისადმი ერთგულებასა და სიყვარულს მოითხოვდა. სიზარმაცეს არავის აპატიებდა, არც პედაგოგებსა და არც სტუდენტებს. ბეჭით სტუდენტებს ყველანაირ პირობას უქმნიდა სწავლისათვის.

ერთხელ გივი მასწავლებელთან მოვიდა ერთი ჯარისკაცი, გვარად კრავჩენკო და სთხოვა, კონსერვატორიაში მეცადინეობაზე ნება დაერთო. ვალერი კრავჩენკო უპატრონო ბავშვთა სახლიდან იყო. გვარიც კი სხვისი ჰქონდა, რადგან არავინ იცოდა, ვინ იყვნენ მისი მშობლები. მას სავალდებულო სამხედრო სამსახური მოეხდა თბილისში და ახლა კონსერვატორიისათვის ემზადებოდა. ვა-

ლერი სამხედრო ფორმით დადიოდა, რადგან სხვა ტანსაცმელი არ გააჩნდა.

გივი მასწავლებელმა სპეციალური საშვი გაუკეთა და კონსერვატორიაში მეცადინეობის უფლება დართო. სასულე ინსტრუმენტების ფონდიდან „ფაგოტი“ გამოუყო და დროებით სტუდენტალაქში შეასახლა. ვალერი კონსერვატორიაში უთენია მიდიოდა, ხოლო ღამით პრორექტორზე გვიან გამოდიოდა. გივი მასწავლებელს ეს მხედველობიდან არ გამორჩენია და როცა ვალერიმ ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები კონსერვატორიაში, ძვირფასი კოსტიუმი უყიდა. სამაგიეროდ, ამ ყმაწვილმა არაჩვეულებრივი ნიჭი და უნარი გამოიჩინა. მუყაითი, კეთილსინდისიერი და შრომისმოყვარე ვალერი მალე კონსერვატორიაში ერთ-ერთ საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა. ლოთრქიფანიძეების ოჯახში ისე ჰყავდათ მიღებული, როგორც საკუთარი ოჯახის წევრი. ასმევედნენ, აჭმევედნენ და ფულსაც აძლევდნენ ხშირად. როცა ვალერიმ მესამე კურსი დახურა ბრწყინვალედ, გივი მასწავლებელმა მას ძვირადღირებული უცხოური მარკის „ფაგოტი“ უყიდა.

ვალერიმ წარმატებით დაამთავრა თბილისის კონსერვატორია და მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტურაში ჩაირიცხა. გივი მასწავლებელი აქაც არ აკლებდა მამობრივ მზრუნველობას. როცა ვალერიმ ცოლი შეირთო, მისი „მამობილი“ მოსკოვში ჩავიდა საჩუქრებით და პატარა ქორწილიც გადაუხადა.

სამწუხაროდ, ვალერის უკუბრუნებელი სენი შეეყარა და მალე გარდაიცვალა. გივი მასწავლებელმა და მისმა ოჯახმა ძლიერ განიცადეს მისი დაღუპვა.

მეორე კურსზე რომ გადავედი, გივი მასწავლებელმა წითელი „მოსკვიჩი“ იყიდა. ეს დიდი ამბავი იყო ჩვენთვის, რადგან ვიცოდით, წაგვიყვანდა ექსკურსიებზე ისტორიულ ადგილებში. ექსკურსიანზე მიჰყავდა ის, ვისაც კარგი აკადემიური მაჩვენებლები ჰქონდა. ლექციების შემდეგ კაბინეტში გვიბარებდა.

— გამარჯობათ, გივი მასწ... — ჩვეულებისამებრ ვეტყოდით და ახლოს მივიდოდით ხელის ჩამოსართმევად.

— გაგიმარჯოს, ბიჭო! — სათვალის ზემოდან გადმოგვხედავდა და ორ თითს გამოგვიშვერდა.

— კი მაგრამ, რა არის ორი თითი, ბოლოს და ბოლოს, ხელი როდის უნდა ჩამოგვართვათ?

— კონსერვატორიას რომ დაამთავრებთ და კაცები გახდებით.

— გივი მასწ... ექსკურსიაზე არ წავალთ?

— აბა აქეთ მოდიო, ბიძიკო, ვნახოთ, როგორია თქვენი აკადემიური მოსწრება. შენ და შენ (თითოთ გვანიშნებდა) კვირას ჩემი მანქანით წამოხვალთ. კიდევ გივი მუნჯიშვილი წამოიყვანეთ, ის ყველაზე ბეჯითია. დანარჩენი, ბიძიკო, ფეხით წამობრძანდებით, ჩვენ ყაზბეგში მივდივართ.

გივი მასწავლებელთან ექსკურსიაზე წასვლას არაფერი სჯობდა. რამდენადაც მკაცრი იყო სამსახურში, იმდენად თავმდაბალი და თბილი იყო სამსახურის გარეთ. უყვარდა ხუმრობა და ჩვენი გამოჯავრება, იყო საოცრად ენამოსწრებულნი. იგი არა მარტო მუსიკალურ საგნებს გვასწავლიდა, იყო მრავალმხრივ განვითარებული კაცი და ამასვე მოითხოვდა ჩვენგანაც. კარგად იცოდა ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა, გვიყვებოდა საქართველოსა და მისი ძეგლების შესახებ. ხშირად გაკვეთილზე მუსიკას თავს მიანებებდა და რამეს შეგვეკითხებოდა ისტორიდან, ლიტერატურიდან.

როცა ტურისტად მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ, თვეების განმავლობაში აგროვებდა მასალებს იმ ქვეყნების შესახებ, აქეთებდა კონსპექტებს, კითხულობდა ლიტერატურას და საკმაოდ დიდი ინფორმაცია უგროვდებოდა.

მოგვიანებით, როცა მეც დავიწყე საზღვარგარეთ მოგზაურობა, ამასვე მაიძულებდა, ხანდახან თვითონვე მეხმარებოდა მასალების შეგროვებასა და დაკონსპექტებაში. წასვლის წინ კარგად გამომცდიდა და მეტყოდა: „რომელ ქვეყანაშიც მიდიხარ, ბიძიკო, მარტო იმ ქვეყნის ქული არ უნდა დაიხურო, ისტორიაც უნდა იცოდე, იმ ქვეყნის ღირსშესანიშნაობებსაც უნდა იცნობდე და ხალხის ზნე-ჩვეულებებსაც“.

გივი მასწავლებელი მეგობრობასაც გვასწავლიდა, თავის მოწაფეებს ერთმანეთს გვაყვარებდა და გვადულაბებდა. გვიკარგავდა შურის გრძნობას, ეჯავრებოდა კარიერისტები და ჩვენც დღენი-დაგ ამასვე ჩავგჩინებდა, ვყოფილიყავით უბრალონი სამსახურშიც და ცხოვრებაშიც.

— შენიშვნები მიიღე, ბიძიკო, თუნდაც პატარა ბავშვისაგან, რა იცი, იქნებ ჰკვიანურ რამეს გირჩევს. იმაზე დიდი უბედურება არაფერია, კაცმა თვითონ რომ არ იცის და სხვისიც არ ესმის. მოს-



მენით ყველას უნდა მოუსმინო, მერე აწონ-დაწონო ნათქვამი, მაგრამ თუ არ მოგეწონა, ორი ყური იმისათვის გაქვს, რომ ერთში შეუშვა და მეორედან გაუშვაო, — გვეტყოდა.

— რაც არ უნდა გააკეთოთ, ნუ გაყოყოჩდებით, იცოდეთ, რომ თქვენზე მეტი სხვებმაც იციან და სხვებს გაუკეთებიათ, საერთოდ, მცოდნის მცოდნე ისევე არ დაილევა, როგორც მკობნის მკობნი. უბრალოებით უფრო მეტ სახელს მოიხვეჭ, ვიდრე ყოყოჩობით. უბრალო თანამდებობითაც კი შეიძლება უფრო მეტი სარგებლობა მოუტანო შენს ხალხს, ნუ წაგძლევთ სიხარბე მაღალი თანამდებობისაკენ. თუმცა კაცის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ყველა სიმაღლისაკენ მიისწრაფვის, ამიტომ მაღალი თანამდებობები ყოველთვის დაკავებულთაა. აბა, რომელიმე დაწესებულებაში თუ გინახავთ წარწერა: „გვესაჭიროება დირექტორი, დაწვრილებითი ცნობებისათვის მიაკითხეთ კანცელარიას“. მთავარი თანამდებობა კი არაა, არამედ კაცობა და საქმე. ცხოვრების გზა ისე უნდა გალიო, რომ შენი გაკეთებული კეთილი საქმე დატოვო. მდიდრული საფლავით კაცის ნამოღვაწარი არ განისაზღვრება, ზოგი კვდება და მისი ძარტო სახელი და გვარი რჩება საფლავის ქვაზე, საქმე კი არა. ავიღოთ მოცარტი: მას საფლავის ქვაც არ ეღირსა, მისი საფლავი დღემდე არ იციან, სად არის, მაგრამ მილიონობით ხალხის გულში ჰპოვა ადგილსამყოფელი, რადგან მისი საქმე ღმერთამდე ამაღლდა.

საერთოდ, თუ რამე ნიჭი გაგაჩნია, ის უნდა განავითარო და მაქსიმალურად გამოიყენო, თუ შენ თვითონ არ ჩაკლავ და არ მიტოვებ შენს ნიჭს, ბოროტად არ გამოიყენებ მას სხვა მიმართულებით. იცოდე, სხვა ვერასოდეს ვერ ჩაახშობს მას, რადგან ნიჭი ღვთის ნაბოძებია და ზეცისაკენ მიისწრაფვის. იცოდე, ნიჭი არსად დაიკარგება, იგი სადღაც აუცილებლად ამოხეთქავს, აუცილებლად იჩენს თავს. ხომ შეგომჩნევიათ, პატარა ბალახის ღერო სქელ ასფალტის ფენას არღვევს და ზევით ისწრაფვის, ნიჭს რაღა ჩაახშობს!

როგორც არ უნდა გიჰირდეს, არასოდეს სიხარბემ არ წაგძლიოს, ყოველთვის შენს თავს უნდა მოერიო. ღონიერი ის კი არ არის, ვინც სხვას მოერევა, უფრო ღონიერი ისაა, ვინც საკუთარ თავს მოერევა. თუ რამე სიკეთეს დათესავ, შენ კი არ უნდა თქვა ამის შესახებ, არამედ სხვამ. სიკეთე ისე არ დაიმალება, როგორც

ლამაზი სხეული სამოსში. აბა, რა გამოვიდა, თუ ყველამ, აქაოდა, ლამაზი სხეული მაქვსო, შიშველი იარა ქუჩაში, ისე როგორც კონსერვატორიაში დადიან ზოგიერთები, მაშინ მშვენიერებასაც ფასი დაეკარგება.

გივი მასწავლებელი ვერ იტანდა მოდას აყოლილი ახალგაზრდების უშნო ჩაცმულობას. „რა არის, გოგო, ეს, ევასავით რომ გამომეცხადე დღეს სამსახურში. ხომ ხედავ, ბიჭებს თვალები წამოცვენაზე აქვთ, მაგათ კიდეც გამოშტერება უნდათ? სანამ ტანსაცმელს არ გამოიცვლი, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს“. კონსერვატორიის გოგონებს თოფივით ეშინოდათ გივი მასწავლებლის და ყოველთვის ცდილობდნენ, რიგიანად ჩაცმულები მისულიყვნენ ლექციებზე.

მესამე კურსზე რომ გადავედი, მთელი ზაფხული ბაბუასაგან სიმღერებს ვიწერდი და სექტემბერში საკმაოდ მოზრდილი კრებულის მივუტანე გივი მასწავლებელს. მას ძალიან გაუხარდა, გულდასმით გადაათვალიერა, მომცა სათანადო შენიშვნები და მითხრა, რომ კრებული დასაბეჭდად უნდა მომემზადებინა, მაგრამ ახალი კანონით, მე მალე გამომიძახეს სამხედრო კომისარიატში და გენო მუჯირთან ერთად გამიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

მართალი გითხრათ, ძალიან განვიცდიდი ამ ამბავს. ჯერ ერთი, სწავლა მივატოვე მესამე კურსზე და მეორეც, ბაბუას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, მისგან სიმღერები უნდა ჩამეწერა.

განიცდიდა გივი მასწავლებელიც, მაგრამ ამას არ გვაგრძნობინებდა. მე და გენო ხშირად ვიღებდით მისგან წერილებს:

„ჩემო ძვირფასო სალდათებო!

თქვენი წერილი დღეს მივიღე, ისე რომ თქვენი ახალი ცხოვრების კურსში ვარ...

თქვენი უფროსებთან ძმადგაფიცვა მაინცდამაინც არ მეჭაშნიკა. სად გავონილა სტარშინასა და სალდათის ძმა-ბიჭობა, ან კიდეც, უფროსებთან ქეიფი?.. მე უკვე იმის შიშში ვარ, რომ ასეთ კადნიერებას დაჩვეულები, სამი წლის შემდეგ მთლად გარეუბლები არ გამომეცხადოთ გაკვეთილზე და მხარზე ხელის დაკვრით მომესალმოთ: „ზდრასტი, გივკა, ვონცეს ახპერ-ჯან“.

გავიგე, ფიცი მიგიღიათ, ეს ძალიან სასიამოვნოა, გახსოვდეთ, რომ გივი მასწავლებელს ფიცის გატეხა ხშირად უპატიებია, თავ-

დაცვის მინისტრი კი ფიცის მოღალატეებს შეაჩვენებს და კუდით ქვას ასროლინებს. ასე, რომ სჯობია თავიდანვე მიიღეთ ყველაფერი, რაც მოვალეობამ გიწყალობათ მთელი თავისი მშვენიერებით, თორემ თქვენს „ბაირამობას“ ერთ დღეს ბოლო მოელება და თქვენი „სამხედრო პოეზია“, „მწარე პროზად“ გადაგექცევათ.

კონსერვატორიაში და საერთოდ თბილისში „გულის გასაგმირავი“ ამბავი ჯერჯერობით არაფერი მომხდარა. ყველაფერი ძველებურად მიედინება, თქვენ ისევ მყავხართ უურნალში ჩაწერილი და ყოველ გაკვეთილზე დაბეჯითებით გიწერთ „არ“-ებს.

კონსერვატორიის გოგოებს რომ უგზავნით მოკითხვას, გადაცემ, ჰაეროვან კოცნას კი ვერა. აბა როგორ შეიძლება თმაგაწეწილ, პირდაუბანელ გოგოებს დაეკაროს ჰიგიენის მოყვარული ადამიანი?..

ასე რომ, როცა ჩამოხვალთ, თვითონ დაერიეთ მათ. ახლა ხუმრობა იქით იყოს, — მწერდა მე. — შენი კრებული მთლიანად გადაწერე და ახლა სიტყვიერი ტექსტები უნდა ამოვწურო, ასე რომ როცა ჩამოხვალ, კრებულს გამოსაცემად გამზადებულს დაგახვედრებ“.

გივი მასწავლებელს წარმოუდგენლად შრომატევადი სამუშაო შეესრულებინა.

სამხედრო სამსახური დავამთავრეთ. კონსერვატორიაში სწავლა გავაგრძელებთ და, როგორც იქნა, ისიც დავამთავრეთ. გივი მასწავლებლის ყურადღება შემდეგშიც არ მოგვკლებია. იგი ძლიერ განიცდიდა თითოეული მოწაფის ბედს.

მისი მოწაფეების პირველი თაობა უკვე დაიზარდა. ბევრი მათგანი დაოჯახდა, მიუხედავად ამისა, გივი მასწავლებელს მათთან კონტაქტი არ გაუწყვეტია. იგი ხშირად იღებდა რაიონებიდან წერილებს:

„თქვენ მართალი იყავით, გივი მასწ... სკოლაში მუშაობის პრაქტიკა სულ სხვა რამეს თხოულობს, გთხოვთ, გამომიგზავნოთ საჭირო ნოტები და მომცეთ სათანადო რჩევა-დარიგება. წლები გადის. თქვენ ისეთივე ჰუმანური, ამავე დროს მკაცრი და მომთხოვნი დარჩით ჩემს მენსიერებაში.“

ნ ო ღ ა რ ღ ო ნ ა ძ ე

მახარაძის რ-ნი, სოფ. თხინვალი“.

„თქვენს კარგად ყოფნაში ექვი არ მეპარება, რადგან ავად-  
მყოფი არასოდეს მინახიხართ და ნურც მომავალში გამხდარიყა-  
ვით...“

კარგი იქნებოდა, თუ შემირჩევდით პროგრამას ფორტეპიანო-  
სათვის და საჭირო ნოტებსაც გამომიგზავნიდით. გადაეწყვიტე,  
წელს მაგრად ვიმეცადინო და კონსერვატორიაში ჩავებარო. კონ-  
სულტაციებზე ხშირად ჩამოვალ. ერთ-ორი დღით რთველზე მინ-  
და მოგიტაცოთ. მაინტერესებს, ანზორმა და სულიკომ თუ ჩააბა-  
რეს.

თ ე მ უ რ ქ ე ვ ხ ი შ ვ ი ლ ი  
ყვარლის რ-ნი, სოფ. ახალსოფელი“.

„გიგზავნით რამდენიმე ახალ წიგნს, შეიძლება წაკითხული არ  
ჯქონდეთ. მოტანა ვერ გავბედე და მაპატიეთ.“

ვ ა ხ ტ ა ნ გ კ უ ხ ი ა ნ ი ძ ე , თბილისი“.

მიუხედავად საოცარი მოუცლევლობისა, გივი მასწავლებელი ყო-  
ველთვის პოულობდა იმის დროსა და საშუალებას, რომ თითოე-  
ულ მათგანს დახმარებოდა, დაუზარებლად პასუხობდა წერილებ-  
ზე, იყო ყველას პატრონი, დამპყრებელი და დამსახლებელი, ნამდ-  
ვილი მახვში, რომელთანაც ირჩეოდა ყველა პრობლემატური სა-  
კითხი, როგორც სამსახურებრივი, ასევე ოჯახურიც, ყველა საჭი-  
რო რჩევა-დარიგებას ვიღებდით მისგან. მისი გაზრდილები უქვე  
გამოვიდნენ ხელოვნების ასპარეზზე: თამაზ ჭაფარიძე, გივი მუნჯი-  
შვილი, ავთანდილ მამაცაშვილი, მამუკა დოლიძე, თემურ ქევხი-  
შვილი, ვახტანგ კუხიანიძე, ზაურ ხუჯაძე, ბადრი თოიძე, თამაზ  
ანდლულაძე, გენო მუჯირი, გურამ ნამჩევაძე, გივი ბახტაძე, სული-  
კო ავჯანტაძე, მურმან ბერულავა, ვლადიმერ სამქკუაშვილი, რო-  
ლანდ ხატიაშვილი, გურამ იაშვილი, ვალიკო ნანობაშვილი, მიშა  
მანშიშვილი, ლია ლომიაშვილი, ლია ყიფიანი, დალი კვაჭანტირა-  
ძე, ნანა ნინუა, მზია ხატიაშვილი და კიდევ, ვინ მოსთვლის, რამ-  
დენი გოგო-ბიჭი, მისი გაზრდილები წარმატებით ხელმძღვანელო-  
ბენ მხატვრულ კოლექტივებს და ეწვევიან ნაყოფიერ პედაგოგიურ  
საქმიანობას.

ბოლო წლებში გივი მასწავლებელმა კონსერვატორიაში ჩამო-  
აყალიბა ვოკალური ანსამბლი „მოტეტი“, რომელიც დიდი წარ-  
მატებით გამოდიოდა საზოგადოების წინაშე, დაწერილი ჰქონდა  
„კვარტეტი“, რომელიც პრემიით აღინიშნა და რამდენიმე მშვენიე-  
რი რომანსი, მაგრამ კონსერვატორიის სტუდენტებსა და პედაგო-  
გებს მათი შესრულების უფლებას არ აძლევდა — „უხერხულია“.

როცა ანსამბლი „რუსთავი“ ჩამოყალიბდა, გივი მასწავლებელი  
ჩვენი დიდი გულშემატკივარი და ამავე დროს ყველაზე კრიტიკუ-  
ლი მსმენელი იყო. იგი გვიჩვენებდა ძველი, მივიწყებული სიმღერე-  
ბი აღგვედგინა. ამით ჩვენს წინაპრებს გააცოცხლებთ, აღარ დაი-  
კარგება სიმღერები და მათი შემსრულებელთა გვარები და თქვენც  
დიდ წარმატებას მოგიტანთო, გვეტყოდა.

ანსამბლ „რუსთავს“ ავტოავარია მოუვიდა. ჩვენ საკმაოდ მძი-  
მედ დაშავებულები ვიწვექით საავადმყოფოში, გივი მასწავლებელი  
არ მოგვეშორებია, სამსახურის შემდეგ მოდიოდა და ხშირად მთე-  
ლი ღამე რჩებოდა ჩვენთან. მოჰქონდა საჭირო მედიკამენტები და  
ზუსტად ასრულებდა ექიმების მითითებებს. კატეგორიულად აკრ-  
ძალა ჩვენთან მნახველების მიღება. ამაზე მკაცრი კონტროლი და  
მორიგეობა დააწესა. ხანდახან მოვიდოდა, ამბავს იკითხავდა და  
წავიდოდა ისე, რომ არც კი შეგვატყობინებდა, ან მოკითხვას შე-  
მოგვითვლიდა. ჩვენს ოჯახურ და სამსახურის საქმეებს თვითონ  
აგვარებდა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ფეხზე არ დაგვაყენა.

70-იან წლებში მე შევუდექი ძველი გრამფირფიტების შეგრო-  
ვებას და გადავწყვიტე მათი აღდგენა. გივი მასწავლებელმა მომი-  
წონა აზრი და ჩემთან ერთად შეუდგა ძველი ფირფიტების მოძიე-  
ბას. საქმეში ირაკლი ბიძიაც ჩაერთო. მათ მოძებნეს თბილისში  
მცხოვრები ძველი ნაცნობები, ვისაც კი თავის დროზე „გრამოფონ-  
ნი“ ჰქონდა სახლში და საკმაოდ კარგი კოლექციაც შეაგროვეს.  
მე ფირფიტები მოსკოვში წავიღე სარესტავრაციოდ. გივი მასწავ-  
ლებელს ძალიან აინტერესებდა შედეგები და თითქმის ყოველდღე  
მირეკავდა სასტუმროში. „მე დაგირეკავ, ბიჭო, შენზე მეტი ფული  
მაქვს. მე პრორექტორი ვარ და შენ კიდევ დამსახურებული არტის-  
ტიო“, — მეტყოდა. გრამფირფიტები იმდენად იყო დაზიანებული,  
რომ ბევრი მათგანის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა,  
საჭირო იყო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა არქივებში ამ ფირფი-  
ტების პირველწყარო-მატრიცების მოძიება. გივი მასწავლებელმა

საქმეში ჩართო ყველა თავისი ნაცნობი. პირველ რიგში ჩვენი სასწავლებლის ყოფილი დირექტორი, ამჯერად თბილისის ცენტრალური არქივის ხელოვნების განყოფილების დირექტორი ბატონი ვახტანგ გურგენიძე; გარდა ამისა, მისი ფრონტელი მეგობრებიც კი დამეხმარნენ რიგის, ლენინგრადის და მოსკოვის არქივებში მუშაობის დროს.

მე მეტად რთულ სამუშაოს მოვკიდე ხელი, რომელიც რამდენიმე წელს უნდა გაგრძელებულიყო, მოსკოვისა და ლენინგრადის არქივებსა და ფირმა „მელოდიაში“ დიდი ხნით მიხდებოდა მუშაობა.

ერთხელ, როცა თბილისში ჩამოვედი, ირაკლი ბიძია ავად დამხვდა. მას თურმე წლების განმავლობაში აწუხებდა უკუბრუნებელი სენი, მაგრამ თავისიანებს არ უმხელდა, სანამხმა სრულად არ დაკარგა. ბოლო დღემდე მუშაობდა, ერთხელაც არ დაუკუნესია. ოჯახის წევრები არ შეეაწუხო. როცა სანახავად მივდიოდით, ჩვეულებრივ ღიმილით შემხვდებოდა და ჩახლეჩილი ხმით მკითხავდა: „რავა ხარ, ძამია, არ მიდიხართ გურულები იაპონიის ასაღებად?“ (ერთ დევლ ანეგდოტს შემახსენებდა).

ბოლო დღეს, ლაპარაკი რომ არ შეეძლო, ერთი ძველისძველს ლექსი დამიწერა და გადმომცა, სიმღერისათვის გამოგადგებო.

ირაკლი ბიძია ვაჟკაცურად შეხვდა სიკვდილს. შეხვდა ისე, როგორც შეეფერებოდა გიორგი ნიკოლაძის მოწაფეს, ირაკლი ლორთქიფანიძეს.

გივი მასწავლებელმა ძლიერ განიცადა მამის დაკარგვა, მაგრამ ამას არავის აგრძნობინებდა. იგი სასოწარკვეთილი არავის უნახავს, მისი ცხოვრების რიტმი ძველებურად გრძელდებოდა. პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად, თავაუღებლივ მუშაობდა მე-8 და მე-10 საუკუნეების ქართულ საგალობლების გაშიფვრაზე, სადაც, პროფ. ელენე მეტრეველისა და შალვა ასლანიშვილის აზრით, დიდ წარმატებებსაც მიაღწია. მაგრამ სამუშაოს დამთავრება აღარ დასცალდა. რა ვიცოდით, რომ წლების განმავლობაში მძიმე ავადმყოფად ითვლებოდა. უწია ფრონტზე გატარებულმა მძიმე წლებმა, კრილობებმა, შიმშილმა, ნერვიულობამ და თავი იჩინა ავადმყოფობამ. როცა მოსკოვში გაემგზავრა საავადმყოფოში დასაწოლად გამოკვლევაზე, სახლში დაიბარა, მივლინებაში მივდივარო.

მოსკოვიდან რომ ჩამოვიდა, არაფერი არ აღმომაჩნდაო, თქვა, რაღაც წამლებს კი იღებდა ხანდახან, — ეს ისეო, — იტყოდა. თურმე ღვიძლის ციროზი ჰქონდა.

მოსკოვში ერთ-ერთი ჩემი ჩასვლის დროს მუშაობა მომიხდა ფირმა „მელოდიაში“, სადაც საქართველოში პირველი გრამფირფიტების მატრიცებს ალვადგენდით. გივი მასწავლებელი თითქმის ყოველდღე მირეკავდა ტელეფონით და შედეგებს მეკითხებოდა, იგი დიდად გახარებული იყო და ცდილობდა ყველანაირად შეეწყო ხელი ჩემთვის. ერთ დღეს მითხრა, ვინაიდან დიდი ხანია მოსკოვში ხარ და ბევრი სამუშაო გაქვს, შენი დღიური არ გეყოფაო, ამიტომ ცოტაოდენი ფული გამომიგზავნა „სესხად“, როცა დიდი კაცი გახდები, მაშინ გადამიხადეო. მუშაობა დაძაბულად მიდიოდა. აღსდგა დედას ლევანას, ს. კავსადის, ს. ჩავლეიშვილის და სხვათა ხმები. როცა ამის შესახებ გივი მასწავლებელს შევატყობინე, გახარებულმა მითხრა: „ხუთი ღმერთს, ოთხები მე და შენ, აი, ვანო სარაჯიშვილის ფირფიტას თუ აღადგენ, ოთხს პლიუსით დაგიწერ. მეტი რაღა გინდა, ჩემზე წინ გაყენებ“.

ვანო სარაჯიშვილის ფირფიტა ალვადგინე და გახარებულმა დავურეკე გივი მასწავლებელს სახლში. პასუხად ელიკოს ტირილი შემომესმა: „გივი მასწავლებელი აღარ არიი!..“

ხშირად იტყვიან: დასაფლავების დროს გამოჩნდება, ვინ როგორი კაცი იყოო. ამაში დავრწმუნდებით, თუ გავიხსენებთ ეროსი მანჯგალაძის, რევაზ ლალიძის და სხვათა დაკრძალვას.

ექვთიმე თაყაიშვილის კუბოს, თურმე ორმოცდარვა კაცი მიაცილებდა, თუმცა მაშინ სხვა დრო იყო.

მიცვალებულის პატივისცემა, მარტო ხალხის რაოდენობით არ განისაზღვრება. არ მწამს კაცი, რომელიც მარტო მოვალეობის მოხდის მიზნით წავა დაკრძალვაზე. გივი ლორთქიფანიძე ყველამ ალალი ცრემლით დაიტირა.

მისი ჭირისუფლები იყვნენ მისი მოწაფეები. მისი ჭირისუფალი იყო ხალხი, რომელიც ყველაფრის საზომია. მე ისეთების თვალბზე ვნახე ცრემლი, რომლებსაც მეგონა, საერთოდ ქვის გული ედოთ. არავის არავისათვის არაფერი უთხოვია. ხალხმა გულით სცა უკანასკნელი პატივი ამ კაცს, რომლის დატოვებული კვალი შეიძლება რამდენიმე თაობას გაჰყვეს სამაგალითოდ. კაცს, რო-

მელმაც მთელი თავისი ცხოვრება დაბადებიდან 59 წელი თავის ერის სამსახურს, მისი ახალგაზრდობის აღზრდას მოახმარა.

ახლა, როცა გივი ლორთქიფანიძის მოწაფეები ვხვდებით ერთ-მანეთს, ისევე, როგორც მის სიცოცხლეში ვიცოდით ხოლმე, ერთ-მანეთს ვეკითხებით:

— გივი მასწავლებელთან იყავი?

— ვიყავი, ვიყავი და ბევრი ყვაველი დამხვდა საფლავეზე.

როცა საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გაივლით, გივი ლორთქიფანიძის საფლავეზე ყოველთვის ნახავთ ცოცხალ ყვაველებს მისი მადლიერი მოწაფეებისაგან. ამას წინათ ხსოვნის დღეზე ვიყავით. ბევრი მისი მოწაფე შეგროვდა, ზოგიერთი მათგანი არ დამინახავს, იქნებ ყველამ ვერ მოახერხა მოსვლა, იქნებ არ სცალიათ? არა, ყველამ უნდა გამონახოს დრო, რომ პატივი სცეს მასწავლებელს, კაცს, რომელმაც ცხოვრების გზაზე დააყენა და საზოგადოებაში ადგილი მისცა, ადგილი რომელიც ყველას არ ეკუთვნის. გივი მასწავლებელი თვითონ იყო ყურადღებიანი, თორემ სხვისაგან არასოდეს სამაგიეროს არ მოითხოვდა. ვინც თავის მასწავლებელს არ დააფასებს და არ მოიგონებს, იმას მისი მოწაფეებიც აღარ მოგონებენ.

გივი ლორთქიფანიძის მოწაფეებს ჩვევად გვაქვს, თუ რაიმე სასიკეთოს გადავკეთებთ, მივღივართ მის საფლავეზე და ანგარიშს ვაბარებთ:


— გამარჯობათ, გივი მასწ...

— გაგიმარჯოს, ბიჭო! — თვალწინ წარმოგვიდება მისი კეთილი, ღიმილიანი სახე.

— დღეს ჩვენი მოსწავლეები მოვიყვანეთ, რომ გავაცნოთ, ვინ იყო ჩვენი მასწავლებელი.

— გადაეცით მაგათ, რომ ხუთი ღმერთს ეკუთვნის, ოთხები — მე და თქვენ. ხოლო სამები და ორები თქვენს მოსწავლეებს.






## ძველი სიმღერების კვალდაკვალ

„ლაპარაკობს თბილისი! ვიწყებთ გადაცემას რუბრიკით „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“. სიმღერები, რომლებსაც ახლა მოისმენთ, ჩაწერილია 1908 წელს, მომღერალთა ანსამბლის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა სამუელ ჩავლეიშვილი. იგი ჩაწერა უცხოეთის ფირმამ, ხოლო ახლახან აღადგინა საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ და მალე გამოვა ფირფიტების სახით“, — ამბობს რადიოს დიქტორი და ისმის ვარლამ სიმონიშვილის რიხიანი შეძახილი:

„ჩავლეიშვილი, ჩხიკვიშვილი და სიმონიშვილი. ჩვენ მშვიდობა წამოსძახეთ!“.

„ჩვენ მშვი-ი-დო-ი-ო-ბა“ — სამუელ ჩავლეიშვილის ოდნავ ხრინწიან, თავისებურად კოლორიტულ, ყველასაგან განსხვავებული ტემბრისა და ამოუწურავი შესაძლებლობების განუმეორებელ დამწყებს დიდი ოსტატობით უხმატკბილებენ მოძახილს სამუელ ჩხიკვიშვილი და ბანი ვარლამ სიმონიშვილი.



სამუელ ჩხივიშვილი

დიდებულად მღერიან. ისე წმინდად ისმის ეთერში 72 წლის წინათ ჩაწერილი სიმღერა, თითქოს აგერ, გუშინ ჩაიწერეს იგი...

„გადაცემა რუბრიკით „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“ დამთავრებულია, გთხოვთ, მოგვეწეროთ თქვენი აზრი ამ გადაცემის შესახებ,“ — ამბობს დიქტორი.

ეს გადაცემა 1979 წლის 6 იანვარს საქართველოს რადიოთი მოვაწყეთ, რის შემდეგაც უამრავი წერილი მივიღე მოხუცი მომღერლებისაგან, რომლებსაც მათთან ერთად უმღერიათ და, ვინ იცის, რამდენი ხანია აღარ გაუგონიათ მათი ხმები.

„ცხადია თუ სიზმარი, სამველას და ვარლამის ხმები ისე ისმოდა, თითქოს აგერ, ჩემს გვერდით მღეროდნენ. თუ შეიძლება, ჩემი

ზიძე, მაი სიმღერები გადამიწერე, სანამ ფირფიტები გამუა, სახლში მევისმენ ხანდახან, მაგნიტოფონი მაქვს. მაგენის გაზრდილი ვარ მე,“ — მწერს 85 წლის მომღერალი და ლოტბარი ვარლამ ვაშალომიძე.

„ას წელს შიტანებული ვარ და ახალგაზრდობის მერე აღარ გაბიგონია მაგენის ხმაი, — მწერს ივანე ჩხაიძე, — თქვენ ავაშენათ ღმერთმა, რავარც მე დამატებეთ. რაფერ გააცოცხლეთ აგი მომღერლები, ჩემო ბაბუა, ნუ დეგეზარება და მომწერე“.

მე ხელთ მაქვს ერთ-ერთი პირველი გრამფირფიტა თბილისში გამოშვებული 1907 წელს. ეს ფირფიტა მეტად სქელი და მოუხეშავია. მასზე გამოსახულია ანგელოზი, ფირფიტის ნომერი, ფარმისა და სიმღერის სახელწოდებები, შემსრულებელთა ინციტალები და გვარები: გ. ბაბილოძე, გ. იობიშვილი, გ. ერქომაიშვილი. თბილისი.

დიდებულად მღერიან. დროთა ვითარებას ვერ წაუშლია მათი ხმები, ტემბრი და სილამაზე; თუმცა სიმღერა ზოგჯერ ძლივს ისმის, მაგრამ საქმის მცოდნე კაცი ადვილად გაარჩევს იშვიათ ხმებსა და საოცარ სიმღერებს.

ჩვენდა სასიხარულოდ, ზოგიერთმა ოჯახმა შეინახა გრამფონის ის ფირფიტები, რომლებზედაც ჩაწერილია ძველი ხალხური სიმღერები. ეს არის პირველი ფირფიტები, რომლებიც საქართველოში ჩაიწერა. ამიტომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ.

ჩვენს ოჯახში ბევრი ასეთი ფირფიტა ინახებოდა.

ბაბუაჩემი მათ სათუთად უვლიდა. თითონაც მუდამ დიდი სიყვარულით ისმენდა და საპატიო სტუმარსაც ამ ფირფიტებს ასმენინებდა.

მაშინ ჭეროვნად ვერ ვაფასებდი მათ მნიშვნელობას, ახლა კი, როცა მათი შეგროვება და აღდგენა განვიზრახე, ჩვენს საოჯახო არქივში მხოლოდ რამდენიმე ცალი აღმოჩნდა.

ამ ფირფიტების აღდგენის იდეა მომაწოდა ჩემმა პედაგოგმა შალვა ასლანიშვილმა, რომელსაც მოვასმენინე რამდენიმე ფირფიტა. აღფრთოვანებულმა მეცნიერმა მიჩნია ამ უნიკალური ფირფიტების მოძებნა ოჯახებში, არქივებსა და მუზეუმებში, ფირფიტებზე ჩაწერილი სიმღერების გაშიფვრა და გადატანა სანოტო ფურცლებზე, შემსრულებელთა გვარების აღნიშვნა ხმების მიხედ-



სხედან: სამუელ ჩავლეიშვილი, ვარლამ სიმონიშვილი.  
დგანან: ალექსანდრე მახარაძე, ლადო დოლიძე

ვით, ფირფიტების აღდგენა თანამედროვე ტექნიკის საშუალებებით და მათი გამოცემა, თანაც დასძინა:

ამ გზით შევადგენთ ფირფიტების კრებულს, რომელიც ქართველი ერის მუსიკალურ კულტურასაც დიდ სამსახურს გაუწევსო. მართლაც, ეს იქნება ვალის მოხდა ხალხური სიმღერების მოამაგეთა წინაშე, რომელთა ნამოღვაწარსაც მივიწყება ემუქრება. ასე

გაცოცხლებიან დიდებული სიმღერები და მათი შემსრულებლები, რომლებიც პატიოსნად ემსახურებოდნენ ქართველ ხალხს და, დიდი წინაპრების მსგავსად, შემდეგ უკვალოდ ქრებოდნენ.

შ. ასლანიშვილმა სამართლიანად აღნიშნა ისიც, რომ რადგან ჩემი თაობის ხალხურ მომღერლებს მიღებული გვაქვს მუსიკალური განათლება და შესაძლოა, ყური „გაფუჭებული გვქონდეს“ ტემპერირებული წყობის ინსტრუმენტებისაგან, ჩვენს მიერ შესრულებული სიმღერები მოსალოდნელია შთამომავლობამ „შეკეთებულად“ მიიჩნიოს და ექვი შეეპაროს მათ ხალხურობაში. ამისათვის გვესაჭიროება კრებულები, რომლებიც დაადასტურებენ ხალხური სიმღერების სიწმინდესა და ხელშეუხებლობას. მეც სწორედ ამ მიზნით შევუდექი საკმაოდ რთულ საქმეს: — საქართველოში პირველად დაბეჭდილი გრამფირფიტებისა და მათ შესახებ მასალების შეგროვებას.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში მთელ მსოფლიოს მოედო სენსაციური ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკელმა მეცნიერმა თომას ედისონმა გამოიგონა ფონოგრაფი — ბგერის ფიქსაციის აპარატი, რომელზედაც 1877 წლის დეკემბერში ჩაწერა მსოფლიოში პირველი ფონოგრამა.

1888 წელს გერმანელმა ინჟინერმა ე. ბერლინერმა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა და მუშაობდა, ბგერის გამტარ მასალად გამოიყენა ცვილის თხელი აკით დაფარული თუთიის დისკო, ხოლო ამ დისკოდან ბგერის გამოსაცემად — გრამოფონი. ე. ბერლინერის დისკოდან შეიძლებოდა ლითონის მატრიცის გადაღება ფირფიტების მასობრივი წარმოებისათვის. XIX საუკუნის ბოლოს კემდენში (აშშ) გაახსნა მსოფლიოში პირველი გრამოფონების ფაბრიკა, რის ბაზაზეც შეიქმნა გრამოფონის უდიდესი კონცერნი.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში შეიქმნა გრამოფონების და მისი პორტატიული სახეობის — პატეფონების წარმოების კომპანიები და ფირმები (ქართ. საბ. ენც. ტ. პ. გვ. 251).

ამ ფირმებში დაიწყეს გრამოფონის ფირფიტების გამოშვება სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც ფირფიტებთან ერთად გრამოფონებსაც ასალებდნენ. 1901 — 1902 წლებში ინგლისურმა სააქციონე-



ილარიონ ჩელეიშვილი

რო საზოგადოება „გრამოფონმა“ რიგაში ააშენა პირველი ფირფიტების ფაბრიკა. 1910 წელს მოსკოვის მახლობლად აპრელევკაში აშენდა გრამფირფიტების ქარხანა, რომელიც დღესაც უდიდესია საბჭოთა კავშირში. 1915 წელს რუსეთში უკვე 6 ფაბრიკა მუშაობდა, რომელიც წელიწადში 20 მლნ. ფირფიტას უშვებდა. გამო-



ხმის ჩამწერი სტუდია „გრამოფონი“ ქ. თბილისში.

დიოდა ჟურნალები „გრამოფონი მირ“ (1910—1916 წ.) და „გრამოფონია ჟიზნ“ (1911—1912 წ.); (დ. ს. ენ. ტომი მე-7 გვ. 244)

უცხოეთის ფირმები დაინტერესებული იყვნენ გრამოფონების გასაღებით, ამიტომ სხვადასხვა ქალაქებში ადგილზევე იწერდნენ სიმღერებს და შემდეგ ყიდდნენ ფირფიტებს გრამოფონთან ერთად.

1906—1907 წლებში ინგლისურმა სააქციონერო საზოგადოება „გრამოფონმა“ თბილისში გახსნა ხმის ჩამწერი სტუდია, სადაც 1907 წელს ჩაიწერეს ამიერკავკასიის ხალხთა სიმღერები, მათ შორის ქართულიც. სტუდიასთან ერთად გაიხსნა მაღაზიაც, რომელიც გრამოფონებითა და გრამფირფიტებით ვაჭრობდა. ეს მაღაზია მდებარეობდა გოლოვინის პროსპექტზე (სახლ № 9, ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი, დაახლოებით ქაშუეთის ეკლესიის მიდამოებში). თბილისის ხმის ჩამწერი სტუდია მთელ ამიერკავკასიას ემსახურებოდა. გრამფირფიტებთან ერთად გამოდიოდა უფასო კატალოგები, რომლებიც ფირფიტების შეძენით დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს ეგზავნებოდათ. ასეთ კატალოგებს, სამუშაოზე, ვერც ერთ სახელმწიფო არქივში ვერ მივაკვლიეთ.

სამაგიეროდ, ხელთ გვაქვს ორი კატალოგი, რომელიც კერძო პირებს ეკუთვნოდა.

ძველ ფირფიტებს, რომელიც გურიაში შევაგროვე, სხვა კუთხის სიმღერებიც მივუმატე ცნობილ მომღერალთა შესრულებით და მივაღეჭი საკავშირო ფირმა „მელოდიის“ სარესტავრაციო განყოფილებას. საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა საქმიანი კონტაქტი დაამყარა ფირმა „მელოდიასთან“ და სარესტავრაციო ხარჯების ანაზღაურება იკისრა.

ფირფიტების უმრავლესობა გაცვეთილიყო, ამიტომ გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, მათი სრულყოფილი აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა.

სარესტავრაციო განყოფილების გამოცდილი თანამშრომლის კლავდი კლავდის ძე ტიხონრაგოვის რჩევით მოსკოვში გლინკას სახელობის მუზეუმში მივედი, რათა შედარებით უკეთ შენახული იგავე ფირფიტები მეპოვნა.

გლინკას სახელობის მუზეუმში აღმოჩნდა არა რევოლუციამდე, არამედ 1928 წლის შემდეგ ჩაწერილი ფირფიტები: სანდრო კავსაძის, ნიკო ქუმსიაშვილის, სანდრო ინაშვილის, ვარლამ სიმონაშვილის, არტემ ერქომაიშვილის. მარო თარხნიშვილისა და სხვათა შესრულებით.

მე ვთხოვე, მოესმენინებინათ ჩემთვის ზოგიერთი მათგანი. ცალკე ოთახში, სადაც ფირფიტები ჩემს მიერ შერჩეული ნომრების მახედვით მოიტანეს, შევუღეჭი მოსმენას.

ამ დროს ერთ-ერთი მუსიკალური სკოლიდან პედაგოგმა ექსკურსიაზე მოიყვანა ბავშვები, რომლებიც დაინტერესდნენ უჩვეულო სიმღერებით, და მოსმენის ნებართვა გვთხოვეს.

მე, რასაკვირველია, დავთანხმდი.

ბავშვები დიდი ინტერესით ისმენდნენ ხალხურ სიმღერებს და მეკითხებოდნენ, რამდენხმიანი და რომელი კუთხის სიმღერებია, ვინ არიან შემსრულებლები, რა ჰქვია მაღალ „ჩახვეულ ხმას“ (კრიმანჭულს), როდის არის ჩაწერილი, მღერიან თუ არა ახლა ასეთ სიმღერებსო და ა. შ.

ექსკურსიისათვის განკუთვნილი დრო დამთავრდა, მაგრამ მათ ფეხი არ მოიცვალეს, სანამ მოსმენა არ დავამთავრე.

საინტერესო იყო ჩვენი რეაქციები სიმღერებს მოსმენისას. ბევრ მათგანს მეც პირველად ვისმენდი.



ბავშვები ხანდახან ტაშსაც შემოკრავდნენ. მათი პედაგოგიც აღტაცებული იყო ქართული სიმღერებით და დიდი მადლობაც გადამიხადა.

თუმცა კმაყოფილი დავრჩი ამ აღმოჩენით, მაგრამ, სამწუხაროდ, რევოლუციამდე ჩაწერილი სიმღერები მუზეუმში არ აღმოჩნდა, რის შესახებაც პედაგოგს ჩემი წუხილი გავუზიარე. როცა საქმის შინაარსი გაიგო, რამდენიმე კოლექციონერის შისამართი მომცა, რომლებიც რჩევას მაინც მომცემდნენ, თუ ჩემთვის საჭირო ფირფიტები არ ექნებოდათ.

თბილისში გამოშვებული ფირფიტების პირველი კატალოგი გადმოგვცა მოსკოველმა კოლექციონერმა ლეოპოლდ იურის ძე კოტუხოვმა (მოსკოვი, ა-183, ბოლშაია აკადემიჩესკაია, კორპ. 2, სახლი 77, ბინა 25). ამ კატალოგიდან გადავიღეთ ასლები, რომლებიც ამჟამად ინახება თბილისში, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივსა და მეცნიერებათა აკადემიაში. მასში შეტანილია ყველა ის ნაწარმოები, რომლებიც ჩააწერა თბილისში 1907 წლდან. კატალოგი შედგენილია ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სპარსულ ენებზე, ცალ-ცალკეა ჩამოთვლილი შემსრულებელთა გვარები, ფირფიტების საწარმოო ნომრები და სიმღერების დასახელება.

ვლადისლავ ივანეს ძე ბელოგუბოვი ავად იყო, საავადმყოფოში იწვა.

მარკ მოსეს ძე შნაიდერი კი დიდი ძებნის შემდეგ ვიპოვე სოკოლნიკებში ერთ ძველ სახლში, კარი თვითონ გამიღო. იგი 80—85 წლისა იქნებოდა. ნახევრად მწოლიარე ავადმყოფი იყო. ლოგინზე ფეხებთან ორი კატა ეწვა, სასთუმალთან სკამი ედგა. სკამზე ჩაის ჭიქა და ლამბაქი ეწყო. მასპინძელი ენაწყლიანი აღმოჩნდა და სანამ მე რამეს ვთხოვდი, მიაშბო, თუ ვის იცნობდა, ვინ უნახავს, ვისთვის მოუსმენია, რა უნიკალური ფირფიტები აქვს და ა. შ. კედლები ფირფიტებით სავსე თაროებსა და შალიაპინის, ჯალას, მილიცა კორიუსის, კარუზოსა და მაქსიმ გორკის სურათებს დაეფარა. ჩემს ფირფიტებს მაქსიმ გორკი ისმენდა, რომელიც თავისუფალ დროს ხშირად მოდიოდა ჩემთანო, — მითხრა მოხუცმა. თავისი სურათიც მაჩვენა, შალიაპინთან გადაღებული.

ჩემი იდეალი შალიაპინიაო, — დასძინა, შემდეგ კარი გამოაღო, რომელიც ადრე კარადა მეგონა და იქ გრამოფონი აღმოჩნდა



ფირსმანი, ქეიფი ფონოგრაფით.

(რალაც განსაკუთრებული). თაროდან გადმოიღო ფირფიტა, ხსნარში დასველებული ბამბით ფრთხილად გაწმინდა და ასევე ფრთხილად დადო გრამოფონზე.

ღონ კიხოტის სიკვდილის სცენას მასნეს ოპერიდან მღეროდა შალიაძინი. მე მონუსხულივით ვუსმენდი სიმღერის ამ ჯადოქარს. შალიაძინმა სიმღერა დაამთავრა. შნაიდერმა ფირფიტა ისე ფრთხილად აიღო და შეინახა, თითქოს ახალდაბადებული ბავშვი აეყვანოს ხელში.

როცა ჩემი მისვლის მიზეზი შეიტყო, გულდაწყვეტით მითხრა: სანწუხაროდ, ხალხურ სიმღერებს არ ვაგროვებ, არც ვინმე ისეთი მეგულება, ვინც ქართულ ხალხურ სიმღერებს აგროვებდესო. აქვე ნირჩა კრასნოგორსკის ფოტო-ფონო-კინო და მოსკოვის ცენტრალურ ხმისჩამწერ არქივებში მისვლა. ფირფიტების ნომრებს რომ გაეცნო, უმაღვე მითხრა: „ეს ფირფიტები 1907—1910 წლებშია ჩაწერილი. თქვენ ფირფიტები კი არა, მატრიცები ან მათი ასლები უნდა მოითხოვოთ. შესაძლოა, თვით არქივებშიც არ იცოდნენ ამ მასალას არსებობა, ამიტომ არ მოეშვათ და კატალოგებს გაეცანით. საზღვარგარეთული ფირმა, რომელიც ამ სიმღერებს იწერდა, აქ გრამოფონებით ვაჭრობდა და მატრიცებს ადგილზე სტოვებდა. გარდა მოსკოვისა, მათ ფილიალები ჰქონდათ კიევიში, რეგოში, თბილისში, ლენინგრადში, ვარშავასა და სხვა ქალაქებში“.

მადლობა გადაუხადე გულისხმიერ მასპინძელს და მას მიერ მითითებულ არქივებს მივადექი. კრასნოგორსკში შევიტყვე, რომ ფონო-არქივი კარგა ხანია გადაუტანიათ მოსკოვში, ბაუმანის ქუჩაზე ნდებარე ცენტრალურ ხმისჩამწერ არქივში, სადაც აუცილებლად საშვი იყო საჭირო. ამისათვის თბილისში დაბრუნება დამქირდა. სადაც ცენტრალური არქივის დირექციამ, კერძოდ, პატივცემულმა ვახტანგ გურგენიძემ ბევრი საჭირო ცნობა მომაწოდა, მანვე მომიზადა საბუთი, რომლითაც შემეძლო ჩემთვის საჭირო არქივებში შემეშვა.

ანსამბლ „რუსთავის“ გასტროლების დროს მივაშურე კიევის, რეგოსა და ლენინგრადის არქივებს, სადაც დიდი გულისხმიერებით მომეკადნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ომის დროს რევოლუციონარული ჩანაწერები გადაუგზავნიათ მოსკოვის აპრელევის ქარხანაში. ლენინგრადში დიდი დახმარება გამიწია თეატრის, მუსიკისა

და კინემატოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორმა ლარისა ქუთათელაძემ და ლენინგრადის კონსერვატორიის ფონეტუკის კაბინეტის გამგემ ალექსანდრე გომარტელმა, რომელსაც დაცული აქვს ს. კავსადის, ლ. გერმესაშვილის, ს. ინაშვილის, პ. ამერანაშვილისა და სხვათა ფირფიტები.

დიდი სამსახური გამიწია ლენინგრადელმა კოლექციონერმა იური ბორისის ძე პერეპიოლკინმა (ლენინგრადი, ჩერნომეცკის მოედანი, სახლი № 9 ბ. 123). მასთან აღმოჩნდა ფირმა „გრამოფონის“ რიგაში გამოცემული მეორე სრული კატალოგი. ამ კატალოგის კავკასიის განყოფილების I გვერდი მკითხველებს ამცნობს, რომ:

«Общество Граммофон согр. отв.  
в Лондоне. Полный каталог  
Кавказских граммофонных пластинок  
Пишущий Амур  
Траде Марк  
Отделение Кавказа и Закаспийского края.  
Тифлис  
Головинский пр. № 9  
против Военного Собора.

**Настоящий каталог содержит в себе все пластинки, выпущенные в продажу по 1-е октября 1914 года.**

Тип. «Культура», Михайловский пр. № 102»


როგორც ჩანს, ამ კატალოგში შეტანილია 1914 წლის 1 ოქტომბრამდე ჩაწერილი და გამოშვებული ყველა ნაწარმოები. პერეპიოლკინმა გვითხრა, რომ 1925 წლამდე ფირფიტის ბრუნის სიჩქარე მერყეობდა 75-დან 84-ამდე წუთში და ფირფიტაზე არ აღინიშნებოდა. გრამოფონის დისკის ბრუნის სიჩქარე რეგულირდებოდა სპეციალური ბერკეტით სმენის მეშვეობით. მანვე განმარტა თბილისის კატალოგზე თანდართული წარწერები:

1. ქართული პლასტინკები, „მიხაკისფერი ეტიკეტით“ პატარა ზომა 7 დიუმიანი (17,5 სმ) „კ“ ასოთი, ფასი 65 კაპ.

გრანდტ ზომა 10 დიუმიანი (25 სმ) „ლ“ ასოთი, ფასი 1 მანეთი.

გაგანტი ზომა 12 დიუმიანი (30 სმ) „მ“ ასოთი ფასი 1,50 მანეთი და ორი ნომერი 6, რომელთაგან ერთი ფირფიტას შუაშია ჩაბეჭდილი, მეორე კიდეში.

პერეპიოლკინის აზრით, ფირფიტაზე დაბეჭდილი პირველი



სარეკლამო ნახატი

მრავალციფრიანი ნომერი შეკვეთისაა, ხოლო მეორე — ფირფიტის შუაგულში ჩაბეჭდილი — მატრიცის ნომერია.

საინტერესო მასალები აღმოჩნდა ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში. 1908 წელს ხმის ჩამწერი სტუდიის ფილიალი, ა. რ. თაბაგარის გრამოფონისა და ფირფიტების მაღაზია გახსნილია ქუთაისში.

«До 1 Мая 1908 г. состоял на службе Компаний Зингер; Был заведующим магазинами в Кутаисской губернии. Собственную торговлю начал только с 1 мая 1908 года под фирмой «Склад швейных и вязальных машин, граммофонов и велосипедов». Имею собственных агентов во всех местечках Кутаисской Губернии. Словом, несмотря на короткое время существования моей фирмы, она действует с успехом, и есть надежда, что сбыт граммофонов и пластинок общества «Граммфон» будет громадный, как известных в целом мире своими превосходными качествами.

А. Р. Табагари»

(იხ. Альбом покупателей Акционерного общества «Граммфон». Март 1909 г. ლენინგრადი, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკა).

ქუთაისში პირველ ფირფიტებზე ჩაწერილია: ანსამბლი ს. ჩავ-  
ლეიშვილის ხელმძღვანელობით, ქუთაისის ქორო ნ. კიპარენკოს  
ხელმძღვანელობით, რამდენიმე ინდივიდუალური შემსრულებე-  
ლი, ქალაქური ხალხური სიმღერები გიტარისა და ფორტეპიანოს  
აკომპანიმენტით და სხვა.

აქვე შევითყვე, რომ მოსკოვში, 30-იან წლებში ხელმეორედ  
დაიბეჭდა 1907—1910 წლებში გამოცემული მატრიცები, რაც  
იმის იმედს მაძლევდა, რომ მეორე ორიგინალები მაინც იქნებოდა  
შემორჩენილი.

ერთი სიტყვით, ყველა გზას მოსკოვის აპრელევის ქარხანაში  
მივყავდარ. იქ გაირკვა, რომ სხვადასხვა ქალაქებიდან მიღებული  
მატრიცები სპეციალურ საცავებში იყო დაცული, რომლებიც დამ-  
წვარა. გადარჩენილი მასალა კი გადაუგზავნათ მოსკოვის ცენტ-  
რალურ ხმისჩამწერ არქივში. არქივის დირექტორმა თ. ბუდანოვ-  
მა ყურადღებით მომისმინა და მითხრა: მატრიცები და ფირფიტე-  
ბი კი გვაქვს, მაგრამ იმ პერიოდის, თქვენ რომ ეძებთ, აქ არ არი-  
სო. მოვითხოვე კატალოგები, სადაც მხოლოდ საქართველოს ხალ-  
ხური სამღერისა და ცეკვის ანსამბლის „გორდელასა“ და „რუსთა-  
ვის“ ჩანაწერები იყო აღნიშნული.

ხანგრძლივი ძიების შემდეგ ვიპოვე 1928—1934 წლებში ჩაწე-  
რილი კირილე პაჭკორიას, კიწი გეგეჭკორის, ვარლამ სიმონიშვი-  
ლის, მარო თარხნიშვილისა და სხვათა გუნდების ჩანაწერები, რო-  
მელთა აღრიცხვას რამდენიმე დღე მოვანდომე.

განყოფილებას უფროსმა პროზოროვამ მითხრა, რამდენიმე  
დღას წინ ძველი კატალოგის ერთი ყუთი ვნახეო, მაგრამ შინაარსი  
ამ კატალოგისა არ იცოდა. შევუდექი ამ კატალოგის გადასინჯვას.  
სიმღერებს ვეძებდი 1907 წელს გამოშვებული ფირფიტების ნომ-  
რების მიხედვით. მართლაც, მივაგენი ორ ნომერს, მაგრამ ორივე  
რუსული სიმღერა აღმოჩნდა. როგორც ჩანს, აქაური ნომერი არ  
ედრებოდა ჩემი ფირფიტების ნომრებს. მატრიცები არქივის ნომ-  
რების მიხედვით იყო აღნუსხული. იძულებული ვიყავი, მატრიცე-  
ბი მეძებნა სიმღერების დასახელებისა და შემსრულებელთა გვა-  
რების მიხედვით. მაგრამ ამ გახულებულ ბარათებზე სიმღერის სა-  
ხელწოდება ხშირად არ ეწერა, ან ეწერა ზოგადად: „ქართული  
ხალხური სიმღერა“, „გურული სიმღერა“ და სხვა. როგორც იქნა,  
ვიპოვე ბარათი, რომელსაც ეწერა: „გურული სიმღერა, ბიბილო-

ძის ტრიო, 1907 წ.“ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მივხვდი, რომ გურული სიმღერა ჩაწერილია ცნობილი მომღერლის გიორგი ბაბილოძის ტრიოს მიერ 1907 წელს.

იმ დღეს კიდევ რამოდენიმე ნომერი ვიპოვე, სადაც ეწერა: „კახური სიმღერა“, „მედუღუკეთა ანსამბლი ბაგრატას ხელმძღვანელობით“ და სხვა.

ალბათ დიდხანს ვიქნებოდი იქ, რომ არ შეეხსენებინათ, სამუშაო საათები დამთავრდაო. თანდათან სხვა ნომრებიც ვიპოვე. ძალიან ბევრი იყო მედუღუკეთა ანსამბლის — კერძოდ, ბაგრატას დასტას მიერ ჩაწერილი სიმღერები.

განსაკუთრებით გამახარა ბარათმა, რომელსაც ეწერა „დ. ლევანას სიმღერა“. მივხვდი, რომ ეს იყო გამოჩენილი მომღერალი ლევან ასაბაშვილი, რომელიც ხალხში ცნობილია „დედას ლევანას“ სახელით. იქვე მივაკვლიე „ჩაკრულოს“ — დედას ლევანას, ბათო როსტომაშვილის, ალექსი ელოშვილის, ს. ქურციკიძისა და კნიაზაშვილის შესრულებით. ესენიც ცნობილი მომღერლები არიან, განსაკუთრებით ბათო როსტომაშვილი და ალექსი ელოშვილი (ოსტატი ალექსა), რომლებსაც ხალხი დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებს.

თანდათან აღმოჩნდა: კავსაძეების, ხუხუნაიშვილების, ფაღავას, ს. ტომაშვილის, ქუთაისის ქოროს (კიპარენკოს ხელმძღვანელობით), ჩავლეიშვილების ჩანაწერები... სრულიად მოულოდნელად წავაწყდი ბარათს, რომელზეც ეწერა: „ურმული“ — ვ. სარაჯივი“. ავლელი და ალფერთოვანდი, რადგან ჩემს წინაშე იყო ვანო სარაჯიშვილი. ამ ლეგენდარული მომღერლის ჩანაწერის ორიგინალი...

ამ მომღერალთა სახელები დღესაც ცოცხლობენ, მაგრამ უმეტესობის ხმა არ მოგვისმენია. მარტო დედას ლევანა რად ღირს. ქართლ-კახური სიმღერების ღმერთი, რომ არაფერი ვთქვათ ვანო სარაჯიშვილზე.

ძველი მატრიცების ნომრები ამოვწერე. ახლა საჭირო იყო პირველი სამამულო ფარფიტების (1922—1936 წ.) აღდგენა. მაგრამ სანამ ვ. სარაჯიშვილის, დედას ლევანას, ჩავლეიშვილის, ბაბილოძისა და სხვათა აღდგენილ ხმებს გავიგონებდო, ბევრი რამ იყო გასაკეთებელი. ამიტომ საბჭოთა პერიოდის მატრიცებს მიკვლევა სხვა დროისათვის გადავდე.



დედას ლევანა

თბილისში დაბრუნებისთანავე ჩემს მიერ ამოწერილი ნომრები ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს გადავეცი. კომიტეტმა „მელოდიას“ გაუგზავნა ოფიციალური წერილი, სადაც ითხოვდა ზემოთ ჩამოთვლილი ნომრების მატრიცების აღდგენას, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვან შენაძენს. ამ წერილის საფუძველზე „მელოდიამ“ არქივიდან ძველი მატრიცები გამოიწერა. არქივის საცავში მეც შემიშვეს. სარდაფში თაროებზე ვერტიკალურად დალაგებული უამრავი მატრიცა ვნახე, რომლებშიც, ვინ იცის, კიდევ რამდენი ქართული სიმღე-

7. ა. ერქომაიშვილი



რაა მიმალული, ვინაიდან ბევრ მათგანს არც სიმღერის სახელწოდება აწერია და არც შემსრულებლის გვარი.

მატრიცები მივიტანეთ ფირმა „მელოდიაში“, რომელმაც მოსკოვის საცდელ ქარხანა „გრამზაპის“ მატრიცებიდან მეორე ორიგინალების გაკეთება შეუკვეთა. ამ რთულსა და საინტერესო პროცესს მეც დავესწარი. ყოველივე ეს შევატყობინე კინორეჟისორ სოსო ჩხაიძეს, რომელიც მოსკოვში კინოგადამღებ ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა და ძველი მატრიცების აღდგენის მთელი პროცესი ფირზე აღბეჭდა.

მატრიცა ლითონის (სპილენძი ან თითბერი) სქელსა და მძიმე ფირფიტას წარმოადგენს. მისი პირველი ორიგინალი „ნეგატივია“, მისგან ნამღვილი ხმა არ მიიღება. ხმა მიიღება მეორე ორიგინალისაგან, რომელიც მზადდება შემდეგი წესით: რამდენიმე საათის განმავლობაში ქიმიურ ხსნარებში სხვადასხვანაირად ხდება მატრიცის გაწმენდა. თუ მატრიცას კიდეები დაბრეცილი ან გაფუჭებული აქვს, ხდება მისი რესტავრაცია. რესტავრირებული მატრიცა გადადის სააპარატოში, სადაც სხვადასხვა ხსნარში ვერტიკალურად ჩაკიდული მატრიცა ბრუნვას იწყებს და თანდათან ნიკელის ფენით იფარება. შემდეგ მატრიცას ნიკელის ფენას სპეციალური მოწყობილობით ფრთხილად აცილიან, დებენ ცენტრიდანულ მანქანაზე, რომლის საშუალებითაც იხვრიტება ცენტრი, რათა დაკვრის დროს რბევა არ გამოიწვიოს. ყოველივე ამის შემდეგ ნიკელის ფირფიტას ამუშავებენ, წმენდენ, აშრობენ და გზავნიან ფირმა „მელოდიაში“. იქ სპეციალური აპარატის საშუალებით მიიღება ხმა, რომელიც ფილტრებში გადადის და ისე იწმინდება, რომ ხმის ხარისხი და ტემბრი არ დაზიანდეს. მიღებული ხმის გადაწერა ხდება თანამედროვე მაგნიტოფირზე. სპეციალური მოწყობილობით დგინდება სტაბილური სიჩქარე. მოგეხსენებათ, რომ მაშინდელი ფირფიტები ჩაწერილია გრამოფონისათვის, რომლის სიჩქარე წუთში 78-დან 90-მდე აღწევდა. ამიტომ თანამედროვე ელექტროსაკრავზე მატრიცის სიჩქარე შერყეობს, რაც იწვევს ხმის ამაღლებას ან დადაბლებას. დიდი ყურადღება და გამოცდილებაა საჭირო, რომ ფირფიტის ბრუნვის სიჩქარე სიმღერის ტონალობას მიესადაგოს.

ფილტრებში გატარებული, მაგნიტოფირზე გადატანილი სიმღერებისაგან მზადდება ხელახალი მატრიცა, რომლისაგანაც იბეჭდება ფირფიტები.

აი, ასეთი რთული წესით იქნა აღდგენილი ძველი მატრიცების პირველი პარტია. „მელოდიის“ საპარატოში გულის ფანჯალით ველოდებოდით ნიკელის ფირფიტების ახმოვანებას. პირველად მოვისმინეთ ერთ-ერთი გურული სიმღერის მატრიცა, რომელსაც არ ეწერა არც სიმღერის დასახელება და არც შემსრულებელთა გვარები. გაისმა ხმები, რომელთა შემსრულებლებს მაშინვე იცნობ, თუკი ერთხელ მაინც მოგისმენია მათი სიმღერა. დიდებული გურული მომღერლები: სამუელ ჩავლეიშვილი, სამუელ ჩხიკვიშვილი და ვარლამ სიმონიშვილი ასრულებდნენ ძველ სუფრულ სიმღერას „წამოკრულს“ (ჩაწერილია 1908 წ.).

ეს სიმღერა იმპროვიზაციის დიდ საშუალებას აძლევს შემსრულებელს, მაგრამ ასეთი საშემსრულებლო ტექნიკა და გამომგონებლობა იშვიათია. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სიმღერის მეორე მუხლმა, სადაც მომღერლებმა შესრულების მწვერვალს მიაღწიეს. ვარლამ სიმონიშვილი ნამდვილი ვირტუოზია, ვერც კი წარმომედგინა, რომ „წამოკრულში“ შეიძლებოდა ასეთი რთული ბანის მისადაგება დამწყებისა და მოძახილისათვის. ეს რომ შეაფასო, ამისათვის „წამოკრულის“ ბევრი ვარიანტი უნდა გქონდეს მოსმენილი სხვათა შესრულებით.

შემდეგი ფირფიტის მოსმენისას გაისმა ვარლამ სიმონიშვილის ხმა: „ბესარიონ ინწკირველო, ერთი, „სტოლის ხელხვაკი“ თქვი“. სტოლის „გურული“ ეს ძველი „სუფრის ხელხვაკია“, რომელშიც ასევე უბადლოდაა შესრულებული ბესარიონ ინწკირველის, სამუელ ჩავლეიშვილისა და ვარლამ სიმონიშვილის მიერ.

ვინაიდან მატრიცაზე შემსრულებელთა გვარები და სიმღერების დასახელება ხშირად არ იყო აღწერილი, საჭირო გახდა სიმღერისა და შემსრულებლების გამოცნობა. გურულ სიმღერებში ეს არ გამოკირვებია, რადგან ფირფიტებს საშუალებით თითქმის ყველა ძველი მომღერალი მყავს მოსმენილი, მაგრამ, უცბად გაისმა კახური „მრავალყამიერი“... სახტად დავრჩი. გაისმა ულამაზესი ტემბრის საოცრად მაღალი, ფართო მოცულობის ტენორი, რომლის მსგავსი ჯერ არ მომასმენია. ასეთი ხმა ყველა საოპერო მომღერალს შეუზრდებოდა. ხმა თავისუფლად დაცურავდა „მრავალყამიერის“ მაღალ რეგისტრში და, როცა „სი ბემოლი“ აიღო, მივ-

ხვდ., ეს „დედას ლევანა“ იყო, თავის დროზე ზაქარია ფალიაშვილიც რომ განაცვიფრა. ზაქარია მასზე წერდა:

„ორი-სამიოდე ქიქა ლენის გადაკვრის შემდეგ დაიწყეს სიმღერა, მაგრამ რა სიმღერა! მე ამისთანა მწყობრად შესრულებული კანჭური სიმღერა ჯერ არ გამიგონია. სანიორის მომღერლები ზომ კარგი იყვნენ, მაგრამ შილდელებმა ბევრად აჯობეს. განსაკუთრებით იმათში გამოირჩეოდნენ: ლევან ივ. ასაბაშვილი (მეტსახელად „დედას ლევანა“), ბათო დავითის ძე როსტომაშვილი, ალექსა გიორგას ძე ელოშვილი და ლაზარე სვ. კოკილაშვილი. ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვით გავაცნო მკითხველს ამ მომღერალთა ვინაობა. „დედას ლევანა“ არის მაღალი ტანისა, წარმოსადეგი, მხარბეჭიანი გლახი 43-45 წლისა. მღერის როგორც მოძახილს, ისე დამწყებსაც, მომეტებულად კი მოძახილს, მაგრამ ამ მღვე-კაცს ბუნებით ისეთი მშვენიერი გავარჯიშებული დიდი ხმა (ტენორი) აქვს, რომ მე ვგონებ, ბევრი ჩვენი ოპერაში მომღერალიც არ დაიწყებდა და კიდევ ინატრებდა იმისთანა იშვიათ ხმას. ამას გარდა, მშვენიერი გამოთქმაცა აქვს, საუცხოვო მოლაპარაკეა, თამამი მიხვრა-მოხვრა, ერთი სიტყვით, ღმერთს მიუნიჭებია იმისათვის ყოველივე ის, რაც კარგი არტისტისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ბათო როსტომაშვილი 65 წლის მოხუცი გლახია, ძლიერ დაბალი ტანისა, მაგრამ ესეც დიდი ხმის პატრონია, იმის თოვლივით გათეთრებულ თმას რო არ უყუროთ და ისე მოისმინოთ მისი სიმღერა, თავის დღეში არ იფიქრებთ, რომ მღერის ასეთი მოხუცი და არა ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, იმდენად სუფთა და გამჭრიახი ხმა აქვს. მღერის მარტო პირველ ხმას. ელოშვილიც მოხუცია. ამ უკანასკნელს, როგორც თვით მომღერლებმა გადმოგვცეს და თვითონაც იკვებნადა, ერთ დროს შესანიშნავი ხმა ჰქონია, მთელი ოჯახიც მომღერალი ყოფილა და ამ ზემოხსენებული მომღერლებისათვის ამას უსწავლებია სიმღერა, მაგრამ რალაც მიზეზით ხმა აღრე დაჰკარგვია. თუმცა ამ „ოსტატ ალექსას“ (ასე ეძახდნენ) ხმა სრულებით აღარ აქვს, მაგრამ სიმღერები კი ზედმიწევნით იცის. გადამეტებით არ ვიტყვი და ამათთანა მომღერლებს პირადად მე არასდროს არ შევხვედრივარ, თუმცა ბევრი ქართველი მომღერლისათვის დამიგდია ყური“... („მოგზაურობა კახეთში“, გაზეთი „აპირანი“ № 51, 1908 წ.)

ჩანაწერში, რომელიც მე მოვისმინე, მონაწილეობდნენ ქურცი-

კიდე და კნიაზიშვილი, რომელთა ვინაობას ზაქარია არ გვაცნობს. მათი გვარები ფირფიტაზეა აღნიშნული.

მართალია, ეს ანსამბლი ძალიან შეწყობილად არ მღერის, მაგრამ იგი განცვიფრებას იწვევს ხმების სალამაზითა და „მრავალყაშიერის“ მათებური შესრულებით, ძალზე თავისებური ინტერპრეტაციით. შემდეგ მოვისმინე დედას ლევანასეული „ჩაკრულის“ ვარიანტი, რომლის მსგავსი არ მომისმენია.

„პარალე პარი არალოო“.. გაისმა სანდრო კავკასიძის სასიამოვნო ტემბრის ტენორი, რომელიც გულში ჩამწვდომად მღეროდა „ურპულს“. სიმღერა კარგად არის ჩაწერილი და შენახული. ეს ჩანაწერიც, ჩემის აზრით, განუმეორებელია (ჩაწ. 1909 წ.). იგი ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი უკვდავი ქმნილება ქართული ხალხური სასიმღერო ხელოვნებისა.

ელექტროსაკრავზე მორიგი ნიკელის ფირფიტა დავდეთ. კიდეები ჰქონდა დაბრეც-ლი, ამიტომ დასაწყისიდან მისი აუღერება არ მოხერხდა. მემბრანა ფირფიტის შუაში დავაყენე. მოისმა სახუმარო ლექსი, რომელსაც ვილაცა სასიამოვნოდ კითხულობდა. გამოვუძახეთ ხელოსნებს, გაასწორეს ფირფიტის კიდე და გაისმა: „მოსმინეთ ძველი თბილ-სის სურათები, წაკითხული ვასო აბაშიძისაგან“ (ჩაწ. 1915 წ.). მონუსხულივით ვუსმენდი ქართული თეატრის ამ კორიფეს, თვალწინ დამ-დგა კეთილშობილებით აღსავსე მისი სახე. რა ბედნიერებაა, რომ აღმოჩნდა მისი ჩანაწერი, რაც ქართველ კაცს ვ. აბაშიძის ხმის გაგონების საშუალებას მისცემს.

გაისმა რომანსი „შენ გეტრფი მარად“, რომელსაც 1909 წ. ეწერა. შემსრულებლას გვარი არ იყო მითითებული. ჯერ ვანო სარაჯიშვილი მეგონა, მაგრამ რამდენიმე ფრაზის შემდეგ მივხვდი, რომ სხვა მღეროდა. რომანსი მშვენივრად არის შესრულებული. მრავალგზის გადამოწმების შემდეგ დადგინდა შემსრულებელი — ია კარგარეთელი, რომელსაც, პროფ. გრ. ჩხიკვაძის გადმოცემით, ძალზე სასიამოვნო ტემბრის ლირიკული ტენორი ჰქონდა. ი. კარგარეთელას შესრულებით აღმოჩნდა კიდევ ერთი რომანსი — „ელეგია“ ილია ჭავჭავაძის ტექსტზე, მუსიკა გ. ჩუბინიშვილისა.

ისევ გურული სიმღერა. ხუხუნაიშვილების ანსამბლი „ხასანბეგურას“ მღეროდა. ეს ჩანაწერი, ასე თუ ისე, ცნობილია, მაგრამ სულ სხვაა პირველი ორიგინალიდან აღდგენ-ლი სიმღერა. აღმასხან ხუხუნაიშვილი მაღალ რეგისტრში ბრწყინვალედ ასრულებს



სანდრო კავბაძე

კრიმანჭულს. მშვენიერად არიან მასთან შეწყობილი კოწია, ბესარიონ, იოსებ, რაუდენ ხუხუნაიშვილები და სერაპიონ კუკულავა. მატრიცის ნომერია 12696 (ჩაწ. 1915 წ.). მას აწერია „ხასანბეგურა. პაპალაშვილის გუნდი“, აქ შეცდომაა. უნდა იყოს ზაქარია ფიფაიშვილი. ეს იყო მდიდარი კაცი, რომელსაც თბილისში საკუთარი დუქნები ჰქონდა. მან მოაგვარა ხუხუნაიშვილების ანსანბლას ჩამოყვანა და მათი სიძღვრების ჩაწერა ფირფიტებზე, შემდეგ კი დიდ პოპულარიზაციას უწყევდა მას.

და აი, როგორც იქნა, გაისმა ვანოს განუმეორებელი ტემბრის ხმა. ნიკელის ფირფიტა იმდენად უხარისხო აღმოჩნდა, რომ საჭირო შეიქმნა ხელახალი ანაბეჭდის გაკეთება, რომელიც ქარხანამ საგულდაგულოდ დაამზადა. მაგრამ ფირფიტის დასაწყისი მინც დაზიანებული იყო. როგორც ჩანს, მატრიცის არბები იყო დაწყვეტილი. ამიტომ მემბრანის ნემსი წინ გადადიოდა და ერთ ადგილას ჩერდებოდა. ეს განსაკუთრებით ემჩნეოდა რომანსის დასაწყისს. მაშინ ასეთ ხერხს მივმართეთ: მემბრანის წინა ნაწილი საგრძნობლად დავამძიმეთ (ბტუნვა რომ არ დაეწყო) და ფირფიტა ორჯერ ნაკლებ სიჩქარეზე დავატრიალეთ. დაზიანებული ფრაზები ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩავწერეთ მაგნიტოფონზე. ამან შედეგი გამოიღო. ხმის ოპერატორმა ნ. ტერაპუგოვამ აღდგენილი ფრაზები ერთმანეთს შიაბა, ფირი ნორმალურ სიჩქარეზე გაუწვა და მივიღეთ ვანო სარაჯიშვილის მიერ შესრულებული რომანის „დავრომილი სნეული“ (№ 13445, ჩაწ. 1915 წ.).

რა სუნთქვა, რა ფრაზირება, რამდენი გრძნობა და გზნება გამოსქვივოდა ვანოს სიმღერიდან, რომელიც, როგორც იქნა, 55 წლის შემდეგ აუღერდა. ბედნიერად ვგრძნობდი თავს, რომ პირველად მე მომეცა საშუალება მომესმინა ვანოს ხმა, მისი ჯადოსნური სიმღერა. აღდგენილი პირველი ორიგინალიდან, თუმცა უღერადობას ჯერ კიდევ სჭირდებოდა გასუფთავება. ფალტრებში გატარების შემდეგ ხმა კიდევ უფრო გაიწმინდა. გრამაფონის სიჩქარე 78-ზე მეტი იყო, ამიტომ სიმღერა ცოტა მაღლა უღერდა. საჭირო გახდა შესაბამისი სიჩქარის მოძებნა, რათა სასიმღერო ტონალობა დაზუსტებულიყო.

ისევ ფორტეპიანოს აკომპანიმენტი. ისმის ლამაზი ტემბრის ბანი. როგორც გაირკვა, ეს სოსო ტომაშვილია. იგი ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე გამოდიოდა. როგორც იქნა, გამოჩნდა ის ნომერი, სულ პირველად კატალოგში რომ შემხვდა და რომელსაც უწე-

რა „მუმლი მუხასას“, ასრულებს ბიბილოძის ტრიო. 1910 წ. ივნისი (№ 4559, 1 ორიგინალი და სამუშაო მატრიცა № 2966 3 მაისი, 1907 წ.). „გიორგი იობიშვილი, ერთი „სტოლის ხელხვაი“ თქვი, სტოლის“. გამოცნობა არ გამჭირვებია, ეს ივლიანე კეჭყაყმაძეა. „ჩვენ მშვიდო-დოო-ბა“... დაიწყო გიორგი იობიშვილმა, მოძახილი ივლიანემ უთხრა, ხოლო ბანი — 20 წლის არტემ ერქომაიშვილმა. ეს ფირფიტა მეცა მაქვს, თუმცა იგი უკვე ძალზე გაცვეთილია. ეს ის ფირფიტაა, ბაბუამ სიკვდილის წინ რომ რამდენიმეჯერ მომასმენინა, — „დააკვირდი, როგორი ვარიანტია და როგორ გვაქვს ნამღერი“. — მართლაც, საოცრად მღერიან. ეს ახლა გამოჩნდა, როცა სიმღერამ პირვანდელი სახე მიიღო. ეჰ! ნეტავ ამას ახლა ბაბუა ისმენდეს და იცოდეს, რომ მათი ნამღერი არასოდეს წაიშლება, ვიფიქრებ.

„ჰა დილა-ა და-ა-ა,“ — აგრძელებს იმავე ფირფიტაზე გიგო ერქომაიშვილი. მას ეხმარებიან გიორგი იობიშვილი და გიორგი ბაბილოძე.

ეს მატრიცა მშვენივრად არის შენახული. აქ პირველად გამოჩნდა მთელი სიცხადით გიორგი ბაბილოძის წვრილი, რომელსაც ლენინ-გრაღში მუსიკოსებმა „კოლორატურული ტენორი“ უწოდეს. მართლაც, რა წმინდად უღერდა მისი ხმა. განსაკუთრებით მალალ რევისტრში. როცა ეს სიმღერა ჩაიწერა, მოხუცები 70 წელს იყვნენ გადაცილებულნი. ამ მატრიცის დასათაურებაში რამდენიმე შეცდომა დაშვებული. ჯერ ერთი, გიორგი ბაბილოძე და არა ბიბილოძე, ტრიო მღერის არა „მუმლი მუხასას“, არამედ „ჩვენ მშვიდობას“ და „ჰა დილას“. შემდეგ აღმოვაჩინე იგივე სიმღერა — „ჰა დილა“ — ჩაწერილი 1933 წელს არტემ ბაბუას, მამამისის გიგოს და მამაჩემის, 11 წლის დავით (დათიკო) ერქომაიშვილის შესრულებით, რომელიც „გამყივანს“ ასრულებს.

იგივე სიმღერა ჩვენმა ანსამბლმაც ჩაწერა 1977 წელს. ვასრულებთ ბადრი თოიძე, ანზორ ტულუში და მე. ვინაიდან „ჰა დილას“ მობრუნება შეიძლება სამჯერ, ამიტომ 1907, 1933 და 1977 წლის ჩანაწერები ერთმანეთს გადავაბით და მივიღეთ „ჰა დილა“, რომელშიც ერქომაიშვილების ოთხი თაობა მონაწილეობს: გიგო ერქომაიშვილი, არტემ და ვლადიმერ ერქომაიშვილები, დავით ერქომაიშვილი და მე. ვფიქრობ, ეს უნიკალური შემთხვევაა.

ნაპოვნ მატრიცებს შორის აღმოჩნდა ანსამბლი თ. და ლ. ჯაფა-

რიძეების, ნ. საყვარელიძის, ა. ჩახუნაშვილისა და გ. გაჩეჩილაძის მონაწილეობით. ისინი ასრულებენ ქალაქურ სიმღერებს „ნინა, ნინა“, „ხუჭუჭა ქალო“ და სხვა, რომლებსაც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენიათ.

100-მდე ჩანაწერი აქვთ შესრულებული მედუღუკეთა დასტებს, რომლებიც ძირითადად ქალაქურ და სომხურ მელოდიებს ასრულებენ. ბევრია ბაიათებიც. აქ განსაკუთრებით გამოირჩევა ბაგრატას დასტა. ყველა ამ ჩანაწერის აღდგენა შეუძლებელია. ჟღერს ქუთაისის ქორო კიპარენკოს ხელმძღვანელობით, ისინი „მრავალყამიერს“ ასრულებენ (ჩაწ. 1915 წ.).

მატრიცებზე სათაურებისა და ნომრების არევაჲ საგონებელში ჩამავდო. მე ვთხოვე არქივის დირექციას, მოეცათ უფლება, უკვე დაზუსტებული და გამოცნობილი სიმღერების დასათაურება და შემსრულებელთა გვარები სწორად დამეწერა. უფლება არ მომცეს. ამაჲს სპეციალური კომისია სჭირდებაო. მაშინ სათაურები დავაწერე აღდგენილი დედნების ფირებს, რომლებიც „მელოდიაში“ დარჩა. ვფიქრობ, ეს მკვლევარებს მუშაობას გაუადვილებს.

სამწუხაროდ, რევოლუციამდე ჩაწერილი სიმღერების ყველა მატრიცა არ აღმოჩნდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ეს მატრიცები 70 წელზე მეტ ხანს იყო სხვადასხვა არქივში, რომლებსაც ბევრი რამ გადახდათ — პირველი მსოფლიო ომი, დიდი სამამულო ომი, ევაკუაცია, ბლოკადა. მატრიცებს რამდენიმეჯერ შეუტევალეს ადგილი. ხანძარი, ქანგი, გულგრილი დამოკიდებულება, — ყოველივე ამის შედეგად ბევრი სიმღერა დაიკარგა. მათ უკვე ვერასოდეს ველარ აღვადგენთ. ნაპოვნიც უმეტესწილად უხარისხოა, დრომ თავისი დალი დააჩნია. ერთი რამ მაინც მანციფრებს — აქამდე რატომ არ მოხერხდა ამ ჩანაწერების მოძებნა? თავი დავანებოთ ზალხურ სიმღერებს. ვანო სარაჯიშვილის ჩანაწერების მოკვლევა ხომ მაინც შეიძლებოდა? ნუთუ არავის არ უფიქროა, რა იქნა მისი ჩანაწერები, სად გაქრა? მით უფრო, რომ მისი ფირფიტები ოჯახებშია შემორჩენილი. ეს ფირფიტები დროთა ვითარებაში გაცვდა, გატყდა, გაიციტა და ვერ გაიგებ, ეს ხმა ვანოსია, თუ ვინმე სხვისი.

გაზეთი „თეატრი და ცხოვრება“ (№ 29) 1915 წლის 19 ივლისს წერდა:

„ქართული სიმღერები გრამაფონის ფირფიტებზე „ამჟრის“ სა-



ზოგადოების თბოვნით დაამღერა ვ. სარაჯიშვილმა. გადაღებულია: ირაკლის არია, ახ, მთვარევე, მთვარე, არაყიშვილის ურმული, ბუნდოვან გულსა, მარი, მშვენიერთა ხელმწიფევე — ია კარგარეთელისა და გენაცვალე (მეორედ), ჰონორარად მიუღია 1200 მანეთამდე“.

მაშ რა ქნა მათი მატრიცები? თუკი 1907 წელს ჩაწერილი „ჰადილა“ და „ფერხული“ 1930-იან წლებში ხელმეორედ გამოსცა „აპრელევის ქარხანამ“, რატომ ვანოძ სიმღერებს არ აღმოუჩნდათ პატრონი? მით უფრო, რომ ეურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 1935 წლის № 3-ში წერდა:

„მოსკოვის ცენტრალურ არქივთან არსებულ ფოტო-ფონო-კინო არქივში გ. ტოროშელიძის მიერ აღმოჩენილ იქნა გრამაფონის ფირფიტების მატრიცები, რომელიც მეფის დროს აქციონერულ საზოგადოება „გრამაფონის“ მიერ იყო დამზადებული. ამ მატრიცების საშუალებით შეიძლება გრამაფონის ფირფიტების აღდგენა. აღმოჩენილ მატრიცებს შორის აღსანიშნავია ვ. სარაჯიშვილის „ოთხი სიმღერა“ და ვ. აბაშიძის „სცენები“.

როგორც ჩანს, 1935 წელს რამდენიმე ცალი მატრიცა კიდევ იყო ვანო სარაჯიშვილისა და ვასო აბაშიძის შესრულებით. ახლა კი მხოლოდ თითო-თითო აღმოჩნდა. ერთ-ერთს აწერია: „ურმული, სარაჯევი“. მაგრამ ამ მატრიცაზე სხვა სიმღერაა ჩაწერილი. იქნებ ეს მატრიცა თვალს მიეფარა. როგორც ბატონმა ვახტანგ გურგენიძემ მითხრა, ვანოს მატრიცები მარტო ქართულ კატალოგებში არ უნდა მომენახა. შესაძლებელია, იგი ქართველად არ მიიჩნიეს და სხვა ეროვნებათა კატალოგებში მოათავსეს. ამასაც შევამოწმებ. საკვირველი ისაა, რომ რამდენიმე ათეული წელი ჩანაწერები უპატრონოდ ეყარა და არავინ აღმოჩნდა, რომ ამ მატრიცებისათვის მიეხედა.

არქივში არ აღმოჩნდა ჩემს მიერ შეგროვილი ფირფიტების შესატყვისის ყველა მატრიცა. ამიტომ ისევ იცავეთილი ფირფიტების აღდგენას შევუდგეკი, ვიპოვე „ხასანბეგურას“ უნიკალური ჩანაწერები გიორგი ბაბილოძის შესრულებით. მაგრამ ფირფიტა იმდენად გაცვეთილიყო, რომ მისი აღდგენა თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. სათანადო მუშაობა მაინც ჩავატარეთ. ვინაიდან არხები ძალიან დაზიანებულიყო, ხმას შიშინი გასდევს. მიუხედავად ამისა, იგი ერთგვარ წარმოდგენას მაინც გვიქმნის ჩვენი სახელოვანი წინაპრების ხელოვნებაზე და მკვლევარებისათვის ძვირფას მასალას იძლევა.

ხალხური სიმღერების გულშემატკივარმა რეზო რამიშვილმა შომაწოლა ფირფიტა, რომელსაც ეწერა „მე რუსთველი“. შემსრულებელთა გვარები წაშლილი იყო. ფირფიტა ძალიან გაცვეთილი და რამდენიმე ადგილას გატეხილი აღმოჩნდა. ვინაიდან სხვა ასეთი ფირფიტა ვერ ვიშოვეთ და მისი შესატყვისი მატრიცაც არ გამოჩნდა, ამიტომ გადავწყვიტეთ ამ ფირფიტის აღდგენა.

ჯერ ფირფიტის ნატეხები შივაწებეთ ერთმანეთს. მერე ჩავატარეთ ყველა ის მანიპულაცია, რომელსაც ვაწარმოებდით ვ. სარაჯიშვილის სიმღერის აღდგენისას. განსაკუთრებით გავვიჭირდა დასაწყისის მონტაჟი, სადაც სიტყვები გაუგებრად იყო ჩაწერილი. ტერაპუგოვამ ცალ-ცალკე აკრიფა სიტყვები, ერთმანეთს მიაწება და ფირი ნორმალურ სიჩქარეზე გაუშვა. „ილარიონ ჩავლეიშვილო, ერთი კაი სიმღერა, კაი“, — გაისმა ვარლამ სიმონიშვილის ხმა და ილარიონმა ხავერდოვანი ბანით დაიწყო „მე რუსთველი“. აქამდე ვიცოდით, რომ ილარიონ ჩავლეიშვილი, რომელსაც ჩინებული ბანი ჰქონდა, სიმღერის ჩასაწერად ანსამბლს ავადმყოფობის გამო არ წაჰყოლია, ამიტომ მისი ხმის აღმოჩენამ დიდად გაგვახარა.

არ მოხერხდა მეორე სტროფის აღდგენა. ამიტომ იგი ფირიდან ამოვკერით და პირველი კუბლეტი პირდაპირ მესამეს მივაწებეთ — „გადაძახილის“ შემდეგ. მსმენელი ამას ვერც კი შეამჩნევს. მხოლოდ გამოცდილი მომღერლები დაექვედებიან — რატომ გამოტოვა ილარიონმა მეორე კუბლეტიო. ასევე აღვადგინეთ ჩავლეიშვილის ანსამბლის შესრულებით ორი საგალობელი — „შენ რომელმან განანათე“ და „სიყვარულმა მოგვიყვანა“, აგრეთვე „ჰა დილას“ იშვიათი ვარიანტი, რომლის მატრიცა არ აღმოჩნდა.

გიგო ერქომაიშვილის ანსამბლს ჩაწერილი აქვს ოთხხმიანი გურული ნაღური „საჯავახურა“. ნაღური დიდია და ამიტომ ორ ნაწილად ჩაუწერიათ. როგორც ჩანს, ფირმის მუშაკებს დავიწყებით მათი გაერთიანება და „საჯავახურა“ სხვადასხვა ფირფიტაზე დაუბეჭდილათ. არქივში აღმოჩნდა მხოლოდ მეორე ნაწილის მატრიცა, ამიტომ იძულებული გავხდით, პირველი ნაწილი ფირფიტიდან აღგვედგინა. როგორც ირკვევა, ნაღური ჩაწერილი ყოფილა სხვადასხვა დღეს, ამიტომ მომღერლებს ვერ გაუთვალისწინებიათ სიმღერის ტონალობა — მეორე ნაწილი ერთი ტონით დაბლა ჩაუწერიათ. გარდა ამისა, მაშინდელი ტექნიკის გამო ნაღურის პირველი ნაწილი უხერხულ ადგილას მთავრდება — ფირფიტის ბოლოს მოხვედრილა მეორე ნაწილის დასაწყისი. ამიტომ პირველ ნაწილს და-

მაბოლოებელი ფრაზა მოვაცილეთ, მეორე ნაწილი ხელოვნურად ავანტირეთ და პირველის ტონალობას გავუტოლეთ, ორივე ნაწილი ერთმანეთს გადავაბით და ამ გზით მივიღეთ „საჯავახურა“, მაგრამ ფირფიტიდან აღდგენილი პირველი ნაწილი თავისი ხარისხით ჩამოუვარდება მატრიციდან აღდგენილ მეორე ნაწილს.

ყველაზე მეტი მატრიცა აღმოჩნდა გიგო ერქომაიშვილის ანსამბლის შესრულებით, თუმცა მათი რეპერტუარის შესავსებადაც მოგიხდა ფირფიტების შეკოწიწება.

ვესწრებოდი ყველა ფირფიტისა თუ მატრიცის აღდგენას. ჩემი დასწრება აუცილებელი იყო, რადგან საჭირო გახდა არა მარტო სიმღერებისა და შემსრულებლების გამოცნობა, არამედ მონტაჟისა და სწორი სიჩქარის შერჩევაც, რათა დადგენილიყო სიმღერათა ტონალობა.

გარდა ამისა, გიგო ერქომაიშვილის ანსამბლის მიერ ჩაწერილ სიმღერებს სხვადასხვა თარიღი აწერია, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ყველა სიმღერა მათ მიერ ჩაწერილია თბილისში 1907 წლის აპრილისა და მაისის პირველ ნახევარში, რაც ბაბუა არტემისაგან ვიცი. ამასვე ადასტურებს ვლადიმერ ერქომაიშვილიც. თარიღების აღრევა გამოიწვია მატრიცების გადაბეჭდვამ. პირველი ორიგინალიდან გადაბეჭდავდნენ მეორე ორიგინალს და მას მიაწერდნენ ხოლმე გადაბეჭდვის თარიღს. ამან შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მკვლევარი. ასევე აწერია ჩავლეიშვილისა და სხვათა ჩაწერილ სიმღერებს. მაგალითისათვის მოვიყვან ერთ-ერთ ბარათს, რომელსაც აწერია „მუშლი მუხანასა“ № 4589, 1910 წლის ივნისი და № 2968, 1907 წ. 3 მაისი, სამუშაო მატრიცა. ძველი ფირფიტებიდან და მატრიციდან აღვადგინეთ ორასამდე სიმღერა. ჩაწერილი 1907—1915 და 1926—1936 წლებში.

1907—1914 წლებს მიეკუთვნება სიმღერები, შესრულებული ვანო სარაჯიშვილის, ვასო აბაშიძის, ია კარგარეთელის, ფლავიას, ს. ტომაშვილის, პოლოსოვას, ძმები კავსაძეების, ხუხუნაიშვილების, სამუელ ჩავლეიშვილის, გიგო ერქომაიშვილის, დედას ლევანას ანსამბლების, ქუთაისის ქოროს — კიპარენკოს ხელმძღვანელობით, ბაგრატას მედუდუკეთა დასტისა და სხვათა მიერ.

1926—1936 წლებიდან აღსანიშნავია ძმები კავსაძეების, ძმები ერქომაიშვილების, ორაგველიძისა და ძმები კოროშენიძეების, აკობიას, რემა შელეგისა, მარო თარხნიშვილის, მარგიანის, ბურდილაძის, კიწი გეგეჭკორის, მიხეილ კობახიძის გუნდების, მიხა ჭილაურის, ვა-



ვანო სარაჯიშვილი

ნო მჭედლიშვილის, ნოკო ხურციას, აქესენტი მეგრელიძის, კირილე პაქორიას და სხვათა ჩანაწერები.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო სიმღერები მიხა ჯილაურისა და ნოკო ხურციას შესრულებით. ჯილაური განუმეორებელი გამომსახველობით ასრულებს „ბერეიაცს“. ნოკო ხურცია კი მეგრული სიმღერების უბადლო შემსრულებელი გახლდათ. მღელვარებას იწვევდა მისი ხმა, შესრულების მანერა, იმპროვიზაციის ნიჭი და უნარი. მისი „პარირა“, ალბათ, დიდხანს დარჩება ამ სიმღერის შესრულების ეტალონად.

დღეს ეს აღდგენილი ჩანაწერები ინახება საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში, ფირმა „მელოდიაში“, სახელმწიფო არქივში.

საქმე ამით არ დამთავრებულა. ცენტრალურ მუსიკალურ არქივში იმდენი ნომერია არეული, რომ შესაძლებელია, უნიკალური ჩანაწერები კიდევ აღმოჩნდეს.

ამ ცოტა ხნის წინათ კინორეჟისორმა სოსო ჩხაიძემ მაცნობა, რომ ლენინგრადში ძველი ჩანაწერები ინახება არა არქივებში, სადაც მე ვეძებდი, არამედ „მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში“ (პუშკინის სახლი). ანსამბლ „რუსთავის“ გასტროლების დროს მივაკითხე ამ ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ბუშმინს, რომელმაც ყურადღებით მომისმინა და მითხრა : მატრიცები აქ არ არის, ფირფიტები და ფილფონოგრაფიის სანთლის ლილვაკები კი ფონოგანყოფილებაში ინახებაო.

ფონოგანყოფილების გამგე, კორგუზალოვი, ცოტა ცივად შემხვედა, შემდეგ გადმომიღო კატალოგი, სადაც ფირფიტები იყო აღრიცხული. 30-იან წლებში ჩაწერილმა 40-მდე ფირფიტამ ახალი ვერაფერი მომცა, სამაგიეროდ, ჩემი ყურადღება მიიქცია ლილვაკების თარობებმა და კატალოგში ჩაწერილმა მათმა პასპორტებმა. ეს სიმღერები ჩაწერილია ფილფონოგრაფზე 1910 წელს ნ. დერჟავინის, ხოლო 1927 წლიდან შილინგერისა და გიპიუსის მიერ. აქვე ინახება ჩვენი მსცოვანი მეცნიერების შ. ასლანიშვილისა და გრ. ჩხიკვაძის მიერ ჩაწერილი კოლექცია, აგრეთვე, ს. მაგიდისა და ა. მეგრელიძის კოლექციები. მე ვთხოვე კორგუზალოვს ამ ჩანაწერების მოსმენა. ეს ის კაცია, ვისი თაოსნობითაც გამოგონებული იქნა ლილვაკის ხმის აღმდგენი ელექტროაპარატი. ამ აპარატის შექმნას, როგორც თვითონ გვიამბობდა შემდეგ, ათი წელი მოანდომეს.

კორგუზალოვმა მაცნობა, რომ ეს სიმღერები თავის დროზე გა-

დაუწერია ცნობილ ლოტბარ ვლადიმერ ბაბილუას და ამჟამად თბილისის ცენტრალურ არქივში ინახებაო. აღმოჩნდა, რომ ეს სიმღერები გადაწერილია პირდაპირ ლილვაკებიდან, აღდგენის გარეშე, ამიტომ მათი გარჩევა შეუძლებელია. ახლა კი უკვე გვაქვს საშუალება, თანამედროვე აპარატურის მეშვეობით ეს სიმღერები მაღალ დონეზე აღვადგინოთ და ფირფიტაც გამოვუშვათ.

მოვისმინეთ რამოდენიმე სიმღერა. აღმოჩნდა, რომ ე. გიპიუსსა და მ. ევალდს 1930 წლის დამდეგს ჩაუწერიათ არა მარტო სიმღერები, არამედ ცალ-ცალკე ხმებიც. მოვისმინე გიორგი ბაბილოძის „გამყივანი“ გუნდთან ერთად და ცალკეც. ეს გახლავთ 95 წლის მოხუცის ბოლო ჩანაწერი (ერთი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა). დღეს უკვე აღარ მიკვირს, თუ რატომ განაცვიფრა მან რომენ როლანი და რატომ გაუსინჯეს ყელი სიმღერის შემდეგ. ასევე ცალ-ცალკეა ჩაწერილი სხვა მომღერლების ხმებიც. გიპიუსის ხელითაა შევსებული ერთ-ერთი სიმღერის პასპორტი („ხასანბეგურა“ №926, კრიმანჭული — გ. ბაბილოძე და თ. დოლიძე 4/II, 1930 წელი, გიპიუსი).

გამახსენდა ბაბუა არტემის მონაყოლი: „1929 წლის ბოლოს საგასტროლოდ მიგვიწვიეს მოსკოვსა და ლენინგრადში, სადაც ჩვენს კონცერტებს ბევრი ხალხი დაესწრო, მათ შორის მაქსიმ გორკი და რომენ როლანი. ლენინგრადელმა მუსიკოსებმა ჩვენი სიმღერების ნოტებზე გადატანა ფონოგრაფის საშუალებით სცადეს, მაგრამ გაუქირდათ. შემდეგ თითოეულს ცალ-ცალკე დაგვიდგეს ფონოგრაფები და ისე გვამღერეს“. ეს სწორედ ის ჩანაწერები იყო, რომელზედაც ბაბუა მიაშობდა.

ახლა საჭირო გახდა ამ ლილვაკების აღდგენა და მაგნიტოფირზე გადაწერა, მაგრამ აქაც წავაწყდით წინააღმდეგობას. მუზეუმიდან ფონდების გადაწერა თურმე აკრძალულია და ამას სპეციალური ნებართვა სჭირდება...

კოლგუზნალოვი დამეხმარა იმ პირების ბიოგრაფიული ცნობების შეკრებაში, რომლებმაც ქართული ხალხური სიმღერები ჩაიწერეს. ყველაზე ძველი ჩანაწერი ეკუთვნის ნიკოლოზ სევასტიანეს ძე დერჟავინს, დაბადებულს 1877 წელს. 1896 წელს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა პეტერბურგის ისტორიულ-ფილოლოგიურ ინსტიტუტში, მეორე კურსიდან გადავიდა ქ. ნიჟინში. 1900 წელს რამთავრა ინსტიტუტი და დაიწყო მუშაობა

რუსული ენის მასწავლებლად ბათუმში. 1904 წელს გადაიყვანეს თბილისში, სადაც მუშაობდა 1907 წლამდე. 1905 წ. ხელმძღვანელობდა თბილისის „სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებას“, იყო ამიერკავკასიის პედაგოგთა კავშირის წევრი. 1910 წელს მეცნიერებათა აკადემიის მიერ მივლინებული იქნა ბესარაბიის გუბერნიაში ბულგარელების ლაპარაკის ჩასაწერად, სადაც პირველად გამოიყენა ფონოგრაფი. ნ. დერჟავინი ავტორია მრავალი გამოკვლევისა, რომლებშიც არის ცნობები კავკასიასა და საქართველოზე. აკადემიკოსი ნ. ს. დერჟავინი გარდაიცვალა 1953 წლის 26 თებერვალს, დასაფლავებულია ლენინგრადში. სად ან ვისგან ჩაიწერა დერჟავინმა გურული ხალხური სიმღერები, არსად არის მითითებული, ლენინგრადის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია მისი შრომები, შესაძლოა აქ იყოს აღნიშნული გურული ხალხური სიმღერების ჩაწერის ისტორია.

იოსებ შილინგერი — კომპოზიტორი და თეორეტიკოსი — დაიბადა 1895 წ. ხარკოვში, 1914 — 1917 წლებში სწავლობდა პეტერბურგის კონსერვატორიაში, შემდეგ ხარკოვის სახელმწიფო მუსიკალურ აკადემიაში. ხელმძღვანელობდა უკრაინის სიმფონიურ ორკესტრს. მოღვაწეობდა ლენინგრადში, როგორც მასწავლებელი, წერდა მუსიკას აკადემიური თეატრისთვის. 1929 წ. გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 32—36 წლებში უნივერსიტეტში ასწავლიდა მუსიკას, ხელოვნების ისტორიასა და მათემატიკას. დაწერილი აქვს სიმფონიური პოემები „ოქტომბერი“, „აღმოსავლურა სვლა“ და სხვა. შექმნილი აქვს „მუსიკის კომპოზიციის შილინგერისეული სისტემა“, ავტორია გამოკვლევისა „ხელოვნების მათემატიკური საფუძვლები“ (ნიუ-იორკი — 1948 წ.). საქართველოში იმოგზაურა 1927 წლის ზაფხულში. დუშეთის რაიონსა და ბათუმში ფილფონოგრაფზე ჩაიწერა უნიკალური სიმღერები.

ევგენი ვლადიმერის ძე გიპიუსი — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში, მუშაობს რსფსრ კომპოზიტორთა კავშირში ფოლკლორული კომისიის კონსულტანტად.

ამ სიმღერების ჩაწერაში მონაწილეობდა გერმანელი მუსიკოსი ერნსტ ემსჰაიმერიც. იგი ა. მეგრელიძესთან ერთად იმყოფებოდა ექსპედიციაში. აქამად სტოკჰოლმში ცხოვრობს. 1977 წელს

ჩამოვიდა ლენინგრადში, აღადგინა და გადაწერა 12 გურული სიმღერა, რომელიც შვეციაში წაიღო. როგორც კორგუზალოვმა მოთხრო, აპირებს წიგნის გამოცემას ამ სიმღერების შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მისწერა წერილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას და მიიღო თანხმობა ლენინგრადის „პუშკინის სახლიდან“ ქართული სიმღერების გადაწერის შესახებ.

ეს ფონდიც აღდგენილია და ამჟამად ხმის რეჟისორ მიხეილ კილოსანიძესთან ერთად ფირმა „მელოდიაში“ ვმუშაობთ ამ ჩანაწერების ფირფიტების სახით გამოსაცემად. საქმე ისაა, რომ თუ ვ. გიბიუსისა და მ. ევალდის მიერ ჩაწერილ ცალ-ცალკე ხმებს გავსუფთავებთ და თანამედროვე აპარატურის მეშვეობით შევავსებთ, მივიღებთ 1930 წლას სტერეოჩანაწერებს, რაც უნიკალური შემთხვევაა (პირველი სტერეოჩანაწერი ამერიკელებმა მიიღეს 1950-იან წლებში).

1907—1914 წლების ჩანაწერებში საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები არ აღმოჩნდა. არ არის ჩანაწერი სევანური, რაჭული. ასევე ჩაუწერელი დარჩა აღმოსავლეთ საქართველოს მთის მუსიკაც.

1907—1914 წლების ჩანაწერებში აღმოსავლეთ საქართველო წარმოდგენილია ქართლ-კახური სიმღერების დედას ლევანას ანსამბლის და კავსაძეების გუნდების შესრულებით (ეს გუნდები ფაქტიურად ერთი კოლექტივია, რომელიც სანდრო კავსაძემ მიხეილს გადააბარა 1911 წელს).

დასავლეთ საქართველო წარმოდგენილია: სამხელ ჩაველიშვილის, კოწია ხუხუნაიშვილისა და გიგო ერქომაიშვილის ანსამბლებით. ქუთაისის გუნდი უმეტესად ქალაქურ ფოლკლორს ასრულებს.

ამ ანსამბლების მოსმენისას თვალშისაცემია ერთი და იგივე კუთხის სიმღერების სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია, შესრულების მანერა. ერთნაირ სიმღერებსაც კი ყველა თავისებურად ასრულებს. ვერ ვიტყვით, რომელი სჯობია, მაგრამ ერთი კი ცხადია: ყველა ანსამბლის შესრულება თავისებურად საინტერესოა. სამაგიეროდ, არქივებში 30-იან წლებში ჩაწერილი ყველა კუთხის 500-ზე მეტი სიმღერა აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ჩვენთვის უკვე ცნობილი სოლისტები და ლობტარები ამ ჩანაწერებში-

მ. ა. ერქომაიშვილი



აც გვხვდებიან. მაგ.: სანდრო კავსაძის ახალმა გუნდმა 30-იან წლებში ჩაწერა ქართლ-კახური სიმღერები. გურული მომღერლები გიორგი ბაბალოძე და გიგო ერქომიანიშვილი მაკვანეთის ანსამბლიდან. 90 წელს გადაცილებულნი, არტემ ერქომიანიშვილის გუნდის შემადგენლობაში გვხვდებიან როგორც სოლისტები.

ვარლამ სამონიშვილმა თავად ჩამოაყალიბა გუნდი და ორ ათეულზე მეტი გურული სიმღერა ჩაწერა ფირფიტებზე.

30-იანი წლების ჩანაწერები უკვე აღდგენილია ჩვენ მიერ და საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივსა და საქართველოს რადიოს ფონდებში ინახება.

ეს სიმღერები ნათელ წარმოდგენას ქმნის 1907—1914 წლების შემსრულებელთა მომდევნო თაობის სასიმღერო ხელოვნებაზე. დათუმცა კრებულში შეტანილია 1907—1914 წლებში ჩაწერილი სიმღერები, მათი უმეტესობა თამამად შეიძლება ჩაითვალოს სულცოტა მე-19 საუკუნის დასაწყისის ვარიანტებად შინც, ვინაიდან მომღერალთა უმრავლესობა ამ დროისათვის უკვე ხანდაზმული იყო, ხოლო მათ თავის მხრივ, ეს სიმღერები ნასწავლი ჰქონდათ მე-19 საუკუნის I ნახევრის ხალხური მომღერლებისაგან.

ამ ჩანაწერების უმრავლესობა უკვე გამოვიდა ფირფიტების სახით. კერძოდ, გამოვუშვით ფირფიტების კრებული „პირველი ქართული გრამფირფიტები საქართველოში 1907—1914 წწ.“, რომელშიაც შევიდა დედას ლევანას, ს. კავსაძის, მ. კავსაძის, ს. ჩავლეიშვილის, ე. ხუბუნაიშვილის, გ. ერქომიანიშვილის გუნდების მიერ ჩაწერილი სიმღერები. ვანო სარაჯიშვილის, ვასო აბაშიძის, აკაკი წერეთლის ხმები და ქალაქური სიმღერებისა და ინსტრუმენტული მუსიკის ნიმუშები.

გამოშვებულია აგრეთვე 30-იანი წლების ჩანაწერებიც ფირფიტებზე. კერძოდ: ს. კავსაძის, ა. მეგრელიძის, ვ. სამონიშვილის, არტემ ერქომიანიშვილის, მ. თარხნიშვილის, ნ. ხურციას, ნ. ქუმსიაშვილას, ევგ. მიქელაძის ფირფიტები.

ფირფიტებას გამოშვება გრძელდება.

ინგლისში ყოფნის დროს იქაურ კოლეგებს ვთხოვე ვანო სარაჯიშვილის ჩანაწერების მოძებნა. დახმარებას შემპირდნენ. პარიზში „გრანდ ოპერის“ სცენაზე 900-იან წლებში მიშელ დარიალის ფსევდონიმით გამოდიოდა ჩვენი თანამემამულე, შესანიშნავი ტენორი მიხეილ ნანობაშვილი. დახმარება ვთხოვე იქაურ ქართველს.

ორესტ გორდელაძეს, რომელმაც საქმეში ჩარია ქართული სიმღერების დიდი თაყვანისმცემელი, პროფესორი ქალბატონი გრიმო. იქნებ მათი დახმარებით ამ შესანიშნავი ქართველი მომღერლის ჩანაწერებიც აღმოჩნდეს.

გარდა ამისა, მზადდება ქართული ხალხური სიმღერების ანთოლოგია, რომელშიაც შევა ცნობილი ქართველი მომღერლების მიერ 1907 წლიდან დღემდე ჩაწერილი საქართველოს ყველა კუთხის 30 სიმღერა, თანდართული ნოტებით, რომელზედაც ვმუშაობ ვ. გოგოტიშვილთან ერთად.

საქართველოს სხვადასხვა რაიონში დაინტერესდნენ ძველი სიმღერების შესრულებით. ბევრი ანსამბლის რეპერტუარში თანდათან იკავებს ადგილებს ჩვენი ხალხური სიმღერები. ლოცბარება რადიოს ფონდიდან იწერენ ადღგენილ სიმღერებს, სწავლობენ და ცდილობენ თავიანთ ანსამბლებში დანერგონ დღემდე უცნობი სიმღერები და ვარიანტები.

სწავლობენ არა მარტო დიდება, ეთერში ხშირად გაიგონებთ ხალხურ სიმღერებს ბავშვების წესრულებით. მათ რეპერტუარს მხოლოდ ძველი ქართული ხალხური სიმღერება შეადგენს. ასეთი ანსამბლები საქართველოში უკვე მომრავლდნენ. უნდა ნახოთ, რა დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან ბავშვები ამ საქმეს, რა შესაშური სიყვარულით მღერიან სიმღერებს.

დიახ, საქართველოში უნდა შექმნას ბავშვთა ბევრი ანსამბლი, ჩატარდეს შეჯიბრებები მათ შორის, დაწესდეს ცნობილ ხალხურ მომღერალთა პრიზები კუთხეების მიხედვით და გადაეცეს იგი საუკეთესო მომღერალ ბავშვებს. მაშინ აღარ წაიშლება „დედას ლევანას“, ს. ჩაველიშვილის, მ. ჯიღაურას, ს. კავსაძის, ნ. ხურციას, ვ. მკედლიშვილის, ვ. სიმონიშვილისა და სხვათა გვარები. ბავშვები ისწავლიან ხალხურ სიმღერებს, შეინახავენ მათ და შემდეგ მომავალ თაობას გადასცემენ. ეს უკვდავყოფს ქართველ სიმღერას, ქართველ მომღერლებს და მათ უძველეს საშემსრულებლო ტრადიციებს.



## დ ე დ ა

ვუძღვნი ჰაგლებ გონაფვილის  
ხსოვნას

„ქვეყანაზე დედის ფასი არავინ გაჩენილა“

პ. გონაფვილი

1981 წლის ივლისში ბაჭუნათა ანსამბლი „მართვე“ ბიჭვინთის მახლობლად სოფელ მიუსერაში იმყოფებოდა, სადაც საქართველოს ტელევიზია იღებდა მუსიკალურ ფილმს „მდერის „მართვე“.

მე გადაუდებელი საქმეების გამო თბილისში შევეფერხდი და მხოლოდ ივლისის ბოლოს მოვახერხე მიუსერაში წასვლა.

მანქანაში ოთხნი მოვთავსდით: „მართვეს“ სოლისტის — ზაზა მახარაშვილის მამა — გურამი, დედა რუსიკო, მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლას დირექტორი ნათელა ჯიღაური და მე.

ადრიანი დილა იყო. მცხეთას რომ გავცდით, მანქანები დასავლეთ საქართველოს მიმართულებით ისე გამწკრივებულაყვნენ, გეგონებოდათ მთელი ქალაქი აყრილა და ზღვისკენ მიემართებო. იმ წელს მართლაც ცხელი ზაფხული იდგა.

გორის ბაზართან გაჩერდით, ბავშვებისათვის ხილი უნდა გვეყიდა. „მართვეში“ ასეთი ტრადიცია არსებობს: როცა მშობლები შვილის სანახავად მოდიან, ბლომა ხილი და ტკბილეულობა მოაქვთ და მთელ ანსამბლს უნაწილებენ, ვინმე გულნატკენი რომ არ დარჩეს.

ბაზარში თავბრუდამხვევი სურნელი ტრიალებდა.

საზამთროები და ნესვები ვიყიდეთ, ახლა თურაშაულს ვეძებდით. ჩვენი ყურადღება ბაზრის კუთხეში დახლზე დახვავებულმა წითელი ვაშლის გროვამ მიიპყრო. დახლის უკან ასე, სამოცდათხუთმეტი წლის შავებით მოსილი ქალი იდგა, საღდაც შორს იყურებოდა და გამვლელებს ყურადღებას არ აქცევდა, ეტყობოდა, ფაქრში იყო წასული.

- რა ღირს ვაშლი? — შეეკითხა ზაზას მამა.
- რამდენი გნებავთ, შვილო? — გამოფხიზლდა მოხუცი.
- ბევრი გვინდა, ბავშვებთან მივდივართ.
- რამდენი ბავშვი გყავთ? — ისევ შეგვეკითხა მოხუცი. ფასზე პასუხი არ გავცა.

— ოცდაათზე მეტია, მომღერალთა ანსამბლი „მართვე“ თუ გაგიგონიათ, იმათთან მივდივართ, გადაღებაზე არიან.

— ეჰ, შვილო, სიმღერა ჩემთვის დიდი ხანია გათავდა. ორმოცი წელია, აღარაფერი მახარებს. აიღეთ, რამდენიც გნებავთ, — თქვა და თავსაფრის ყურით ცრემლი მოიწმინდა.

— ჩვენ, დეიდა, ოცი კილოგრამი გვინდა, — შეწუხდა გურამი.

— აიღეთ, შვილო. აი, სულ წაიღეთ. აწონაც არ უნდა, ოცზე მეტი იქნება, — თქვა, რუსიკოს ჩანთები გამოართვა და შიგ ვაშლის ჩალაგება დაიწყო.

— მაინც რამდენი უნდა მოგართვათ? — შევწუხდით ყველა.

— არაფერი, შვილო, თქვენს ბავშვებს შეერგოს. ჩემს შვილს თურაშაული უყვარდა. ეს ხე ომში წასვლის წინ დარგო. სხვა მისგან არაფერი დამრჩა. დღეს მისი დაბადების დღეა, ორმოცდათვრამეტი შეუსრულდებოდა. ამ დღეს ყოველთვის გამოვდივარ ბაზარში და ახალგაზრდებს მისი დარგული ნაყოფით ვუმასპინძლდები. და-

ლუპვ-ს ცნობა არ მიმიღია, — განაგრძო მოხუცმა. — ნეტავი ვიცოდე, ასე უკვალოდ რამ ჩაყლაპა. გაზეთები წერენ, დღემდე პოულობენ დაკარგულ საფლავებსო. ძმათა სასაფლაოზე მაინც აღმოჩენილათ სადმე. წავიდოდი და წავიღებდი ჩურჩხელებს, ვამლებს, ლედვის ჩირს და ბალებს დავეუროებდი, მეომართა საფლავებს რომ უვლიან. იქნებ იქ მიუვიდეთ. მერე საფლავზე დაეწვებოდა და მთელ ღამეს გულზე ვუსვამდი ხელსა...

მოხუცმა ისევ მოიწმინდა ცრემლი. სიჩუმე ჩამოვარდა. ჩვენ ძალიან შევწუხდით. ქალმა შეამჩნია ეს და გვითხრა:

— უკაცრავად, შვილო, შეგაწუხებთ, აიღეთ, ნუ გერიდებათ, ძალიან გამახარეთ. თქვენს ბავშვებს მიართვით ჩემი შვილის ნახელავა.

გულდამძიმებული გამოვედით ბაზრიდან. ისე გავლიეთ ნახევარი გზა, ხმა არ ამოგვიღია. ხანდახან მანქანის საყვირა თუ დაგვიარღვევდა მყუდროებას.

მაშინაც ვმოგზაურობდით... ის იყო, სამტრედიას გავცდით და გეზი სამეგრელოსაკენ ავიღეთ. ცა ნელ-ნელა მოიღრუბლა, მერცხლებმა ძალიან დაბლა იწყეს ფრენა.

აბაშაში რომ შევედით, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. გზის ორთვე მხარეს ჩამწკრივებულაყენენ ქვიტყირის ორსართულიანი უხარმახარი სახლები, თუთიის თუნუქით გადახურული. ძველებური მეგრული ოდები, ყავრით ან კრამიტით გადახურული, ისეთივე იშვიათობა გახდა, როგორც ძველი მეგრული მომღერლები.

ეზოები რკინის მესერით იყო შემოღობილი. მწიფდა შავქლიაყი, მოყავისფრო ტოტები ემტვრეოდა მსხლებს, ამ მსხალს „ფრანგულას“ ეძახიან, ჩვენებურ მსხლებს გემოთი ვერ შეედრება, სამაგიეროდ, უფრო „შემოსავლიანია“.

აივნებზე გასამზებურებლად ხალიჩები გაღმოეფინათ, ეზოებიც ხალიჩებივით იყო მოქარგული მწვანე კონდრითა და ყვავილებით. ბავშვები ფეხშიშველები დარბოდნენ და წვიმის თბილ გუბებში დაატყაპუნებდნენ. საქონელი შარაზე გამოსულიყო, თავი სიამოვნებით მიეშვირა თბილი, შხაპუნა წვიმისათვის და ასევე სიამოვნებით იცოხნებოდა.

წვიმამ ნელ-ნელა იკლო.



გავიარეთ რამდენიმე სოფელი. ერთ ჭოშკართან მოხუცი მანდილოსანი შევნიშნეთ. იგი ნელა წამოვიდა ჩვენს შესახვედრად. ცალი ხელი მკერდზე მიედო და მეორეთი ისე გვანიშნებდა გაჩერებას, წყალგალმა კაცს რომ ანიშნებენ — აქეთ გამოდიო.

გურამმა მანქანა დაამუხრუჭა.

— ადგილი არა გვაქვს, ბები.

— არა, ნანა, მაგისტვის არ შემიწუხებებიხართ, თუ გეიბედება, ჩამობრძანდით, ხილი გასინჯეთ და ერთი ჭიქა ღვინო მიირთვიო, თქვან გოლუაფირო.

ახლა შევამჩნიე: ძველებური წაბლის ჭოშკრის წან, სანახევროდ რომ დამპალიყო და მავთულით მაგრად იყო მიბმული ბოძზე — დაბალი სუფრა იდგა. სუფრაზე ჩურჩხელები, ხაჭაპური, მწვანელია, ყველი და პური ეწყო. ტუჩმოტეხილი დოქი სიმინდის ფუჩეჩით იყო თავდახურული, ფუჩეჩი ღვინისფრად შეღებილიყო.

ეზოს წაბლის მესერი ერთყა, ეტყობოდა, დიდი ხანა არავის შეეკეთებინა. ჭიშკრისაგან მოშორებით, ხის დაბალ ბოძებზე იდგა ძველებური ორთვალის, კრამატით გადახურული მეგრული ოდა. ოდის გვერდით, კვამლისაგან ერთიანად გაშავებული, ისლითა და ყავრით გადახურული პატარა სამზადი მოჩანდა; სამზადის უკან ძველი საქათმე და სასიმინდე იდგა, ხოლო წინ სანახევროდ გამზმარი მაღალი მსხალა, რომელიც ერთიანად დაებურა ფითრსა და ვაზს. ოდის მარჯვნივ მაღალი ცაცხვი და სანახევროდ გამზმარი ოროდე ძირი ვაშლი მოჩანდა. მუხლებამდე აყრილა კონდარი გაუქვალავი ჩანდა. ეტყობოდა, ამ ეზოში იშვიათად თუ დადიოდა ვინმე.

— ნუ დამძრახავთ, ნანა, რომ გაგაჩერეთ, — გვითხრა ქალმა. — დღევანდელ დღეს ჩემი შვილი ფრონტზე წავიდა. მას მერე ოდაში დამე არ გამითევია, სამზადში მძინავს, აღუუთქვი ასე. დღლით ჭიშკართან ველოდები მატარებლის ჩამოსვლას. ვინ იცის, რა დროს მოვიდეს და სტუმრები მომიყვანოს-მეთქი. შეშა ყოველთვის მაქვს მომარაგებული, ქათმებიც მყავს, რომ საკადრისა პატივ ვცე ჩემი შვილის სტუმრებს...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— თვრამეტი წლის იყო. ობლობაში გავზარდე. კარებში გამართული ვერ შემოვადოდა, ცხონებულ მამამისს დაემსგავსა. შემოდგომაზე ცოლს შევერთავ-მეთქი, აგერ, მელიტონ ალშიბაიას მშვენიერი გოგო ჰყავს-მეთქი, ვეუბნებოდი. გაწითლდებოდა და თავს ჩაღუნავდა. აღარ დაგვაცალა შემოდგომის მოსვლა იმ სასიკვდილე ჰიტლერმა. ოცდაორი ბიჭი გაიწვიეს ჩვენი სოფლიდან, ერთმანეთზე უკეთესები. ჭერჭერობით ხუთი დაბრუნდა მხოლოდ, სხვებმა დაღუპვის ქალღიმი მიიღეს, მე არაფერი მიმიღია და იმედი შემრჩა: ჩემი შვილი ცოცხალია-მეთქი, თორემ ვილაცა ხომ შემატყობინებდა. ფრონტზე წასვლის წინ ვაშლის ტოტისაგან ჭვარი გამოვთალე და ყელზე შევაბი, ეს დაგიფარავს-მეთქი, ვუთხარი. „ნუ გეშინია, ნანა, მე ტყვია არ გამეკარება. წავალ, ფრიცებს გავრეკავ და მალე დავბრუნდებიო“, მითხრა. სამჯერ შემოვებრუნე წალმა, აგერ, ამ ჭიშკართან. მერე სოფლის თემამდე ფეხით წავედით, იქ საბარგო მანქანაზე დასვეს და მერე აღარ მინახავს.

ქალმა ამოიოხრა.

— ისე გაიზარდა, ჩემს კალთას არ მოსცილებია. ქალაქში ნამყოფი არ იყო, ფოტოსურათი არ დამრჩა მისი — არ გადაუღია. ამასწინათ ჩვენს სოფელში შინმოუსვლელთა ძეგლს დგამდნენ, ბრიგადირი მოვიდა ჩემთან, მხატვარი ახლდა თან. ბიჭის სურათი მომთხოვეს. სურათი არ დამრჩა, მარა ასეთი და ასეთი იყო ჩემი შვილი-მეთქი, ავუწერე. თან მხატვარს ვთხოვე, იქნებ დამიხატომეთქი, ბატონო. „ფოტოსურათი რომ მქონდეს, დავხატავდიო“, — მითხრა. მე აგერ ნათლად ვხედავ მის სახეს. რა უნდა, იმის დახატვას, ხატვა რომ ვიცოდე. მიირთვით. თქვან გულუაფრო, თავი მოგაბეზრეთ ამდენი ლაპარაკით. აგერ, ხაჭაპური, ღვინო გასინჯეთ. ათი წლის ოჯალეშია. ოცფუთიანი ჭური, ჩემი შვილის საქორწილოდ რომ ვინახავდი, არ გამიხსნია. როცა ჩამოვა, მაშინ გავხსნი. ასე აღვუთქვი. მისი დაწურულია, გაეხარდება, ვინ იცის, იქნებ ცოლშვილიანიც კი ჩამოვიდეს. ქალი ალბათ ჩვენებური არ იქნება, მარა არა უშავს, ჩვენს ადათ-წესებზე გადმოვიყვან, ბავშვებს მეგრულს ვასწავლი.

სამფეხა სკამზე ჩამოვსხედით. მოხუცს გაუხარდა. ღვინოს თვითონ გვისხამდა, დასაყოლებელს გვაწვდიდა და სასოებით ისმენდა შინმოუსვლელებას სადღეგრძელოებს. მოხუცს ჩაცვიფნული, მაგრამ დიდრონი თაფლისფერი თვალები ჰქონდა. თეთრი, ოდნავ მოგრძო პირისახე და შუბლი სიბერესა და დარდს ერთიანად დაეღარა. თუმცა სახის ნაკვთებზე ეტყობოდა, ახალგაზრდობაში ლამაზი უნდა ყოფილიყო. ჭალარა თმა ხანდახან ჩამოუცვივდებოდა. ქალი სწრაფად შეისწორებდა და შავ თავსათარს უკან გადაიკრავდა. ისე იყო აგზნებული და გახარებული, თითქოს მისი შვილის სტუმრები ვყოფილიყავით.

დამშვიდობებისას ცრემლქორეულმა მოხუცმა ჯერ გამხმარ მკერდზე მიმაკრა, მერე სახეზე ათრთოლებულ ხელებს ისე მისვა მამდა, თითქოს თიხისაგან ჩემი სახის გამოძერწვა უნდოდა. თავის შვილს მიმამსგავსა-მეთქი, ვიფიქრე და დამჰქნარ, დაჭორფლალ ხელებზე ვაკოცე. ხელებს ქინძისა და დანაყილი სუნელის უჩვეულოდ სასიამოვნო სუნი ასდიოდა. ამ სუნმა ჩემი ბავშვობა გამახსენა. ბებიჩემის შემდეგ ასეთი სუნი არავისაგან მიგრძენია...

მანქანა დაიძრა. ჩვენ ნელ-ნელა ვშორდებოდით მოხუც დედას, რომელიც წაბლის ჭიშკართან იდგა.



ფიქრებში წასულს ერთი ამბავიც გამახსენდა:

ერთხელ, სამეგრელოში, სტუმრად მოვხვდი იპოლიტე გაბელიას ოჯახში, რომელმაც ასეთი რამ მიაბო:

1942 წლას ზამთარი იდგა. ქერჩში ვიბრძოდით. ხმელეთს თითქმის მოწყვეტილი ვიყავით. არ გვქონდა სურსათი. გვაკლდა ტყვია-წამალი, იარაღი. წინ ტყვია წვიმდა, უკან ზღვა ღელავდა. ძალები ამკარად არათანაბარი იყო. ამ ფრონტზე იბრძოდნენ ქართული დივიზიის საუკეთესო ნაწილები. გათენებისას გერმანელები შეტევაზე გადმოვიდნენ. დაიწყო საარტილერიო მომზადება. გავარდა მეხი და მომეჩვენა, რომ დედამიწა ინგრეოდა. უშველებელი ხეები ბალახებავით იცელებოდა. ცა კვამლით დაიფარა, მიწა ისე ტორტმანობდა, ფეხზე დგომა შეუძლებელი იყო. ირგვლივ აუტანელი ხმაური იდგა. ჯოჯობეთი თუ ვინმეს წარმოუდგენია, სწორედ ეს იყო. ერთჟანეთში ირეოდა ტყვიების წივილი, თვითმფრინავების გუგუნა, ქვემეხების გრიალი, ბომბების აფეთქებ-ს ხმა და ყოველივე ამის შემდეგ: წაქცეული ხეების ჭრიალი, გამწარებული დაჭრილების კვნესა, მუდარა და გინება. ჩვენმა მეწინავე ნაწილებმა უკან დაიხიეს. ასეულმა ხევს შეათარა თავი. ხევში პატარა მდინარე ჩამოდიოდა, რომელიც ჩემი სოფლისას წააგავდა. ის იყო მდინარე გადავლახეთ, რომ ოცეულის მეთაურმა თავისთან მიხმო: იქ დაჭრილი წევს და არ გვემორჩილება, იერით ქართველსა ჰგავს, იქნებ გამოელაპარაკო.

მდინარის პირას ჭურვისაგან შუაზე გახლეჩილ წიფელთან ქაბუჯი მიწოლილიყო, ორივე ხელი მუცელზე მაგრად შემოეჭდო და კვნესოდა. ახლოს მივედი და ჭრილობა გავუსანჯე. ჭურვის ნამსხვრევი მუცელში მოხვედროდა, ფეხშიაც დაჭრილი ჩანდა. ერთიანად სისხლში ცურავდა, ჭრილობა სასაკვდილო იყო.

„ვაი ნანა“, — ამოიოხრა დაჭრილმა. მერე ხელებზე დაეყრდნო. წყლისაყენ გაიწია. პეშვით წყალი მოსვა, სახეზეც შეისხა და ისევ მუცელზე შემოიჭდო ხელები.

— ახლავე სანიტარს მოვიყვან და წაგიყვანთ, — ვუთხარი მეგრულად.

— აღარ მინდაო, — მიპასუხა მეგრულადვე. — ჩემი წუთები დათვლილია, მაინც ვერაფერს მიშველი, ტყუილად თავს დაიღუპავ. თუ შეგიძლია, აჭაურობას გაეცალეო.

— რატომ არავის გააგებინე შენი ვინაობა? მე მაინც მითხარი

გვარი და სახელი, რომელი რაიონიდან ხარ, რომელი სოფლიდან-მეთქი.

— რა მნიშვნელობა აქვს მაგას შენთვის, ხომ მხედავ, სული მხდება. წადი, თავს უშველე.

— სანამ შენს ვინაობას არ გავაგებ, აქედან არ წაველ-მეთქი.

— ჩემს ვინაობას ვერ გაიგებო, — მომიჭრა მოკლედ.

მე გულის კიბეზე შევავლე ხელი და საბუთებს დავუწყე ძებნა.

— აღარა მაქვს, ყველა საბუთი წყალს გავატანეო.

— კი მაგრამ, რატომ ჰქენი, ბიჭო, ეს? შენთანებს შევატყობი-ნებდი შენს ამბავს-მეთქი.

— მე მარტო დედა მყავსო.

დედის ხსენებაზე მომაკვდავს სახე გაუნათდა.

— ქვეყანაზე მეტი არავინ გამაჩნია. მას უჩემობა არ შეუძლია. ღამე რომ არ მივსულიყავი სახლში, არ დაიძინებდა. მელოდებო-და... ვაცი, ახლაც ჰიშკართან დგას და მელოდება, მთელი სიცოცხ-ლე დამელოდება. მელოდოს. ჩემი თავი არ მენანება, დედაჩემი მეცოდება. ჩემი ამბავი რომ გაიგოს, ამაზე დიდი ცოდვა ქვეყანაზე არ დატრიალდება. დედაჩემზე უბედური ქალა დედამიწის ზურგ-ზე არ იქნება. ნუ ეტყვიტ ჩემი დაღუპვის ამბავს, ნუ მოუშხამავთ დარჩენილ სიცოცხლეს, ნუ მოუსპობთ ერთადერთ იმედს. ჯობია, ცოცხალა ვეგულეობდე საღმე და მელოდოს, მელოდოს სანამ პირში სული ედგმება...

• •

უკვე დაღამებულიყო, მიუსერაში რომ ჩავედით და „მართვეს“ ბანაკს მივადექით. მთვარე ფიჭვების წვერზე მოგორავდა და კარ-გად ანათებდა ეზოს, რომელსაც ერთი მხრიდან ზღვა ეკრა, მეორე-დან კი — წიწვიანი ტყე. ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ, ეზო-ში — ციციანთელები, რომლებსაც დათო შანიძე და ერეკლე ჩა-ლათაშვილი ყოყინით დასდევდნენ. ბიჭები ეზოში ჯგუფ-ჯგუფად გაფანტულიყვნენ, მღეროდნენ. ერთმანეთში არეულიყო: ზღვის ტალღების ტლაშუნი, სიმღერები და კრიტიკების ხმა, ციციანთე-ლების მადევარი ბიჭუნების ყოყინი და ჭოტის კივილი. უფროს ბი-ჭებს ფიჭვისა და ნაძვის ხმელი ტოტები მოეგროვებინათ. ტყუბე-

ბი — ზაზა და სულხან ნინიძეები კოცონს აჩალებდნენ და, ჩვეულებისამებრ, იღიმებოდნენ. გიორგი იოსელიანი და ზურიკო ნინუა ტოტებს ამტვრევდნენ და კოცონზე აწყობდნენ. ტოტები ტკაცუნათ იწვოდა. ეზოში კვარის სასიამოვნო სუნი იდგა. კოცონი თანდათან ღვივდებოდა, კვამლი ნელა მიიწეოდა ცისკენ, ბავშვები კოცონის ირგვლივ გროვდებოდნენ. ჩვენ შორიახლოდან ვუთვალთვალებდით. არ გვინდოდა მათი მყუდროება დაგვერღვია. ბანაკში ვილაცამ რადიო ჩართო: „შინმოუსვლელი, სადა ხარ, შენ ხომ თბილისი გიყვარდა“, — გაისმა ჰამლეტ გონაშვილის ნაღვლიანი ხმა. ირგვლივ სიჩუმე გამეფდა. ტალღების ხმაური აღარ ისმოდა, ზღვა დადუმებულიყო და ყურს უგდებდა სიმღერას. ჭრიჭინები აღარ ჭრიჭინებდნენ, ჭოტიც სადღაც გამჟრალიყო. კოცონის ალი ცაში აჭრილიყო. კარგად მოჩანდა ბიჭების დაბრაწული ლოყები და სევდიანი თვალები. შაბათი საღამო იყო. „მართვეს“ ბიჭები დედებს ელოდნენ.

კოცონი გუგუნებდა. სიმღერა კი უფრო მძლავრობდა: „მზე გმირის ხმალზე მბრწყინავი არასდროს დაიბინდება“.

სიმღერა ტყესა და ზღვას მოედო. მერე კოცონის გუგუნი დაფარა, ცეცხლის ალზე მალლა ავარდა და თითქოს ვარსკვლავებისა-კენ გაიჭრა.



## წიგნი – ცხოვრების ნაწილი

ეს წიგნი ბოლოსიტყვაობის გარეშეც მშვენიერად მივა მკითხველის გულამდე. სსვა რომ არ იყოს, იგი იმ კაცის დაწერილია, მთელ საქართველოს რომ უყვარს და აფასებს. სიყვარული კი, მოგესხენებათ, თავისთავად არ მიაღის, სიყვარულს მხოლოდ ღვაწლით, საქვეყნო საქმის უანგარო მსახურებით მოიპოვებენ.

ანზორ ერქომაიშვილს თითქოს განგებამ დააავალა დიდი ეროვნული საქმის სამსახური. ასე ძველად სატები ირჩევდნენ თავიანთ ხევისბერს, რომ შერე მთელი სიცოცხლე წმინდანის ცხოვრებით ეცხოვრათ და ხატისა და ხალხის მსახურნი ყოფილიყვნენ...

ანზორ ერქომაიშვილის მთავარი სალიცავი სატი ქართული ხალხური სიმღერაა. მისი წინაპრებიც ამ წმინდა სატზე ლოცულობდნენ. ტრადიცია უნდა გაგრძელებულიყო. გაგრძელდა კადეც.

ამ წიგნის ერთი ნაწილი სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს. ვეცნობით ქართული სიმღერების დიდოსტატების არტემ, ანანია და ელადიმერ ერქომაიშვილების, ვარლამ სიმონიშვილის, გიორგი ბაბილოძის, ილარიონ ჩაველიშვილისა და სხვათა ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ვკითხულობთ წიგნს და ცხადი ხდება, თუ რა ფანატიკურად ყვარებია ამ ხალხს სიმღერა, რა საქვეყნო ფიქრითა და შეგნებით ყოფილან აღსავსენი! აქ გარდა საკუთრივ სიმღერების შესრულება-შესწავლის ისტორიისა, ბევრი საინტერესო, საწესჩვეულებო,

ეთნოგრაფიული ამბავია მოთხრობილი, ამ ამბავთა მთხრობელი ანზორის ბაბუა არტემ ერქომაიშვილია. კაცი, რომელმაც მთელი ეტაბი შექმნა ქართული სიმღერის ისტორიაში. წიგნში ვეცნობით, თუ რა დიდი შეგნებით უდგებოდა იგი ამ საშვილიშვილო საქმეს, როგორ შრუნავდა ხალხური სიმღერების ჩაწერაზე, მისი დაუღალავი მეცადინეობის წყალობით გადარჩა მრავალი გალობა-სიმღერა სამუდამო დავიწყებას.

თავისი მომავალი ცხოვრებისა და საქმიანობის განმსაზღვრელადაც ანზორი ბაბუას მიიჩნევს და ისეთი გრძნობითა და სიყვარულით გვიყვება მის მოღვაწეობაზე, მკითხველსაც რომ გადაედება და გულგრილს არ დატოვებს. თვით ეს წიგნია ერთგვარი გაგრძელება არტემ ერქომაიშვილის საქმისა, ასდენაა მისი ანდერძისა, რომ ხალხურ სიმღერას მომვლელი და პატრონი არ დაეკარგოს! სამწუსაროდ, ტენდენცია ხალხური სიმღერის როლისა და სიყვარულის შესუსტებისა, კარგა სანია უკვე შეიმჩნევა და ყველაზე უკეთ ამას, ცხადია, ისინი გრძნობენ, ვინც სისხლსორცეულად არიან ხალხურ სიმღერასთან დაკავშირებულნი. არტემ ერქომაიშვილი, ეტყობა, ასე თავდაუსოგავად ამიტომ ცდილობდა, დიდი საუნჯე ღირსეული პატრონისათვის გადაეხარებინა. ამ პატრონად კი თავისი შვილიშვილი ანზორი ეგულებოდა.

საყურადღებოა წიგნის ის თავი, სადაც ვგებულობთ, თუ როგორ განიცდიდა არტემ ერქომაიშვილი ქორწილებში და სუფრებზე ხალხური სიმღერების შევიწროებას, იაფი მუსიკის სმამალად, გაუთაყებულ ჭყვიტინს. ავტორი გვიყვება ასეთ ეპიზოდს:

თურმე ერთ-ერთ „დოღგარმონიან“ ქორწილში არტემი დიდის ამბით უდღეგრძელებიათ და „გურული სიმღერების პეღე“ უწოდებიათ მისთვის. სამადლობელოში არტემს მწარე ირონიით შეუნიშნავს: სომ წარმოგიდგენიათ პეღე ბურთისა და მოედნის გარეშე, ისე ვარ მე ამ სუფრაზეო.

არტემ ერქომაიშვილის დიდ სულიერ კულტურაზე

და სიმღერისადმი პასუსისმგებლობის გრძნობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს წიგნის ამგვარი სტრიქონები:

„მამაჩემის დასაფლავების დღეს მასარაძეში ოლიმპიადაზე გამარჯვებულთა საღამო იყო დანიშნული. ბაბუას თავისი გუნდი უნდა გამოეყვანა, მამაჩემს და დედაჩემს ამ გუნდში სოლო სიმღერები უნდა შეესრულებინათ. ბაბუას პატივსაცემად საღამო ერთი დღით გადადეს. ხოლო, როცა მამა დავსაფლავეთ, მეორე დღეს, დღით ჩვენთან მოვიდა რაიონის ხელმძღვანელობა და ბაბუას სთხოვა, დაესახელებინა, ვინ შეძლებდა პროგრამის შეცვლასა და გუნდის გამოყვანას. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე და ყველასაგან მოულოდნელად, ბაბუამ თქვა, შემცვლელი არ მეგულება და ამ საღამოს მე თვითონ გავუძღვები გუნდსო.“

საღამოს ბაბუას გუნდმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. მაყურებელმა ოვაცია გაუმართა არტემ ერქომაიშვილს და თვალცრემლიანს სცენიდან გასვლის საშუალება არ მისცა. დარბაზში ტაშთან ერთად ხალხის ქვითინიც ისმოდა“.

კიდევ ერთი დეტალი, რომელშიც კარგად ჩანს არტემ ერქომაიშვილის ხასიათის პირდაპირობა, სანაქებო გურული იუმორი: სამოცდათხუთმეტი წლის არტემს ღვიძლის ოპერაცია გაუკეთა ქირურგმა ნესტორ თოიძემ. ოპერაციის დროს ქირურგი თურმე ღიღინებდა, ჩვეულება ჰქონია ასეთი, ოპერაცია რომ დამთავრდა, უთქვამს, რკინის კაცი ყოფილხარ, არტემ ბიძია; ხომ გადაგარჩინე, სიმღერა უნდა მასწავლოო. არტემს ღიმილით უპასუსია, შენს ღიღინს რომ ვუსმენდი, ჩემო ნესტორ, შენთვის სიმღერის სწავლებას მირჩევნია კიდევ ერთი ოპერაცია გადავიტანოო.

ამგვარი ცოცხალი ეპიზოდებითაა ეს წიგნი აღსავსე.

სალსური სიმღერის ბედ-იღბლით დაინტერესებულნი მკითხველი აუღელვებლად ვერ წაიკითხავს წიგნის იმ მონაკვეთს, სადაც მათსრობილია ავტორის

სანგრძლივი „ოდისეა“ ძველი, მივიწყებული ფირფიტების კვალდაკვალ. ანზორ ერქომაიშვილის შრომისა და ენთუზიაზმის ნაყოფი, ცხრაასიან წლებში ჩაწერილი უნიკალური ხალხური სიმღერები, დღეს უკვე სამუდამოდ დაგვიბრუნდა.

ეს წიგნი ნათლად წარმოგვიჩენს მათი ავტორის სულეერი ინტერესების სიმაღლეს. იგი არა მხოლოდ ჩვენი სიმღერებას დიდ შინაგან პარმონიასა და მშვენიერებას სწვდება, ადამიანთა შორისაც ეძებს და აღმოაჩენს იმ ძვირფას თვისებებს, რომელთა გარეშეც აზრს დაკარგავდა სიმღერაცა და საერთოდ ცხოვრებაც.

მართალია, ანზორ ერქომაიშვილი პროფესიონალი მწერალი არ ვასლავთ, მაგრამ მას აქვს უნარი ცხადად დაგვისატოს და წარმოაჩინოს სიტუაციები, რომლებშიც ნათდება ადამიანთა შინაგანი სამყარო, რაღაც მშობლიური და ძვირფასი ცოცხლდება თვალწინ, ცოცხლდება როგორც მივიწყებული, ძვირფასი პანგი, რომელიც თითქოს ვიცოდით, თითქოს გვასსოვდა, მაგრამ მთელი სიცხადითა და მშვენიერებით მხოლოდ ასლდა ვისილეთ. ისევე, როგორც სიმღერა გვჭირდება, როგორც მისი დავაწყება არ შეიძლება, ასევე არ შეიძლება დავაწყება იმ ძვირფასი ადამიანებისა, რომელთაც თაობიდან თაობას შემოუნასავს ზნეობრიობისა და კაცურკაცობის მაგალითები... მათს მსრებზე დგას ერი და ქვეყანა, ისინი არიან საზომნი სინდისისა, სიყვარულისა, მეგობრობისა... ისინი სშირად ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, მაგრამ, სამწუსაროდ, ყველა ვერ ხედავს. ამ წიგნის ავტორმა დაინახა. ჩვენც მიგვასედა მათკენ. მიგვასედა, და კიდევ ერთხელ შეგვასხენა, რომ სიკეთე, ადამიანის სულის მშვენიერება, თვით ყველაზე ძნელი და პრაგმატიკული დროის სულისშემსუთველ ატმოსფეროშიც ცოცხლობს და აზრს აძლევს კაცთა არსებობას.

ამის დაწახას მწერლის თვალი სჭირდებოდა...

ბევრ საფიქრალს აღძრავს ეს არცთუ მოზრდილი

წიგნი. ამ წიგნის კითხვისას არ შეიძლება არ დაკვირდეთ მის ავტორზე — ქართული ხალხური სიმღერის დიდ მოამაგეს. მის ფასდაუდებელ ღვაწლზე...

არ შეიძლება არ დაეფიქრდეთ ქართულ სიმღერაზე, მის წარსულზე, დღევანდელსა და ხვალინდელ დღეზე.

ადამიანმა, ალბათ, ლაპარაკზე ადრე სიმღერა ისწავლა. სანამ სიტყვას წარმოთქვამდა, სანამ სიტყვით გამოხატავდა თავის სათქმელს, სიმღერით სცადა მისი გადმოცემა. ის სიმღერა, ცხადია, ისეთი სრულყოფილი არ იქნებოდა, როგორც დღესა, მაგრამ ის იყო სიმღერა. სიმღერაში აირეკლა ამა თუ იმ ხალხის სული და სასიათი, განწყობილება, შინაგანი კულტურა. სიმღერა გასდა კაცობრიობის მეგზური, სხვადასხვა ხალხის ეროვნული ნიშან-თვისების გამომსატველი, მისი ხატი და საბუთი... საუკუნეთა შორეული სიღრმეებიდან გამოაღწია ჩვენმა ლაღმა, სულისა და გონების წარმტაცმა მელოდიებმა.

ჩვენს ბელსა და გზებს რომ გონების თვალი გავადევნოთ, საკვირველიც კია, ამდენი ჭირ-ვარამის, ამდენი უბედურების გადატანს ქვეყანას როგორღა შერჩა სიმღერის ძალა და უნარი... თუმცა ჩვენ ხომ გლოვასაც სიმღერის სახესხვაობით — „ზარითა“ და „დალით“ ვსვდებოდით და მწუხარებასაც თავისი მელოდიები მოვუძებნეთ...

ფიქრი იმისა, რომ ეს დიდი ეროვნული საუნჯე თავისთავად, მექანიკურად გადმოეცა თაობიდან თაობას, ცხადია, შეცდომა იქნებოდა. გარდა საეკლესიო გალობის სწავლებისა, ჩანს, ჩვენში მუდამ იყო ისეთი ხალხი, ვინც სიმღერას უვლიდა, ხვეწდა, სამომავლო გზას უკაფავდა. სიმღერა ჩაწნული იყო ჩვენი ცხოვრების ყველა წეს-ადათში; ქორწილს თავისი სიმღერა ჰქონდა, შრომას — თავისი. ლაშქარს მიმავალნი სხვანაირად გუგუნებდნენ, სიყვარულის უნაზეს მელოდიებს თავისებურად ამოიმღერებდნენ... უნიკალური ქართული პოლიფონიის წარმოშობის უმთავრეს მიზეზსა



და საფუძველს, ჩემის აზრით, ვგონებ, ჩვენი სალხის ერთმანეთისაკენ, ერთიანობისაკენ, შეკავშირებისაკენ გამუდმებული სწრაფვაც განაპირობებდა. ქართველი კაცი გამუდმებით გაურბოდა მარტოობას. მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო — ჩვენი ნათქვამია.

ესეც ქართულია:

მინდორში წაველ, სწორებო,  
მზე წითლად ამოდიოდა...  
მე იქ რა გამაპლებინებს,  
თქვენი სმა არ მომდიოდა.

თითქოს ამ სმას, მოძმისა და მოყვასის სმას ვეძებდით მუდამ. ერთად შეყრილთ, სუფრაზე თუ ნადიმზე, შრომაში თუ ლაშქრად — გვკრავდა და გვამთლიანებდა მრავალსმიანი სიმღერების დეთაებრივი ჰარმონია.

კოსმოპოლიტიურმა მეოცე საუკუნემ, დღევანდელმა ყოფამ, ქართული ხალხური სიმღერის საფუძვლებიც გვარიანად შეარყია. ასლა ბუნებრივ პირობებში ჩვენს ძველ სიმღერებს ვეღარ ვიმღერებთ. ტრაქტორზე დამჯდარი კაცი „ნადურს“ ვეღარ დააგუგუნებს. ვერც ავტომანქანას საჭესთან შემოვძახებთ „ურმულს“. მდარე ესტრადამ და როკ-სიმღერებმა ჩაასპო ჩვენი სუფრული გალობის მწყობრი ჰანგები...

და ენთუზიასტ მომღერალთა დამსასურებაა, რომ ქართული სიმღერა აგერ ერთი საუკუნეა, რაც კვლავ ლაღად ჟღერს და მთელს ქვეყნიერებას ანცვიფრებს.

ქართული კულტურის წინაშე ანზორ ერქომაიშვილის დამსასურება მრავალმხრივია. იგი გასლავთ ლოტბარი და მომღერალი, ძველი სიმღერების მოძველევი და აღმდგენელი, ქართული მუსიკალური ფოლკლორის დაუღალავი პროპაგანდისტი... ეროვნულ საუნჯეზე დაუცხრომელმა ზრუნვამ ბუნებრივად მიიყვანა ამ წიგნის ავტორი ბავშვთა ანსამბლის შექმნის იდეამდე. სწორედ ბავშვებია ის საიმედო ძალა, ვის სელშიაც უნდა გადავიდეს ხვალ ქართული სიმღერის ბედ-იღბალი. ასე დაიბადა აწ ყველასათვის ცნობილი და საყვარელი „მართვე“. რამხელა შრომა, რა ენთუზი-

აზში და სიყვარული იყო საჭირო, რომ ეს მალსაზი ბიჭუნები ასე სრულყოფილად დაუფლებოდნენ ურთულესი სიმღერების უზადო სელოვნებას.

ანზორ ერქომაიშვილმა ისიც მშვენივრად უწყის, რომ ერთი კაცი, რაც უნდა მონდომებული იყოს, მაინც ვერ გასწვდება, ამხელა საქმეს. მოუესმინოთ, რას წერს იგი ამის თაობაზე:

„გურიაში მოგზაურობის შედეგად იმ დასკენამდე მივედი, რომ იქ, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ხალხური სიმღერა მივიწყებას ეძლევა.... ერთი ან ორი და თუნდაც რამდენიმე კოლექტივი ამხელა საქმეს ვერ აუვა... ცოტა ხანში ამ სიმღერების შემსრულებელი თაობაც აღარ იქნება. მთელ გურიაში დღემდე არ აღმოჩნდა „კრიმანჭულის“ ასაღვასრდა შემსრულებელი“...

დამაფიქრებელი გარემოებაა, საგანგაშო სიტყვებია. ამ სიტყვებს წერს კაცი, ვისი მოღვაწეობაც მთლიანად ქართული ხალხური სიმღერის ბედთანაა დაკავშირებული, ამ კაცის სიტყვა გულთან უნდა მიიტანოს ყველამ.

დროს მუდამ თავისი მოლა, თავისი გემოვნება აქვს და, ალბათ, გულუბრყვილობა იქნება, რომ დღეს ბრძოლა გამოვუცხადოთ ჯაზსა თუ ესტრადას, მაგნიტოფონს, პორტატულ რადიომიმღებსა თუ ტელევიზორს, ყველაფერს, რაც გზას უღობავს ხალხური სიმღერის მასობრიობას, რამაც გააზარმაცა ჩვენი სული და ნელ-ნელა დაგვიჩლუნგა ის შინაგანი სმენა, რომლითაც ეროვნული სიმღერის ფესვები საზრდოობს. ეს ამბავი, ტენდენცია ხალხური სიმღერის მივიწყებისა, შეიძლება გაცილებით საშიში სიმპტომების მაუწყებელი იყოს, ვიდრე ერთი შესედეით ჩანს. დღეს თუ სიმღერა დავივიწყეთ, სვალ ენა დაგვავიწყდება, სიმღერა, ისევე როგორც ენა, სულია ერისა. მასში მუღავნდება არა მარტო წმინდა მუსიკალური კულტურა, არამედ ისტორიის უღრმესი შრეებიდან წამოსული ეროვნულობის გენეტიკური კოდიც.

ყველას გეასსოვს იაკობ გოგებაშვილის უკედავო მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?“ ამ სასწაულის ჩადენა მხოლოდ მშობლიურ, დედის რძესთან ერთად შეთვისებულ „იავნანის“ ჰანგებს შეეძლო და აკი შეიძლო კიდეც. როდესაც ჰამლეტ გონაშვილის სიმღერას ვუსმენთ (ამ წიგნში მის ნათელ სსოვნას თვალისამცრემლებელი მოგონებები ეძღვნება), იგი ჩვენთვის, ქართველებისათვის რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ეს შეიძლება სიმღერა იყოს. მის ხმაში საქართველოს მთელი წარსული და მომავალი თითქოს ერთად შერწყმულა, რომ სამუდამოდ მოგვაჯადოოს და მალულად თვალთავან ცრემლი გვადინოს.

„შაკი შაკი ჩიოდა“... ყველას მოუსმენია ეს უნიკალური ეურული სიმღერა. მე ამ სიმღერის პროფესიული ანალიზი არ შემიძლია და არც ვაპირებ, მაგრამ სიმღერის შესავალშივე ნათლად ჩანს, რომ მომღერალი შაკის „ჩივილს“ უსმენს. უსმენს და ბაძავს კიდეც ამ საუცხოო მგალობელს. ამგვარი სიმღერები სხვატ ბევრი გვაქვს, სადაც ბუნების პირველქმნილი სმების უშუალო გამოძახილი გვესმის. ქართველი კაცი უსმენდა ამ სმებს, ბაძავდა, იმეორებდა, ითავისებდა, სვეწდა, ახალ ფორმებს აძლევდა... ჩვენმა საუკუნემ ბუნებიდან მომდინარე ამ უშუალო სმებს გზა გადაუდოა. ახლა ათასგვარ ძრავათა გუგუნ-გრიალში სმენა ძნელადღა იჭერს შაკის „ჩივილს“... ის სიმღერებიც, როგორც მგალობელ ჩიტთა გუნდი, თითქოს დამფრთხალან და უღრანებისკენ გადასვეწილან, მიმწყდარა მათი მშობლიური, სმენადსაამო გალობა... მიშველებას, მოელას, გამოსარჩლებას გეტსოვენ, თავისთავისთვის კი არა — ჩვენთვის და ჩვენი მომავლისათვის სასიკეთოდ...

ანზორ ერქომაიშვილი სწორედ ამ დიდი მისიით ცხოვრობს. ეს წიგნიც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ამ საინტერესო, შინაარსიანი ცხოვრებისა.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

ბაბუა	. . . . .	5
ბივი მასწავლებელი	. . . . .	47
ქველი სიმღერების კვალდაკვალ	. . . . .	82
დედა	. . . . .	116

ს. ბ. № 2162

რედაქტორი მარინე სოხაძე  
მხატვარი ე. ბერძენიშვილი  
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე  
ტექნიკური რედაქტორი ზ. დონდუა  
კონტრ.-კორექტორი მ. ლალაძე  
კორექტორი მ. შველიძე  
გამომშვები ნ. კაკაშვილი

გადაეცა ასაწყობად 6.01.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.09.88.  
ქალაქის ზომა 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი  
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,90. საბ. ქალაქი № 1. საღებავგა-  
ტარება 8,36. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 6,5. ტირაჟი 20.000.  
უე 02088. შეკე. № 160.  
ფასი 50 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მშვიდობის გამზ. 28  
Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Мира, 28

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის-  
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის  
კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР  
по делам издательства, полиграфии и книжной торговли, Тби-  
ლისи, ул. Марджанишвили, 5.

**Эркоманшвили Анзор Давидович**  
**ЧЕРНЫЙ ДРОЗД ПРОПЕВАЛ . . .**  
**(На грузинском языке)**  
**Детюниздат Грузинской ССР**  
**«Накадули», Тбилиси, 1988**